

მისურეთ მინას; მინა დაგვაძურებთ და გავათობოთ თქვენ!

+ ასა—II

**Agro News.ge**

# მარცხული სამრიცხლო

ISSN 1987-8729



9 771 987 872003

სამაცხოვო-საინჟინერო ჟურნალი

№5 (93), მაისი, 2019

## კაბრიო ტოპი

### ერთდროულად ამარცხებს ზრაქსა და ნაცარს



გეგიძლიათ გამოყენოთ ვაზის  
ყვავილობაში

დამატავითი მოქმედება:  
**შავი ლაჟიანობა,**  
**ათორავოზი, წითურა**  
**წვიმის დროს იცყვას**  
**მეორად გააქტიურებას,**  
**რაც განაპირობებს**  
**მცენარის**  
**12-14 დღით დაცვას.**



**AgroVitae**

თბილისი, წერეთლის გამზ. №116  
ტელ/ფაქსი: 2 341 678; მობ.: 597 170 703  
ელ.ფოსტა: [agrovitae@gmail.com](mailto:agrovitae@gmail.com)  
[www.agrovitafsc.com](http://www.agrovitafsc.com)

# მილიკაში

იკვერნი  
ინოვაციური ფუნგიციდი  
ტრანსლამინარული მოქმედებით  
კაზის ჰრეპისტერ დასენაცია



sumiagro.ru

კომპანია დისტრიბუტორი  
ეს სამსახური  
ტელ: 597 99 29 23  
[www.agrocentr.ge](http://www.agrocentr.ge)  
რეკლამური ტელ: 1318

## ორგანიზაციის და მიმღებლები:



ახალი აგრარული  
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine  
მაისი, 2019 წელი.

№5 (93)

სარედაქციო კრიტიკა:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუგბარ ებრიძის ქანიძე, მახელ  
სოხაძე, თამარ სანიქიძე, რუსულან გოგა-  
შვილი (კრიტიკოსი), თომა ნიშაძე,  
ნუგბარ ორინაიძე, ნილარ ბრეგაძე,  
ბექა გონატელი, გორგა ბარისაშვილი  
(მეცნიერება-მეცნიერების რედაქტორი),  
დავით ბირკაძე (რედაქტორი),  
მარაშ ხაჩინეგაშვილი  
(ელ. უფრანგ აგრონეws.ge-ს კონსულტანტი)  
თამა გუგუშვილი (ინგლ. გრ. რედაქტორი).  
editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიურები, მეცნიერებათა

დოქტორები, პროფესორები:

რევაზ მახარიბლიძე (თავმჯდომარე),  
გურამ ალექსიძე, გიგო ჯაფარიძე, ჭაურ  
უუტარაძე, ნილარ ჩხარტიშვილი, ნუგბარ  
ებრიძის, პატარა კოლუმბიალი, ელგუჯა  
შაფაქიძე, ზევად ბრეგაძე, ელგუჯა  
გუგუშვილი, გოგოლა მარგველაშვილი,  
ანა გუგუშვილი, ლევან უჯამაჯიაძე, ზაურ  
ჯულუხიძე, ზურაბ ჯარჯიხაძე, ქრისტი  
კანიაშვილი, ადოლ ტუშელაშვილი, ნატო  
კაკაბაძე, ქავერუ ქერია, კახ ლაშხი,  
ჯემალ კაცტაძე, ნუკრი მემარნიშვილი,  
ნიკოლოზ ზახაშვილი, მახელ ჭიჭავა,  
დავით ბისტაშვილი, ოსებ სარჯვეებაძე,  
ნუგბარ სარჯვეებაძე, თონგზ გურაშვილი,  
ანატოლი გორგაძე, ლევან თორთლაძე,  
ზურაბ ლილიძე, კაბა კობაძე.

დააგაბალონა გორგი მაისურაძე

უურანალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპით.

The journal acts in accordance with  
the principles of free press.  
© სამეცნიერო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვერიული“

(იორულ ბაზებით)

[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)

ახალი აგრარული საქართველო

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

გამოცემები:

„აგრარული სექტორის

კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);

Association of Agrarian Sector Companies (ASCA).

საქართველოს რეგიონული კუნძულობრივი

კრიონიტექნიკის კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;

Regionica — Georgian Research Center for Regional Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53

ტელ./tel: +995 (032) 2 90-50-00

599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

[www.agronews.ge](http://www.agronews.ge)

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

## ორგანიზაციის და მიმღებლები:



4

„ორგანიზაცია“  
მასშტაბული კულტურების მოსავალის  
ახალ ტექნილოგიის ცდის

ასეთი ტექნილოგიით, მარცვლეულის მოყვანის დროს რამდენიმე ეფექტი მიიღწევა.



მიწის საკუთრების ისტორია  
საქართველოში

6

თავადაზნაურობამ, რომელთაც  
მცირე მიწებილა შემორჩათ კერძო  
საკუთრებაში მიწის დაგირავება ან  
გაყიდვა<sup>1</sup> შემოსავლის ძირითად წყაროდ  
გაიხსდა.



10

ვაზის წაგლობა აღმოსავლეთ და  
დასავლეთ საქართველოს  
მიწის მიწის ზონებში კომასის  
BASF-ის სეაშის მიხედვით

ვაზის წამლობის სქემა მძიმე კლი-  
მატ. პირობების სითვის (ზონები: ყვარე-  
ლი, ქვედა ზონა – მდ. ალაზანთან მი-  
ახლოებული, გავაზი, ჭიკანი, გურ-  
ჯანის, თელავის და სიღნაღის ნაწი-  
ლი, ალაზნის ველი – არხს ქვემოდან).

შურალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეცენირებულია 2009 წლიდა.  
სამაცნეო სტატიის მოცულობა იღებილი იყო სამართლებრივი სამსახურის მიერ 2009 წლიდა.  
გამოყენებული ლიტერატურის თანხმობით არ უნდა აღმართოს განვითარების  
1,5 ინდიკატორით, სილიკაზი 12 ზომის შრიცვით ნაკაშის 7 (შვილ) გვირდს.

რეცენიზის მიზანი:

არასამერარმებო (არაკომერციული) იურიდიული პირი

(უურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ გამომცემელი)

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“

ს/ს 404856483

ს/ს „ბაზისბანკი“ BASGE22(220101956)

ა/ს GE23BS0000000034536405

მის: თბილისი, გორგასლის ქ. 51

4 ფილია მამურისა -  
სამართლის ერთგული რაიონი

9 მოწილი სოფი კარილია-ლი  
ერთგული და სახელმწიფო აკადემია

15 გველა გველა ეფექტის  
მარატონი - „აგრარული“

16 ბოსტონის მარება -  
ახალი ტექნილოგია  
საქართველოს მიწის

18 ნიკი მოცავი მოსავალის  
თავისებურებები

18 ეროვნობის სოფი მესი  
საგანგერი (ფარმაცევტიკის)

22 კარტოფილი და  
ფიტოფილოროზი

23 რა იცვლის მოწილი სტატილოს  
ქიმიკების დახარისხა?

24 სეპტორის ეურა  
[DIOSPIROS KAKI],  
გადის გავერგა, მოვლა

28 დანართის დაცვის მემორანული -  
იურიდიკური

29 საქართველოს მარატონის  
მესამერების დაგვის  
სტრატეგიული მიზანები

32 გავათ კითხვა აგროცემოსა?

33 გავათ კითხვა ვაგირისართა?

34 გოგის დაკავების  
აროფილა ეტიკეტი  
დონის გავერგა გარიგი



## „ფირმა ლომთაგორას“ მარცვლეული კულტურების მოყვანის ახალი ზექონილობის

პოლო რჩი ათეული წელიდან „ფირმა ლომთაგორა“ ფირმებს ადგილობრივი თაროვანის მარცვლეულის – ხორბლის და სიმინდის სუპერ ელიტურ, ელიტურ და პირველი კატეგორიის სათესლე მასალებს სთავაზობს.

საქართველოში ლომთაგორა ერთადერთი კერძო კომპანიაა, რომელიც სიმინდის და ხორბლის სელექცია-გამორჩევას ეწევა და მუდმივად თანამედროვე მეთოდების მიებაშია, მნიშვნელოვან შედეგსაც იღებს, აქ ხორბლის საშუალო მოსავლიანობა დღეს 6-6.5 ტონის ფარგლებში მერყეობს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის, ნამდვილად მიღწევაა. ქვეყანაში დღეს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰქექტარზე 1.5 ტონაა, ამ რამდენიმე წლის წინათ კიდევ უარესი ვითარება იყო, ეს მაჩვენებელი 1.1-1.2 ტონის ფარგლებში მერყეობდა.

კომპანიის ხელმძღვანელობის ამბიცია, რომ ხორბლის მოსავლიანობის მაჩვენებლით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს გაუტოლდნენ, თანდათან ხორცის ისხამს.



როგორც კომპანიის მეხორბლეობის მიმართულების ცნობილი სპეციალისტი ირაკლი რეხვიაშვილი გვიხსნის, დღეს „ფირმა ლომთაგორაში“ იცდება მარცვლეულის მოყვანის ახალი ტექნოლოგია, რომლიც დღემდე მემარცვლეობაში არავის გამოიყენებია.

სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ხორბალი დათესილია 1,05 მეტრი სიგანის ბაზო-კვლებზე. სტანდარტული ბაზოების სიგანე, რაც მიღებულია მსოფლიოში, 75 სანტიმეტრია,

ეს გახსნავთ „ფირმა ლომთაგორას“, პირადად ბატონი კახა ლაშესი იდეა, ხორბალი ფართო ბაზო-კვლებზე რვა მნკრივად არის დათესილი.

ასეთი ტექნოლოგით, მარცვლეულის მოყვანის დროს რამდენიმე ეფექტი მიიღწევა.

ითრგუნება სარეველები, ჩაღრმავებულ კვლებში იოლია წყლის მიშვება და ბაზოების არა მოღვრით, არამედ გაჟონვით მორწყვა, რაც საშუალებას იძლევა ბაზოების ზედა ფენა ჰორიზონტალური ფილტრაციის მეშვეობით თანაბრად დატენიანდეს, არ დაიტბოროს და ნათესი არ ჩაიხუთოს.

ეს ტექნოლოგია იმითაც არის აღსანიშნავი და მიმზიდველი, რომ ჭარბალექანობის დროს (როცა ჭარბი ტენი გროვდება და აზიანებს ნათესს), წყლის დაგროვების საფრთხე და ბაზო-კვლების დატბორვა გამოირიცხება, რადგან ზედმეტ წყალი კვლების მეშვეობით ნაკვეთიდან გაედინება.

– თუ დააკვირდებით ნათესს, სარეველებიც ნაკლებად არის და თავთავებიც კარგად არის განვითარებული. ჩვენ ადრეც უხვ მოსავალს ვიღებდით, მაგრამ ნაკვეთი არათანაბრად

იყო განვითარებული, ყანის თავში შეიძლება 8 ტონა მარცვალი აგველო, ხოლო ბოლოში – 4, საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 5-6 ტონა გამოვლენიდა. ამ ტექნოლოგიის გამოყენების პირობებში აღმონაცენი ყველგან თანაბარია, ყანის თავში, შუაში და ბოლოშიც, რადგან ბაზოები ტენიანდება სრულყოფილად, მცენარეს საკვები მიწოდება თანაბრად და ჯეჯოლიც ყველგან ერთგვაროვნია, რაც უხვი მოსავლის ერთ-ერთი პირობაა. ვფიქრობთ ამ ნაკვეთებზე ჰქექტარზე საშუალოდ 8 ტონა მარცვალს მაინც მივიღებთ.

**საუბარში „ფირმა ლომთაგორას“ დამფუძნებელი სოფლის მეურნეობის დოქტორი პახა ლაშხი ერთვება.**

– ამჟამად ჯიშობრივი მარგვლა მიმდინარეობს, რადგან ელიტური თესლი გამოვეყავს და თუ ნათესში სხვა ჯიშის ხორბალია შერეული მას სპეციალურად ვანადგურებთ, რომ ჯიშობრივი სიმზინდე დავიცვათ, რომ ფერმერებს მაღალი ხარისხის სათესლე მასალა შევთავაზოთ. ამისთვის, მართალია მარცვლეულის რაღაც რაოდენობას ვერგავთ, მაგრამ სამაგიეროდ ვიღებთ რამდენიმე ეფექტს: ვიყენებთ შედარებით ნაკლებ სათესლე მასალას – 250 კილოგრამის ნაცვლად ჰქექტარზე 170-180 კილოგრამ თესლს ვთესავთ; ხელს ვუწყობთ მცენარის განვითარებას, რაც მოსავლიანობის გაზრდის პირობაა და ვამზადებთ უმაღლესი ხარისხის სათესლე მასალას.

თუ ადრე ინტენსიურ ნათესში მზის სხივი მხოლოდ თავთავს ხვდებოდა, ბაზო კვლებზე თესვის პირობებში ვხედავთ, რომ მზის სხივი ხვდება ღეროსაც, ფოთოლსაც, თავთავსაც, ამიტომ იმ ფართობის დანაკარგს, დაახლოებით 15-20%, რაც კვლების

მოწყობას დასჭირდა, ავინაზღაურებთ თავთავების მასის გაზრდით, რადგან გაუმჯობესებულია წყლის მიწოდება, კვების სისტემა, ფოტოსინთეზი მაქსიმალურად ეფექტიანად მიმდინარეობს და შედეგიც შესაბამისი იქნება.

შარშანდელი მონაცემებით კარგი თავთავიდან აღებული მარცვლების მასა 8 გრამსაც კი აღწევდა, წლეულს საშუალოდ ერთი თავთავიდან 2-3 გრამი მარცვალი რომ მივიღოთ და გადავამრავლოთ ერთ ჰექტარზე არ-სებული თავთავების რაოდნობაზე (ჰექტარზე აქ საშუალოდ 5-6 მილი-ნი თავთავია), 10-11 ტონა მარცვალი უნდა მივიღოთ ყოველი ჰექტრიდან. ამის მიღწევა რეალურად შეიძლება, რისენაც წლებია ნაბიჯ-ნაბიჯ მიღ-დივართ.

დიდი ხანია ვაკვირდებით და ვას-ნავლოთ მოწინავე ქვეყნების გამოც-დილებას, ლიტერატურაც მოვიძიეთ, მაგრამ ანალოგი ვერ ვნახეთ, ეს არის ნოუპაუ, რომელიც სხვაგან არ გამო-უყენებითა.

მაქანა-დანადგარებიც, ჩვენვე შე-ვებული კვლების სიგანეზეა მორგებული გამაფხვიერებელი, სათე-სი და სხვა აგრეგატები), რადგან ქვე-ყანაში მსგავსი აგრეგატები არ არის.

ჩვენი სპეციალისტების მიერ დამუ-შავებული აგრეგატები, საშუალებას გვაძლევს, ნათესის დაუზიანებლად ვეგეტაციის ნებისმიერ ეტაპზე, რამ-დენვერაც გვინდა, იმდენვერ შევი-დეთ ყანაში და ჩავატარებთ სასურ-ველი სამუშაო, შევიტანოთ სასუქი, ინსექტიციდი, ჩავატაროთ ჯიშობრი-ვი მარგვლა თუ სხვა. ამავე ტექნიკის მეშვეობით გამოკვების საშუალებებს ზუსტად ვანანილებთ ნათესში. ბაზო-ებზე მორგებული სპეციალური ფარ-ცხით ხდება ძირების გაფხვიერება და სასუქის ჩაკეთებაც.

**ირაკლი რჩევიამვილი** – გამოვ-ლინდა კიდევ ერთი ასეთი ტენდენ-ციაც, ამაღლებულ ბაზოებზე თესვამ განაპირობა ყანის აერაციის გაუმ-ჯობესება, როგორი მაღალი ტემპე-რატურაც არ უნდა იყოს, მცენარეები აღარ იხუთება, ნიავდება და დაავა-დებებიც ნაკლებად ჩრდება, აქ უან-გას ან სხვა დაავადებებს ვერ ნახავთ, რაც ამ ტექნოლოგიის დამსახურება-ცაა.

მაისის შუა რიცხვებიდან, როგორც წესი ხორბალი ჩვენთან უკვე ინწყებს ქვედა ფოთლების ჭენობას, ამ შემ-თხვევაში კი, როგორც სედავთ, მა-ისის ბოლოა და ქვედა ფოთლებიც როგორი მუქი მწვანება, რაც იმის მა-ნიშნებელია რომ ფოტოსინთეზი თა-ვიდან ბოლომდე აქტიურად მიმდინა-

რეობს, რაც თავთავის ზრდას, მარც-ვლის დამსხვილებას უწყობს ხელს.

ამ მეთოდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ის, რომ როცა ჰექტარზე ვთესავთ 5 მილიონს, შესაბამისად ვი-ლებთ 5 000 000 მთავარ მცენარეს. 5 000 000 ცენტრალური ლერო ნიშნავს 5 000 000 ძლიერ თავთავს. ამ ტექნო-ლოგიის გამოყენებით ჩვენ მივაღ-ნიეთ იმას, რომ ყველა მცენარე თა-ნაბარად დატენინანდა და თანაბრად სრულყოფილად გამოიკვება, განვი-თარდა, რამაც შექმნა იმის პირობა, რომ ნაკლები ბარტყობა წასულიყო. ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაინტე-რესებს ბარტყობა, რადგან ვიღებთ კარგად განვითარებულ 5 მილიონ მთავარ მცენარეს, 5 000 000 თავთა-ვში 2-3

გა დროს ორ-სამჯერ დაზირებულად შეგვაქს. პატარა ჯეჯილს ცოტა საკ-ვები სჭირდება, საშუალო ნაზარდა – მეტი და დიდი – უფრო მეტი. საკვები, მართალია, დიდი დოზებით არ მივგი-ცია, მაგრამ უზრუნველყოფავით უწყ-ვეტი გამოკვება, მცენარეს შიმშილი არ უგრძევნია, რაც აისახა კიდევ ჯე-ჯილზე.

ეს ყოველივე 10-15 წლიანი მუშა-ობის შედეგია, ვფიქრობდით, და ნა-ბიჯ-ნაბიჯ მოვდობდით აქამდე და დაგროვილი ცოდნის და გამოცდი-ლების საფუძველზე გავწიეთ ასეთი რისკიც, ვფიქრობთ ბოლომდე გაგვი-მართლებს.

ეს მეთოდოლოგია წლეულს სხვა მარცვლეულ კულტურებზე რაფსზე და სიმინდზეც გამოვყენეთ. რაფსი



გრამი მარცვალია), რაც სულ მცირე 10 ტონა ხორბლის მოსავალია ჰექტარზე.

ეს ტექნოლოგია კარგია ფერდობ-ზე გამოსაყენებლადაც, რადგან ასე-თი ფართო ბაზო-კვლების მოწყო-ბის შემთხვევაში უხენალექიანობის დროს, ფერდობზე წყალი უქმად არ ჩაირბენს, არ ჩარცებავს ნათესს, კვლებში განანილდება და თანაბრად მოიხმარს მცენარე.

**კახა ლაშეი** – ამ მეთოდის გამოყე-ნებით ხორბლის ნათესის გამოკვების სისტემაც შევცალეთ. გადავედით უწყვეტი გამოკვების პრინციპზე.

ძველი მეთოდით გაზაფხულზე ერ-თხელ უნდა შეიტანო სასუქი და მორ-ჩა, მერე ყანაშიც ველარ შეხვალ. აქ კი მცენარე მუდმივი გამოკვების რეჟიმში გვყალს. გაზაფხულზე, როგორც კი ვეგეტაციას განახლებს, მცენარეს უწყვეტი გამოკვება სჭირდება, რაც ადრე ვერ ხერხდებოდა. დღეს უკვე სასუქების ის ნორმა, რაც განსაზღ-ვრული გვქონდა ერთჯერადად შესა-ტანად, გადავანანილეთ და სხვადასხ-

40 ჰექტარზე გვითესია. ნაწილობრივ სიმინდიც ასეთი მეთოდით დავთე-სეთ, ვადარებთ ტრადიციულ და ახალ ტექნოლოგიას.

**მოგეხსენებათ,** აღმოსავლეთ სა-ქართველოში სიმინდი მზრალზე ითესება, ნიადაგი შემოდგომაზე, ნო-ემბერ-დევემბერში მუშავდება, რომ ზამთრის პერიოდში ნიადაგმა მაქსი-მალურად დაიგროვოს ტენი.

ამ მეთოდის გამოყენების დროს ნი-ადაგის მზრალად დამუშავება უკვე საჭირო აღარ არის, რადგან თუ ტე-ნის ნაკლებობაა, დათესვისთანავე გაუონვით მორწყვით იგივე და უკე-თესი შედეგი მიიღწევა.

რასაც აქ პრატიკიულად ვაკეთებთ, თანდათან ვაყალიბებთ თეორიუ-ლადაც, თეზისების სახით და ვფიქ-რობთ, შევემნი ერთგვარ სახელმ-ძღვანელოს, ბრომურას, სადაც ჩვენ ფერმერებს გავუზიარებთ გამოც-დილებას და სურვილის შემთხვევაში შევთავაზებთ ჩვენს მიერ დამუშავე-ბული ტექნოლოგიას.

## ნიადაგ გულუბელი

# მიწის საკუთრების ისტორია საქართველოში

ისტორიის განვითარების თავს გადამდებრი ძარტეხილების გამო, მიწის საკუთრების დაკანონების პროცესის გულის გადამდებრი ისტორია მიწის მინის შემოწმების სამართლის მიზანი, სამოცდაროდ, ეს პროცესი სხვადასხვა ასახითი საკმარის მცვავება დღესაც.

ჩემი აზრით, საკითხის გადაჭრა ისტორიული კონცესიის შესრულების გარეშე შეუძლებლად მიმართა, ამითომ შევეცდები შემოგთავაზოთ მიწის საკუთრების ისტორიული ასახითი, შემდეგ ამ მიმართულებით სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც ჩავუდრობავდე და ერთად მივაკვლიოთ პროცესის ჩვენას გადაჭრის გზებს.

ორი ნაწილის მოძიება უკვე დავასრულე 1. მიწის საკუთრების საკითხის დამოუკიდებლობის გამოხადვებამდე (1918-1921); 2. დამოუკიდებლობა და პირველი აგრარული რეფორმის დანარჩენაც ინტერესის შესაბამისად, დროდადო მოგანვდით.

## ავტორი

### ისტორიული გეოგრაფიულობის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე

რუსეთთან მიერთებით საქართველომ დიდი ხნის მანძილზე დაკარგადამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა. იგი მთლიანად რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა. საქართველოში დამკვიდრებისთანავე რუსეთის ხაზინა ჯერ ქართველ მეფეთა საგვარეულო მინებს დაეპატრონა, შემდეგ საეკლესიო მიწებიც მიითვისა.

მიწის საკუთრების საკითხის „მოგვარების“ მიზნით, რუსეთის ადმინისტრაციამ შემოიღო სამართლის კოდექსი, რომელიც კერძო მესაკუთრებს მიწის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთის წარდგენას ავალ-

დებულებდა. ეს დოკუმენტი ქართველ მემამულეთა უმრავლესობას არ გააჩნდა, რადგან ქვეყანაში დამკვიდრებული იყო უძრავი ქინების შინაური ნასყიდობის საფუძველზე შექნის ტრადიცია, რომელზე დაყრდნობით შექმნილი საბუთები რუსეთის ადმინისტრაციამ უკანონოდ გამოაცხადა. მიწის საკუთრების საკითხი კიდე უფრო რთულად იყო გლეხებში. მათი მიწმენელოვანი ნაწილი მცირემინიანი იყო, ნაწილს კი საერთოდ არ გააჩნდა მამული. ამგვარად, რუსეთის ხაზინამ არასამართლებრივი საშუალებებით, მათ შორის, ურჩობისა და მთავრობის ღალატის ცრუბრალდებით, გირაოს გადაუხდელობის კონფისკაციის გზით, სულ მოკლე ხანში ხელში ჩაიგდო თავადაზნაურთა

ქონების მიწმენელოვანი ნაწილი და საქართველოს „უმსხვილესი მემამულე“ გახდა.

თავადაზნაურობამ, რომელთაც მცირე მიწებილა შემორჩიათ კერძო საკუთრებაში მიწის დაგირავება ან გაყიდვა! შემოსავლის ძირითად წყაროდ გაიხადა. ქართველ მესაკუთრეთა მიწის მიწმენელოვანი ნაწილი სხვა ერების ნარმომადგენლების ხელში აღმოჩნდა. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ ომის შემდგომ საგრძნობლად იმატა მოსახლეობამ, უმთავრესად ჩამოსახლებულ ხიზანთა ხარჯზე.

ხიზნობა ძველი ქართული ინსტიტუტია. ომის შემდგომ ჩამოსული ხიზნების გარდა, ქვეყანაში მრავლად იყვნენ ოჯახები, რომელთა ნინაპრები საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე იყვნენ საქართველოში ჩამოსახლებულები. ხიზნები მუშაობდნენ როგორც კერძო მფლობელების, ასევე ეკლესიისა და ხაზინისთვის.

ხიზნობის როგორც ფენომენის მთავარი მახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ხიზანი პირადი შეთანხმების საფუძველზე განუსაზღვრელი ვადით რჩებოდა მიწის პატრონთან. ხიზანი და ყმა ერთმანეთისგან თავისუფლების ხარისხით განსხვავდებოდნენ. მასთან რაიმე იურიდიული ხელშეკრულება არ იდებოდა, მას ნებისმიერ დროს შეეძლო უარი ეთქვა მიწის მეპატრონესთან მუშაობაზე. თავის მხრივ, მემამულესაც შეეძლო ხიზნის დათხოვა, მაგრამ ამ შემთხვევაში, იგი ვალდებული იყო განეული სამსახურისთვის თანხა გადაეხადა. მეპატრონესა და ხიზანს შემორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში, საქმე სამედიატორო წესით წყდებოდა.

1913 წელს კავკასიის მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი ხიზნური დამოუკიდებულების გაუქმების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა მინადმფლობელებისთვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევას და ხიზნებისთვის საკუთრებაში გადაცემას. ამასთან ერთად, მათ ეძლეოდათ მემამულეთა ტყეებსა და საძოვრებში უფასოდ სარგებლობის უფლება, გამოსყიდვით უფლებით. ამ გზით, ხიზნებს თითქმის სრულიად უსას-



1. აგრარული რეფორმის გატარების შემდეგ თავადაზნაურობა ფლობდა 1 776 823 დესტრინაში, 1918 წლისათვის კი 622 625 დესტრინაში შემორჩა.

კიდლოდ ეძლეოდათ მიწები, მაშინ  
როცა დროებით ვალდებულ გლეხებს 1912 წლის კანონი, მემამულებისგან მიწების გამოსყიდვას მიწის თითქმის სრული ღირებულების მიხედვით ავა-დებულებდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მემამულები მიწებს თავად საერთოდ არ ამჟა-ვებდნენ, ეს საქმე სრულიად ხიზნებ-ზე იყო მინდობილი, ისინი სრულიად უმიწამყლოდ რჩებოდნენ. მათ სარ-გებლობაში დატოვებული მიწების 80% საძოვრებს და ტყეებს მოიცავდა, ე.ი. ისეთ მიწებს, რომლებიც სახელმწიფოს ხელში უნდა გადასულიყო. დანარჩენი 20% კი სამოსახლოს, საპალე, სახნაგას და სათიბს შეადგინს.

1919 წელს გამოცემული ალექსანდ-  
რე ასათიანის „ნიგნის „მინის საკითხის  
საქართველოში“, დაყრდნობით, ჩვენ  
შეგვიძლია მაშინდელი მინის ფონდის  
აღრიცხვიანობის სურათი შევიქმნათ.  
ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს  
ინფორმაციას სახაზინო მიწებისა და  
სახაზინო გლეხების მიწების საკუთ-  
რების შესახებ. იგი მონაცემებს სა-  
ხელმწიფო ქრისტიან უწყების 1888  
წლის დიდტომებიან გამოცემებზე  
დაყრდნობით აღნერს. დასტურად  
მოჰყავს აგრეთვე: რამდენიმე ტომი  
სახაზინო საზაფხულო და საზამთრო  
საძოვრებისა და საქონლის მოშენე-  
ბის შესახებ ამიერკავკასიაში; 1899-  
1902 წლებში ამიერკავკასიის მი-  
ნადმფლობელობის სტატისტიკური  
კრიმიტეტის გამოცემები; ძველი მი-  
ნად-მოქმედების სამინისტროს კრე-  
ბულები; ხარჯის ამკრეფთა ყრილო-  
ბის ოქმები, სამიჯნო უწყებებისა და  
სახაზინო პალატის ცნობები, სასოფ-  
ლო-სამეურნეო აღნერები და სხვა.

იმუამად საბოლოო სტატისტიკურ ცნობებად საქართველოს მინადმფალობელობის შესახებ სახაზინო პალატების მასალები ითვლებოდა, რომლებიც სინამდვილესთან ყველაზე მიახლოვებული იყო. პალატებს, თავის მხრივ, ინფორმაციას აწვდიდნენ მესაკუთრები, რომელთა მიერ მოწოდებულ მასალებს მხოლოდ ზეპირად (და არა აზომვებით) ამონტებენ კომისიები. შესაბამისად, ესეც არ იძლეოდა ზუსტ წარმოდგენას თავადაზნაურთა თუ გლეხთა კერძო მფლობელობის კადასტრზე<sup>2</sup>, თუმცა



მათი სივრცისა და რაოდენობის შე-  
სახებ ზედაპირული გათვლების გა-  
კეთება შესაძლებელი იყო.

თავის წიგნში ალექსანდრე ასათი-  
ანი დამოუკიდებელი საქართველოს  
მინის ფონდს შემდეგნაირად აღნიერს:  
„სახაზინო მიწებად, საქართველოს  
სამოქალაქო სამართლის 406 მუხლის  
თანახმად, ითვლებოდა მინები, რომ-  
ლებიც მინად-მოქმედების სამინისტ-  
როს გამგეობაში ირიცხებოდა. ამ მი-  
ნების უმთავრეს ნანილს შეადგენენ  
ადგილები, რომლებიც უჭირავთ ე.ნ.  
სახაზინო გლეხებს თითქმის სრულ  
საკუთრებად, საშვილიშვილოდ. და-  
ნარჩენი ამ მინებისა შეიცავს ტყეებს  
და საზაფხულო და საზამთრო საძოვ-  
რებს. საუფლისწულო მინები უმთავ-  
რესად თბილისის და ქუთაისის გუ-  
ბერნიებში იმყოფებოდა. ამ მინების  
ერთი ნანილი უჭირავს სიზნებს და  
აგრეთვე საიჯაროდ აღებული აქვთ  
სოფლის საზოგადოებებსა და კერძო  
გლეხებს. აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოში სახაზინო გლეხებს შეადგინენ:

დამოუკიდებლობა და

ପ୍ରକାଶକ ନାମ ଓ ଠିକ୍କାଳୀଙ୍କ ପତ୍ର

„მიწის კერძო საკუთრება, სავაჭრო-სამრეწველო მოქმედების თავისუფლება, წარმოების განვითარება, სამუშაოს უზრუნველყოფა – აი მთავარი საგლობო ეკონომიკური მოთხოვნილება“.

ნოე უორდანია, „ჩვენი ტაქტიკა“

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრად წოე ხომერიკი დაინიშნა. იგი თავის ნიგნში „აგრარული რეფორმა და სახალხო მეურნეობა“ აღნიშნავს: „სასოფლო მეურნეობას მეტად დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ამიტომ მის შესახებ კვლევა-ძიება და ზრუნვა სახელმწიფოს მოქმედების ერთ-ერთ მთავარ საგანს უნდა შეადგინდეს.“

Մտաշրոծները պատճենաբառ էին այս գործությունում: Այս գործությունը կազմակերպվել է ՀՀ Կառավարության կողմէ 2010 թվականի հունվարի 1-ին դրույթում՝ ուժի մեջ մտնելու օրը:

ՀՀ Կառավարության կողմէ այս գործությունը կազմակերպվել է ՀՀ Կառավարության կողմէ 2010 թվականի հունվարի 1-ին դրույթում՝ ուժի մեջ մտնելու օրը:

1. ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტია.
2. ძალიან ხშირი იყო გადაფარვები, ცდომილებები.



აუცილებელი იყო მიწის რეფორმის გატარება, რადგან ეს საკითხი იმსანად პირდაპირ იყო დაკავშირებული ნაციონალურ საკითხთან.

1919 წლის დასაწყისში საქართველოს მაშინდელმა პარლამენტმა მინასთან დაკავშირებით შემდეგი კანონები მიიღო: სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემის შესახებ და ყოფილ სანადელო<sup>1</sup>, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ. კანონების გამოცემის პარალელურად შეჩერდა მიწების ყიდვა-გაყიდვა, და-გირავება.

რეფორმა<sup>2</sup> ორ ეტაპად დაიგეგმა. პირველი ითვალისწინებდა სახელმწიფო, საუფლისტულო, საეკლესიო-სამონასტრო და კერძო მესაკუთრეთა მიწების კონფისკაციას და სახელმწიფო და საადგილმამულო ფონდში გადაცემას. ტყეები, წყლები, ბუნებრივი ნიაღისეული და საძოვრები განაწილებას არ ექვემდებარებოდა. მეორე ეტაპი გულისხმობდა დარჩენილი მიწების უმიწო ან მცირემინიანი

გლეხებისთვის კერძო საკუთრებაში გადაცემას; მიწის ფონდის სიმცირის გამო, მჭიდროდ დასახლებული რაიონებიდან უმიწო გლეხების აუთვისებელი მიწებზე დასახლებას და სასაზღვრო რაიონების უსაფრთხოების მიზნით, ქართველი მოსახლეობის მომიჯნავე ტერიტორიებზე ჩასახლებას.

კანონის ძალით, მესაკუთრედ გამოცხადნენ სახაზინო გლეხები, ხიზები, მთიან რსეთის გლეხთა ნაწილი, რომელიც სამაჩაბლო მიწებით

**შულვაზ სოფლელთა შორის, თანამდებ უკი ინგრის კანონისა.** ამ შულვაზს უმთავრესად წინასწარი, მომზადებითი ხასიათი ჰქონდა: თოვეულ რაიონში ირკვეოდა სოფლის მიწების საერთო რაოდენობა, ნაწილ დებოლა სხვადასხვა ხარისხებად, იქრიბებოდა სტატისტიკური ცნობები უმატებო და მცირე მამულინ სოფლელთა შესახებ, ხებოლდა შეფასება საფონდო მიწებისა მთავრობისაგან დაწესებული ნორმების თანახმად, მუშავდებოდა საშეალო ჩიტები მიცემის ნორმისა და საერთო პროექტი მიწების დანაწილებისა სამინისტროს ეგზავნებოდა დასაბასტურებლად. სტიტ წინასწარი მუშაობა სტარმინებდა თითქმის ყველა მასშებში. საფონდო მიწების დანაწილების პროექტები წარ-

სარგებლობდა და სხვა კატეგორიის გლეხები.

მიწა „გლეხის ხელში გადავიდა და, უეჭველია, იგი სოფლის ეკონომიკური აღორძინების უდიდეს ფაქტორად გადაიქცევა“ - წერს ნოე ხომერიკი.

1919 წლიდან მიწების ჩამორთმე-

ვის პარალელურად მუშაობა რეფორმის მეორე საფეხურის განსახორციელებლად მიმდინარეობდა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულისხმობდა საფონდო მიწების განაწილებას უმიწო და მცირემინიან გლეხთა შორის.

ა რას წერს ამ პროცესის მსვლელობაზე თავად ნოე ხომერიკი:

საქართველო როტული აღმოჩნდა ფაქტიური მდგომარეობის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა. იგი უფრო გამანაწილებელი ორგანოს კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული. მიწა ახალ მეპატრონეს არა სრულიად უფასოდ, არამედ შეღავათიან ფასებში ეძლეოდა. შემოსული თანხებით მთავრობა რეფორმის დაცვენას ვარაუდობდა.

მიწის გადაცემის გეგმა საბოლოოდ ამგვარად ჩამოყალიბდა: მიწის გადაცემა მოხდებოდა: საკუთრებაში; მხოლოდ უმიწონებლოებისა და მცირემინაწებსთვის; მცირე საფასურით. ფასების შეალას სამინისტრო რაიონების მიხედვით აწესებდა; უშუალოდ რაიონებში კი ფასს კომისია<sup>3</sup> მიწის ხარისხის მიხედვით ადგენდა და გასცემდა „მყიდველთ საბუთს.“

რეფორმის<sup>4</sup> წყალობით კერძო საკუთრების წახალისებამ ქეყყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების რეალური პირობები შექმნა. სოფლის მეურნეობის რიგ დარგებში (მევენახობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეთამბაქეობა) თვალშისაცემი აღმავლობა დაიწყო, რაც თავს მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური წინასვლის რეალურ წინაპირობას ქმნიდა. თუმცა მოგვიანებით, მინისტრმა ხომერიკმა თანამდებობა დატოვა. ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა შიდა და გარე ფაქტორებიდან გამომდინარე ნელ-ნელა იძაბებოდა.

საქართველოს ისტორიაში შემდგომ დატრადლებული ცნობილი ამბების შემდეგ, სიტუაცია კერძო საკუთრების მხრივ სრულიად შეიცვალა. სასოფლო-სამეურნეო დანაწილების მიწებზე კერძო საკუთრების მორიგი ნიშნები მხოლოდ 70 წლიანი უდლის მოშორების შემდეგ გაჩნდა.

**თბილ შეაბაზი, მკვლევარი**

1. მიწის პატარა ნაკვეთი, რომელსაც აძლევდნენ გლეხის ოჯახს სარგებლობისათვის; ნაწილობევი მიწა.

2. 1919 წლის 30 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებაში ორი მილიონი მანეთის გადაღებისა და აგრარული რეფორმის ჩასატარებლად<sup>5</sup>. კანონს ხელს აწერდნენ პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) ექვთიმე თავადმშენების და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანია.

3. საქმის გაჭირებულების თავიდან ასაცილებლად, კომისიის წევრების არჩევის თავისი წრიდან სათემო ხმოსანთა კრებას მიენდო.

4. პირველი რესპუბლიკის აგრარულ რეფორმას ხალხი „ხომერიკის რეფორმის“ სახელით მოიხსენიებდა.

# ფილია მამორია - სელექციის ერთგული რაიონი

115 წლის შემდეგ – 1904 წელს გაისის თვეში სამათებრივოს ულამაზეს კუთხი – ჩემონოზუში სოფიულ ხაგულები დაიგადა გამოჩენილი ქართული აგრო-პიოლოგიური მეცნიერების, სახელმწიფო სელექციის ერთგული რაიონი, მისი რიგი მიმართულებაზისა და მეცნიერებათა თაობაზის აღმზრდები, სოფიულ მეცნიერების მეცნიერებათა აღმზრდი, პროფესიონალი, პროფესიონალი, პროფესიონალი, პროფესიონალი, სახელმწიფო არამიმის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოდვანე ფილია დიმიტრის ძე მამორია.



თუ თვალს გადავავლებთ პროფესორ მამორიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას შევნიშნავთ, რომ მან დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში ხაბუმეში, შემდეგ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა და საშუალო სკოლის მასწავლებლადაც მუშაობდა. 1932 წელს იგი ამთავრებს სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტს ქ. თბილისში. 1935-38 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ლენინგრადის საკავშირო მემკენარეობის ინსტიტუტში. 1941-55 წწ. ფ. მამორია თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სელექცია-მეთესლეობის კათედრის დოცენტია. აქ გამალა მან ფართო მასშტაბიანი კვლევები კაპიტალური ჩანაფიქრების სარეალიზაციოდ. 1942-44 წწ. პროფ. ფ. მამორია შეთავსებით ინიშნება ბათუმის ბოტანიკური ბალის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. შემდეგში 1948-55 წლებში კი გულიორიფშის ტენიანი სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სასელექციო სადგურის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში და დიდი წლილი შეაქვს მის ჩამოყალიბებასა და ახალგაზრდა კადრების აღზრდაში.

ფართოდ გაშლილი ექსპერიმენტალური მუშაობის შედეგად მეცნიერება მოგვცა ციტრუსოვან მცენარეთა ყინვა და მალსეკო გამძლე ჯიშების გამოყვანის მეტად ორიგინალური მეთოდები, რომელთა შედეგად მიღებულია ციტრუსოვანთა სრულიად ახალი ჯიშები: ფორთოხლისა – „მიჩურინის დიდება“, „ორდო“, „დაისი“, „პიონერი“. მანდარინის – „ადრეულა“ ლიმონის „ნესტანკა“, „დიօნისურია“ და სხვა. ხანგრძლივი მიზანმიმართული მოღვაწეობის შედეგი იყო მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემის გა-

დაწყვეტა – მალსეკო და ყინვაგამძლე ლიმონ „დიონსკურიას“ გამოყვანა და წარმოებაში დანერგვა, რამაც დამსახურებული აღიარება მოუტანა მეცნიერს, რომელიც თანამოაზრებთან ერთად აღინიშნა სახელმწიფო პრემიით.

1955 წლიდან ფ. მამორიას სიცოცხლე პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტთან გარდაცვალებამდე – 1984 წლის დეკემბერი, დასაფლავებულია მის მიერ ჩამოყალიბებული კვლევითი ლაბორატორიის ტერიტორიაზე ქ. სოხუმში. სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მას ეკავა სხვადასხვა კათედრის გამგის თანამდებობა, ვიდრე არ ჩამოყალიბდა გენეტიკისა და სელექციის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა. 1964-82 წწ. იყო სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის დეკანი.

ციტრუსოვან მცენარეთა სელექციის მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემა დაავადებებისა და მავნებლებისადმი გამძლე ფორმების განსაკუთრებით ლიმონის სელექციაში მალსეკო გამძლე ჯიშის გამოყვანა. ეს პრობლემა ბრნიკინგალედ გადაწყვიტა მსოფლიოში პირველად პროფ. მამორიამ. მან სწორედ შორეული პიბროდინიზაციის გამოყვანის და ექსპერიმენტაციის შედეგების გამოყვანის გამძლე ჯიში „დიონსკურია“ და სათანადო აღიარებაც მოიპოვა. პროფ. ფ. მამორიას მრავალმხრივი და ექსპერიმენტული კვლევის ერთ-ერთი და უმთავრესი რგოლია ციტრუსოვან მცენარეთა ციტრუსოვანთა ყინვაგამძლე ფორმების გამოყვანის ერთობლივ მნიშვნელობაში, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობაში მარტივი და მაღალი დამატებითი მნიშვნელობა გამოიყოფა. მანდარინის მეტად მალსეკო გამძლე ჯიში „დიონსკურია“ და სათანადო აღიარებაც მოიპოვა. პროფ. ფ. მამორიას მრავალმხრივი და ექსპერიმენტული კვლევის ერთ-ერთი და უმთავრესი რგოლია ციტრუსოვან მცენარეთა ციტრუსოვანთა ყინვაგამძლე ფორმების გამოყვანის ერთობლივ მნიშვნელობაში, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობაში მარტივი და მაღალი დამატებითი მნიშვნელობა გამოიყოფა.

ციტრუსოვანის მეტად ორიგინალური მეთოდები, რომელთა შედეგად მიღებულია ციტრუსოვანთა სრულიად ახალი ჯიშები: ფორთოხლისა – „მიჩურინის დიდება“, „ორდო“, „დაისი“, „პიონერი“. მანდარინის – „ადრეულა“ ლიმონის „ნესტანკა“, „დიօნისურია“ და სხვა. ხანგრძლივი მიზანმიმართული მოღვაწეობის შედეგი იყო მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემის გა-

მეცნიერის მოღვაწეობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ვეგეტატური პიბრიდაზაციის საკითხი, რისი შესწავლის ისტორია ჯერ კიდევ ჩ. დარვინიდან იწყება. იგი გონებამახვილურად ასაბუთებდა, რომ ვეგეტაციური პიბრიდების მიღება შესაძლებელია გენოტიპურად განსხვავებული ორი ორგანიზმის მყნობისა და მამა გამანაყოფიერებლის დედის სომატურ უჯრედებზე გავლენის შედეგად და სწორედ ამის მიზეზად მას მიაჩნდა ერთი უჯრედიდან მეორეში მეტაბოლიზმის პროცესში გადაადგილების უნარის მქონე სტრუქტურული ნაწილაკების „ბიომოლეკულების“ გადატანა, იგი ამტკიცებდა, რომ მცენარეთა პიბრიდების მიღება შესაძლებელია სქესობრივი პროცესის გარეშე, რაც ამჟამად თანამედროვე ბიოტექნილოგიის მეთოდების გამოყენებით რეალურად განსხორციელებული ფაქტია და ნარმალდებას ფორმათა ნარმების პროცესის მიზანმიმართულად რეგულირების ეფექტურ ხერხს. საკითხი ეწება უჯრედული ინჟინერიის ერთ-ერთ მეთოდს ე.ნ. სომატურ ანუ პარასექსუალურ პიბრიდიზაციას.

გამომდინარე ზემოაღნიშულიდან შეიძლება სრულიად მართებულად ითქვას, რომ პროფ. ფილია მამორიამ ნარუშლელი კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიაში, როგორც მსოფლიო მასშტაბის მეცნიერმა, დიდმა პედაგოგმა და მეცნიერული კადრების უბადლო აღმზრდელმა.

**რ. მამალიანი**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

**კულტურა სანამიძე**  
პროფ. ფ. მამორიას მონაცევა,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი

# ვაზის წამლობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ევროპის ზონებში კომანია BASF-ის სემის მიხედვით

ପାଞ୍ଚମୀ ନରଗାଣିକାହଳି ମହାରାଜା ତତ୍ତ୍ଵାନ୍ତ ହାତାଧ  
ଶବ୍ଦକେନ୍ଦ୍ରିଯାରୁ ପୁଣ୍ୟତଥିଲା. ମନୁଷ୍ୟଙ୍କରେ, କର୍ମରେ  
ଏବଂତଥିଲା ମହାବୋଧ ଏବଂ ମାଧ୍ୟାଲ୍ଲକାରିକାଙ୍କରେ ଏବଂ  
ଶ୍ଵରୀ ମହିଳାଙ୍କରେ ମହାବୋଧ, ସାତିରିରୀଙ୍କରେ ଏବଂତଥିଲା  
କୈବିଦୀ ଏବଂ ମାଞ୍ଚକର୍ମଙ୍କରେ ମହାବୋଧରେ କରନ୍ତୁ  
ଶିଖିଲା କରନ୍ତୁମୁଣ୍ଡିଲା ଲାଭକାରୀଙ୍କରେ ମହାବୋଧ.

ვაზის ცამლების სერა შეიძა პირველი კლიენტი. აიროპორტის მთვარის  
 (ზოგიერთი ყველაზე დიდი აეროპორტის მიმდევარი) მიმდევარი მარტინ  
 მარტინი მარტინი, გავაზი, შიდა აეროპორტის გურჯაანის, თელავის და  
 სიღნაიას ნაწილი, ალაზნის ველი - პარა აეროპორტის მიმდევარი)

		ფენოლოგიური ფაზები	წამლ. დრო
		კვირტის დაბერ. ფაზა	
ბი-58 ახალი		1,5 ლ	
პირველი წამლობა	პირვ. ფოთლის გაშლა	5 მაისი	
1 კუპრუმ მზ	3 კგ		
2 კუმულუსი	6 კგ		
მეორე წამლობა	3-5 ფოთოლი	13 მაისი	
1 პოლირამ დფ	2,5 კგ		
2 ვივანდო	0,2 კგ		
მესამე წამლობა	6-9 ფოთოლი	22 მაისი	
1 კაბრიო ტოპი	2 კგ		
2 ფასტაკი	0,3 ლ		
მეოთხე წამლობა	ყვავილობის დასაწ.	2 ივნისი	
1 აკრობატ ტოპი	1 კგ		
2 კოლისი	0,4 ლ		
3 სპიდფოლ ბორი	1,5 კგ		
მეხუთე წამლობა	ყვავილობის დასას.	15 ივნისი	
1 ორვეგო	1 ლ		
2 კოლისი	0,4 ლ		
მეექვეს წამლობა	ნაყოფის ფორმირება	25 ივნისი	
1 კაბრიო ტოპი	2 კგ		
2 ფასტაკი	0,3 ლ		
მეშვიდე წამლობა	მტევნის შეკვრა	5 ივლისი	
1 პოლირამი დფ	2,5 კგ		
2 სერკადისი	0,2 ლ		
3 ფერსატ სანი	3 ლ		
მერვე წამლობა	მტევნის შეთვალება	15 ივლისი	
1 მანგრიფი	2,5 კგ		
2 ვივანდო	0,2 ლ		
3 ფასტაკი	0,3 ლ		
მეცხრე წამლობა	სიმწიფის დასაწყისი	25 ივლისი	
1 პოლირამი დფ	2,5		
2 სერკადისი	0,2 ლ		
3 ფერსატ სანი	3		
მეათე წამლობა		5 აგვისტო	
1 კუპრუმ მზ	3 კგ		

	პრეპარატის დასახ.	სარჯუ. ნორმა/ჰ-ზე	ფენოლოგ. ფაზა
	პირველი წამლობა		კვირტის გახსნა
1	ბლუ ბორდო 1% ხსნ.	5 კგ	
2	კუმულისი	5 კგ	
	მეორე წამლობა		4-6 ფოთოლი
1	პოლირამი დფ	2.5კგ	
2	ვიგანდო	0.2კგ	
3	ბი-58	1.5ლ	
	მესამე წამლობა		ყვავილ. დასაწყ.
1	მანკოლაქსილი	2,5	
2	კოლისი	0,4ლ	
3	ფასტაკი	0,3ლ	
	მეოთხე წამლობა		ყვავილ. დასას.
1	მანკოლაქსილი	2,5	
2	ფასტაკი	0,3	
	მეექვსე წამლობა		მტევ. შეთვალება
1	კუპროფიქსი	3.0კგ	
2	ვიგანდო	0,2კგ	
	მეშვიდე წამლობა		სიმწიფის დასაწ.
1	პოლირამი დფ	2.5 კგ	
2	კუმულისი	5 კგ	

ვარდის ცაგლობის სტეპან მარტინი კლიმანთ. აიროვაზისთვის  
 (ქონები: იარის ჭავანი, ქართლი, იარეთი, რაჭა, ლეჩევანი)

	პრეპარატის დასახ.	სარჯ. ნორმა/ჰ-ზე	ფენოლოგ. ფაზა
	პირველი წამლობა		4-6 ფოთოლი
1	პოლირამი დფ	2,5კგ	
2	კუმულუსი	5კგ	
3	ბი- 58	1,5ლ	
	მეორე წამლობა		ყვავილ. დასაწ.
1	მანქოლაქსილი	2,5	
2	კოლისი	0,4ლ	
3	ფასტაკი	0,3ლ	
	მესამე წამლობა		ყვავილ. დასას.
1	მანქოლაქსილი	2,5კგ	
2	კოლისი	0,4ლ	
	მეორთხე წამლობა		ნაყოფ. ფორმირ.
1	კაბრიო ტოპი	2 კგ	
2	ფასტაკი	0,3ლ	
	მეხუთე წამლობა		მტევ. შეთვალება
1	მანგრიფი	2,5კგ	
2	ვიგანდო	0,2კგ	
	მეექსე წამლობა		სიმწიფის დასაწ.
1	პოლირამი დფ	2,5 კგ	
2	კუმულისი	5 კგ	

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეცნიერების ზონებში ვაზის ძირითადი დაავადებებია: „ჭრაქი“, „ნაცარი“, „ანთრაქნოზი“, „ნითურა“, შავი და რუხი სიდამპლები, შავლაქიანობა.


მავნებლებიდან აღსანიშნავია: კვირტის ჭია ანუ ბუკნა, ვაზის ქეჩისებური და აბლაბუდიანი ტკიპები, ვაზის ჭიჭინობელა, ფევილისებური და ბალიშა ცრუფარიანები, ყურძნის ჭია.

აქვე გთავაზობთ ვაზის დაცვის სქემებს 1 ჰექტარზე გადაანგარი-

შებით მძიმე, საშუალო და მსუბუქი ზონებისათვის.

უნდა ავლიშნოთ, რომ ასეთი დაყოფა ფრიად სქემატურია და გასათვალისწინებულია თითოეული ნაკვეთის ადგილმდებარეობა, მისი ექსპოზიცია, ნიადაგის ტიპი, ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა, მისი წყალმართვი თვისებები და გრუნტის წყლის დგომის სიღმე, მიკროკლიმატური თავისებურებები. ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი გავლენას ახდენს ვაზის ნამლობის სქემის შერჩევაზე.

თბილისი, წერეთლის გამზ. 116,  
ტელ/ფაქსი: 2 341 678; მობ.: 597 170 703  
ელ.ფოსტა: [agrovitae@gmail.com](mailto:agrovitae@gmail.com)  
[www.agrovitafsc.com](http://www.agrovitafsc.com)



## ადამიანური თემა

# მიწის წორი კანონდებლობა ერის და სახელმწიფო პირველი კომისაა

საქართველოს პარლამენტი ინიციირებულია და განიხილა სამწუხაობა, აიროდ, აირველი მოსახლით მიღებულიც არის) მიზის შესახებ ორი კანონ-პროექტი, პერძები: „სასოფლო სამუშაოები და განვითარების მიზის სამუშაოების შესახებ“ და „მიზის მიზნობრივი და განვითარების განსაზღვრის და სასოფლო სამუშაოები და განვითარების მიზის მდგრადი მართვის შესახებ“. სამუხარისებრიდან, აშკარაა, რომ ამ კანონპროექტების მიღებით მიწის საკითხი არა თუ არ გადაწყვდება, არა-მედ პირიქით – კიდევ უფრო მეტად ბუნდოვანი გახდება ქართული მიწის ბედი. ასეთ ბუნდოვანებასა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებს განაპირობებენ შემოთავაზებული კანონპროექტების როგორც სისტემური ხასიათის ხარვეზები, ასევე, კონკრეტული არასწორი და მცდარი გადაწყვეტები. კერძოდ:

### 1. სისტემურ ხარვეზებთან დაკავშირებული ზოგადი შენიშვნები

მიწის საკითხის საკონსტიტუციო მოწესრიგებასთან დაკავშირებით თავის დროზე ჩვენს მიერ ჩამოყალიბდა პოზიცია (იხ. „მიწაზე ეროვნული თანხმობა კონსტიტუციამ უნდა გადაწყვიტოს“ <http://iverioni.com.ge/16385-mitsaze-erovnuli-thankhmoba-konstituciam-unda-gadatsyvitos.html>), რომ კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე მიწის საკითხი აუცილებლად კომპლექსურად უნდა მოწესრიგებულიყო როგანული და კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტით. მაშასადამე, კონსტიტუციიდან გამომდინარე, მიღებული უნდა ყოფი-

ლიყო როგანული კანონი „მიწის კოდექსი“, რომელიც სისტემატიზებულად, ერთიან კომპლექსში, თავს მოუყრიდა როგორც მიწათმთლობელობის, ასევე მიწათსარგებლობისა და მიწის მართვის საკანონმდებლო ნორმებს; სწორედ ეს შექმნიდა მიწის სახელმწიფო და მუნიციპალური მწყობრი პოლიტიკის მყარ სამართლებრივ საფუძვლებს და აქედან გამომდინარე, განაპირობებდა სასიცოცხლოდ აუცილებელ მიწის რეფორმასაც, რომლის კიდევ გადადება შეიძლება უკვე საბედისწერო აღმოჩნდეს.

სამწუხაროდ, ეს პოზიცია მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული; ამ თვალსაზრისით საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის ფორმულირება („4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს როგანული კახონით, რომელიც მიღებია პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით“) ნაკლულია, ვინაიდან მიწის შესახებ ორგანული კანონის მიზნები, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ – არსებითად სისტემური ხა-



სამწუხაროდ, წარმოდგენილ კანონ-პროექტებში მინის საკითხი ფუნდა-მენტურად და სისტემურად კვლავაც გადაუწყვეტელი რჩება; ეს კანონბ-როექტები მხოლოდ ფრაგმენტულად და, რაც უფრო მეტად გულდასაწყვე-ტია, არასწორად ანესრიგებენ მინის საკითხს და ამდენად, ვერ გამოდგე-ბიან ვერც მინის პოლიტიკისა და მით უმეტეს – ვერც მინის რეფორმის სა-მართლებრივ საფუძვლებად. ამგვარ ფრაგმენტულობას განაპირობებს შემდეგი:

ନ୍ତାରମ୍ବଦୟଙ୍କିଲୋ ଶାବିତ ଅର୍ଗାନ୍ୟାଳୀ  
ଜାନ୍ମନିତ ଶେସରିଗଦେବା (ପିଲିଚ ଅରାସର୍ଜୁ-  
ଲ୍ଲାଦ ଦା ଅରାସନ୍ତରାଦ) ମେଳିଲାଗ୍ରେ ଶାଶ୍ଵତ-  
ଲ୍ଲାଗ-ସାମ୍ଭାରନ୍ଧେ ଡାନ୍ତିଶିଳ୍ପିର୍ବ୍ୟଲି ମିନିଲି  
ସାକ୍ଷୁତର୍ଗେବାସତାନ ଡାକ୍ଷାଶିଳ୍ପିର୍ବ୍ୟଲି ଶା-  
ଜିତର୍ବ୍ୟଳି; ରାତ୍ର ଶେସର୍ବ୍ୟଳି ଅରାନାକଲ୍ପିବାଦ  
ମନିଶ୍ଵେଲ୍ଲାଗାନ ଲେଖା ଶାକ୍ଷିତର୍ବ୍ୟଳି, ମାତ ଶର-  
ରିଲ - ଅରାଶାଶାଶ୍ଵତାଲ୍ଲାଗ-ସାମ୍ଭାରନ୍ଧେ ଡାନିଶ-  
ନ୍ତାରମ୍ବଦୟଙ୍କିଲୋ ମିନାତମଫ୍ଲାବ୍ୟଲାବାସ, ଅଗ-  
ର୍ଯ୍ୟତରେ ରାଗାରିଚ ଅରାଶାଶ୍ଵତାଲ୍ଲାଗ, ଆସ୍ଵାସେ  
ସାଶ୍ଵତାଲ୍ଲାଗ-ସାମ୍ଭାରନ୍ଧେ ଡାନିଶନ୍ତାରମ୍ବଦୟଙ୍କିଲୋ  
ମିନାତଶାରଗ୍ରେବାଲ୍ଲାବିଲେ ଜ୍ଞାନଦାଶ୍ଵେତତ୍ତ୍ଵର  
ଶରିନ୍ଦ୍ରିୟର୍ବ୍ୟଳିଶା ଦା ନାରମ୍ଭର୍ବ୍ୟଳି, ଏହ ଅରନ୍ଦ-  
ଲ୍ଲାମାତିକା କ୍ଵଲାବାପ ଶାକ୍ଷାନାନମଦ୍ଦେବାଲ୍ଲା  
ମନ୍ତ୍ରେଶରାଗର୍ବଦୟଙ୍କିଲୋ ଗାର୍ଜିଶା ଡାତ୍ରାଗ୍ରେବ୍ୟଲା-  
ଲ୍ଲାଗ; ବେଳା ଶାଶ୍ଵତାଲ୍ଲାଗ-ସାମ୍ଭାରନ୍ଧେ ମିନିଲି  
”ମଦଗରାଦ ମାରତିବ୍ୟଳି“ (ରାଗାରିଚ ଅରନ-  
ିଶ୍ଵେତର୍ବ୍ୟଳି ଆଶ୍ରମରୀ ଶ୍ରଦ୍ଧାବଦିଲେ) ମନମନ୍ତ୍ରେ-  
ଶରିଗର୍ବଦୟଙ୍କିଲୋ ନାରମ୍ଭର୍ବ୍ୟଳି (ଅଳକ୍ଷ୍ମୀ ଗାମନତ୍ରା-



როგორც ეს არაერთგზის გვაქვს აღნიშნული (იხ. მაგალითად იგივე ზემოთ აღნიშნული წერილი), გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ფუნდამენტური პრინციპები, მათ შორის ორი უმთავრესი პრინციპი:

1. მიწა არა მხოლოდ ბუნებრივი და ოდენ ეკონომიკური რესურსია, არა-მედ, ჩვენი ეროვნული იდენტობის დამდგენი ერთ-ერთი უმთავრეს ლი-რიპულებაა;

2. მინის საკუთრება იმავდროულად სოციალურად დამავალდებულებელი ბუნებისაა, რაც ხაზგაშმული იყო კიდეც საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 116-ე მუხლში; (ასევე ყურადსალებია, რომ საკუთრების სოციალურად დამავალდებულებელი ბუნება მკაფიოდ არის ასახული თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სოციალური სახელმწიფოს – გერმანიის – კონსტიტუციის მე-14 მუხლში);

სამწუხაროდ, ნარმოდგენილი კანონმდებლები შორს დგას ამ დამდგენი პრინციპებისგან, რის გამოც სისტემური თვალსაზრისით მიწის საკითხი კვლავაც მოუწესრიგებელი რჩება; ამდენად, ამ კანონმდებლების მიღების შემთხვევაში დღეს არსებული სავალალო სურათი დიდად არ შეიცვლება: მიწის საკითხის (მიწათმფლობელობა, მიწათსარგებლობა და მიწის მართვა) სისტემური მოუწესრიგებლობის გამო ისევ გაურკვევე-

ლი იქნება მიწის სახელმწიფო ოუ მუნიციპალური პოლიტიკა და კვლავაც ბურუსით მოცული დარჩება ქვეყნის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და გადაუდებელი მიწის რეფორმის ბედი.

2. მცდარ გადაწყვეტებთან დაკავშირებული კონკრეტული შენიშვნები

ფრაგმენტულობასა და არასისტე-  
მურ ხასიათთან ერთად, წარმოდგენი-  
ლი კანონპროექტებით თვალსაჩინოა

როგორც სასოფლო-სამაურნეო და-  
ნიშნულების მინათმფლობელობას-  
თან, ასევე მის მართვასთან დაკავ-  
შირებული მთელი რიგი საკითხების  
მცდარი და ეროვნული ინტერესე-  
ბისათვის საფრთხის შემცველი გა-  
დაწყვეტაც, კერძოდ:

၅. ရုက္ခဗောက်ဖြင့် အပျော်တွေထိုး လော်နီဆံ-  
ိုး၊ ဗြို့ကြော်လျှော့ခုံ မိမိုး ဂာသီးသီး-  
ိုး ပဲ့ပေါ်လျှော့ဖွား (ရှာဖူ ဘို့ဘို့လျှော့ပို့ရှုံး  
ပြနားလိုက်ပါသော တာနာမူဖော်ရှုံး စာမာရ-  
တော်ပို့ရှုံး စာအော်လီမီနို့ဖွာ့း ဖျော်-  
ဖွေးဆုံး ဗြို့ကြော်လျှော့ပို့ရှုံး) ထိုးကြ-  
ပို့ရှုံး မိမိုး ပဲ့ပေါ်လျှော့ပို့ရှုံး)

იგი მინის კანონმდებლობის განმ-  
საზღვრელი ფუნდამენტური პრინცი-  
პებიდან (მიწა, როგორც ეროვნული  
იდენტობის დამდგენი ლირებულება  
და მიწაზე საკუთრების სოციალურად

დამავალდებულებელი ბუნება) უნდა გამომდინარეობდეს; უცხოელებზე გასხვისება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იყოს დასაშვები; და ერთადერთი საფუძვლით – როცა აქარაა განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური ინტერესი ჩვენთვის ანუ საჩვენო საზოგადოებრივი სიკეთე, რაც მთავარია: თითოეულ ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაზე გადაწყვეტილებას ექსკლუზიურად უნდა იღებდეს საქართველოს მთავრობა და ამასთან, ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი თემის ნინასწარი თანხმობით შეიძლება მიიღებოდეს, სადაც კონკრეტული მიწის ნაკვეთი მდებარეობს; იმის მაგივრად, რომ ორგანულ კანონს სწორად განისაზღვრა ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დაინტერესებული სუბიექტის მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი პირობები (მათ შორის – საინვესტიციო გეგმა და ამ გეგმის უზრუნველსაყოფად მყარი ფინანსური გარანტიები). სავალდებულოა გადაწყვეტილების მიღების მაფიო და გამჭვირვალე პროცედურა. კანონპროექტში შემოთავაზებულია გასხვისების ამ საფუძველთან არსებითად დაუკავშირებელი და, ამდენად, შეუ-

საბამო წინასწარ დადგენილი ჩამონათვალი იმ უცხოელი სუბიექტებისა, ვისაც შესაძლოა სასოფლო-სამურნეო მინა გამონაკლისის სახით საკუთრებაში გააჩნდეს.

**ბ. განსაკუთრებით სავალალოა, რომ ორგანული კანონის წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ასეთ, წინასწარ განსაზღვრულ სუბიექტებს შორისაა „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა დომინანტი პარტიონია უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, თუ სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება წარმოიშობა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტების საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის შედეგად“ (იხ. ორგანული კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი). კანონპროექტიდან უშუალოდ არ გამომდინარებს, მაგრამ ალბათ უნდა ვიგულისხმოთ, რომ უცხოელი „ფინასური ინსტიტუტების“ (?) მიერ მინის საკუთრების უფლების შექნას კანონპროექტის ავტორები უკავშირებენ სავარაუდოდ იპოთეკას, რაც კიდევ უფრო გაუგებარსა და ბუნდოვანს ხდის ამ ნორმის შინაარსს.**

მართლაც, საქართველოს ეროვნული ბანკის განმარტების შესაბამისად – „იპოთეკური კრედიტი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი კრედიტი, რომლის მეშვეობით კრედიტის ამლებს შეუძლია შეიძინოს, ააშენოს ან გაარემონტოს უძრავი ქონება – ბინა, სახლი, აგარაკი, მინის ნაკვეთი. იპოთეკური კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში, აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკების უფლება აქცის მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია“.

აბსოლუტურად დაუშვებელია, რომ თუნდაც მინის ნაკვეთის რეალიზაციამდე, ე.ი. შეზღუდული ვადაში (პროექტის მიხედვით ეს ვადა ცოტა არ არის, იგი 2 წელიწადს უტოლდება), ე.წ. საფინანსო ინსტიტუტმა სასოფლო-სამურნეო მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება შეიძინოს, რადგან სასოფლო-სამურნეო წარმოება მის საქმიანობასთან სავსებით შეუთავსებელია. ეს ფაქტობრივად მინის რეალიზაციამდე მის მოცდენას განპირობებს და ქმნის მოცდენილი მიწებით სპეცულაციის უდიდეს რისკს;

რაც მთავარია – არსებითად და დაუსაბუთებლად იზღუდება ისედაც გაკოტრებული მკვიდრი მიწის მეურნის უფლებები; ასეთ შემთხვევაში, როცა სასოფლო-სამურნეო წარმოება კოტრდება, საჭიროა არა მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება და მკვიდრი მეურნის საკუთრების უფლებებს გარანტირებულად დაკარგვა, არამედ პიროვით: ქმედითი საკანონმდებლო მექანიზმები, რათა კრედიტის ამღებს როგორმე მდგომარეობა შეუმსუბუქდეს, როგორმე შეძლოს გაკოტრების განსაკუთრებულ რეზიტი ვალდებულებების ისე გასტუმრება, რომ არც მინა მოცდეს და იქნებ ამ გამრჯე მეურნემ საკუთრების უფლებაც შეინარჩუნოს. სწორედ ამიტომ, კანონმდებლობა სასოფლო-სამურნეო წარმოების გაკოტრების საკითხებს განსაკუთრებით უნდა ანესრიგებდეს იმ მკაფიო საზოგადო ინტერესიდან გამომდინარე, რომ სასოფლო-სამურნეო საქონლის წარმოება არ შემცირდეს, მინა არავითარ შემთხვევაში არ მოცდეს და, მით უმტეს, მას არა წარმოების განვითარებითა და მინის უკეთ გამოყენებით დაინტერესებული, არამედ შეუსაბამოდ უცხოპატრონოს, რომლის ერთადერთი „კანონიერი“ ინტერესი მინის სპეცულაციურ ფასში გაყიდვა იქნება და სხვა არაფერი! აღარაფერს ვამბობთ, რომ ამ „კანონიერი“ მიზნის მიღმა არაკეთილსინდისიერ სუბიექტს შესაძლოა ქვეყნის ეროვნული ინტერესების სანინაალმდეგო ინტერესიც ამოძრავებდეს.

ამრიგად, წინასწარ ჩამონათვალში საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სხეული სამართლებრივად გაუგებარია და უარესიც: ბადებს დასაბუთებულ ეჭვს, რომ ეროვნული ინტერესების სანინაალმდეგოდ გარკვეული ფინანსური ინსტიტუტები ახორციელებენ შეგნებულ ზენოლას საქართველოს სუვერენულ მთავრობაზე, რათა ქართულ მიწაზე საკუთრების უფლებაში გამოარიცება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იღებდეს; გარდა ამისა, ოდენ საინვესტიციო გეგმა როგორც ასეთი გადაწყვეტილების შესაბამისი, სავალდებულოდ შესასრულებელი პირობა და არა თავად საფუძველი. მთავრობა ასეთ გადაწყვეტილებას არავითარ შემთხვევაში არ უნდა იღებდეს; გარდა ამისა, ოდენ საინვესტიციო გეგმა, როგორც თუნდაც სავალდებულო პირობა, აქ საქმარისი არ არის, არამედ აუცილებელია ასევე ამ გეგმის ფინანსური უზრუნველყოფის გარანტიებიც; საერთოდ კი უმჯობესია, რომ უცხოელების დომინანტობით შექმნილ იურიდიულ პირებზე მინის გასხვისებისგან თავი

ლება, მიუხედავად მათი საქმიანობის სასოფლო-სამურნეო წარმოებასთან სრული შეუსაბამობისა, შეიძინონ!

**ბ. ასევე გაუგებარი და საფრთხის შემცველია სასოფლო-სამურნეო მიწის საკუთრების შესახებ ორგანული კანონის პროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც კონსტიტუციის ჩანაწერის საწინააღმდეგოდ მინა შეიძლება იყოს არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების, არამედ ისეთი „კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში, რომლის დომინანტი პარტიიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი“; ეს ტექსტი, ჯერ ერთი, პირდაპირ წინააღმდეგობაშია მსოფლიო პრაქტიკასთან, მეორეც იგი წინააღმდეგობაშია საღადა აზრთან და მოცემულ საზოგადოებისადმი ერთგულებასთან. დათქმა, რომ ეს შეიძლება მხოლოდ „საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საინვესტიციო გეგმის საფუძველზე“ არაფრის მთქმელია, რადგან როგორც ზემოთ ვთქვით, „საზოგადოებრივი სიკეთის“ ცნებაში იგულისხმება და შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ „ჩვენი საზოგადოებისთვის სიკეთე“ და არა უცხოპლანეტებისა. მითითება „საინვესტიციო გეგმაზე“, როგორც ასეთი გადაწყვეტილების საფუძველზე, მცდარია, რადგან, ჯერ ერთი, საინვესტიციო გეგმა მხოლოდ ამ საფუძვლის შესაბამისი, სავალდებულოდ შესასრულებელი პირობა და არა თავად საფუძველი. მთავრობა ასეთ გადაწყვეტილებას არავითარ შემთხვევაში არ უნდა იღებდეს; გარდა ამისა, ოდენ საინვესტიციო გეგმა, როგორც თუნდაც სავალდებულო პირობა, აქ საქმარისი არ არის, არამედ აუცილებელია ასევე ამ გეგმის ფინანსური უზრუნველყოფის გარანტიებიც; საერთოდ კი უმჯობესია, რომ უცხოელების დომინანტობით შექმნილ იურიდიულ პირებზე მინის გასხვისებისგან თავი**





შევიკავოთ და მათ არა საკუთრებაში, არამედ სარგებლობის უფლებით გა-აჩნდეთ სასოფლო-სამურნეო დანიშ-ნულების მიწა;

**გ. მიუღებელია მიწის მესაკუთრე სუბიექტების ჩამონათვალში (იხ. ორგანული კანონპროექტის მე-4 მუხლის 1-ელი ბუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) ზოგადად საჯარო სამართლის იურიდიული პირების სხენება. მართლაც, გარდა, შესაძლოა, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა (რომელიც კანონში ცალკე ბუნქტადაა გამოყოფილი) და მუნიციპალიტეტი-სა, გაუგებარია, რომელიმე სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს რა მიზნით შეიძლება სასოფლო-სამურნეო მიწა საკუთრებაში ჰქონდეს? გასაგებია, რომ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება კანონით ან მმართველობის ორგანოს აქტით დაფუძნდეს სისიპ-ი რომელიც, შესაძლოა, სოფლის მეურნეობასაც მისდევს, მაგრამ, თუნდაც ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში (რომლის მიზანშეონილობა არც თუ იოლად დასასაბუთებელია) რა საჭიროა იგი მიწის მესაკუთრე იყოს? საკმარისია მას სახელმწიფო საკუთრების მიწა სარგებლობის ან მართვის უფლებით (მაგალითად უზურფუნქტით, ან, ვთქვათ, მართვის ისეთი უფლებებით, რასაც დღესაც ახორციელებს სისი „სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო“) გადაეცეს, რათა შეუზღუდულავად განახორციელოს საკუთარი საქმიანობა.**

**დ. ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი,** რაც მიწის კანონმდებლობას უნდა ჰქონოდა, ეს სახელმწიფო საკუთრების მიწის მუნიციპალურ საკუთრებასა და შესაბამისი თემის უსასყიდლო, უვადო სარგებლობაში გადაცემა უნდა ყოფილიყო. სახელმწიფო საკუთრების მიწის მუნიციპალიტაცია და ადგილობრივი თემის უვადო და უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა მი-

ნის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს, რაც ასევე სასიცოცხლოდ უკავშირდება ქვეყნის მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის სტრატეგიასაც, რომლის განხილვა სწორედ ახლა მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტში. ამ თემის შესახებ თავის დროზე არა ერთი წერილი გამოგვიქვეყნებია (მაგ. იხ. „მიწის საკითხი ანუ ბედი ამა ქვეყნისა“ <https://for.ge/view/42953/miwissakiTxi-anu-bedi-ama-qveynisa-meore-nawili.html>), მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ.

ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რაც ამ პროექტებში უნდა გატარდეს და ნარმოდგენილ დოკუმენტებში საერთოდ არ არის ამაზე მინიჭებაც კი, ისტორიული სამართლიანობის, მაშასადამე, მიწაზე სათემო უფლებების, თანამედროვე სახით აღდგენაა – კერძოდ: სახელმწიფო საკუთრებაში შეიძლება დარჩეს მხოლოდ ის მიწა, რაც კონკრეტული სახელმწიფო კომპეტენციის განსახორციელებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების, საერთაშორისო ვალდებულების, საერთაშორისო ანდა საერთო-ეროვნული მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტის განსახორციელებლად არის აუცილებელი; დანარჩენი, დღეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, როგორც რეგისტრირებული, ისე არა რეგისტრირებული მიწა უნდა გამოცხადდეს და უპირობოდ (გარკვეული გარდამავალი ბერიოდის შემდგომ), დარეგისტრირდეს მუნიციპალურ საკუთრებად და უსასყიდლო, მუდმივ მფლობელობაში გადაცემს შესაბამის სასოფლო თემს (უნინარეს ყოვლისა, აქ უნდა ვიგულისხმოთ საძოვრები და სათიბები, მაგრამ არა მარტო).

**აუცილებელია შეიცვალოს პრეზუმცია, რომლის ძალითაც დაურეგისტრირებელი მიწა სახელმწიფო საკუთრებად მიიჩნევა. მიწა, რომელიც**

კერძო საკუთრებისა არ არის და გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ გამოჩენდება მისი კანონიერად მფლობელი და მოსარგებლე, რომელიც შესაბამისი ნაკვეთის საკუთრებად დარეგისტრირდეს არა სახელმწიფო, არამედ მუნიციპალურ საკუთრებად და ასევე თემს მუდმივ, უსასყიდლო მფლობელობაში გადაეცეს.

სამწუხაროდ, წარმოდგენილი კანონპროექტი საერთოდ გვერდს უვლიან ამ უმნიშვნელოვანეს თემას და გვრჩება ვითარება, როცა სასოფლო-სამურნეო მიწის ყველაზე მსხვილი მესაკუთრე, როგორც ლენინის მიწის დეკრეტის, ე.ო. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მიტაცებული მიწის მემკვიდრე, კვლავაც, ამჯერად უკვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოა, რაც სარულიად მოუთმენელია და სავსებით შეუთავსებელი სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ პრინციპებთან. თუ ამ მოხდება ამ თავის დროზე მიტაცებული მიწის, რაც სახელმწიფოს არაფერში სჭირდება და მხოლოდ გასაყიდლად თუ გაახსენდება, მუნიციპალურ საკუთრებასა და ადგილობრივი თემის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა, ძნელი იქნება სოფლის მეურნეობისა, ხოლო ზოგადად – ქვეყნის განვითარებაზე ოცნებაც კი.

**ე. ორგანულ კანონპროექტში საუბარია სახელმწიფოს მიერ მიწის უპირატესი შესყიდვის უფლებაზე(იხ. ორგანული კანონპროექტის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი); როგორც არაერთგზის გაგვიმახვილებია ყურადღება, მიწის გაყიდვისას უპირატეს მყიდველთა რიგითობა უნდა დადგინდეს და სახელმწიფოს წინ ამ რიგში უთუუდ უნდა იყოს თავად თემში მცხოვრები სოფლის მეურნე, შემდეგ – მუნიციპალიტეტი, რომელიც მიწას გამოისყიდის სათემო სარგებლობისათვის და მხოლოდ მას შემდეგ – სახელმწიფო. აქვე, რასაკვირველია, თუ ზემოთ ნახსენები რომელიმე პირობა (კონკრეტული სახელმწიფო უფლებამოსილების უზრუნველყოფა, სახელმწიფო უსაფრთხოება, საერთაშორისო ვალდებულება, საერთაშორისო ან ეროვნული მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტი) წარმოიშობა, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება, გამოისყიდოს კერძო მესაკუთრისგან, ხოლო, თუ მიწა მუნიციპალურ საკუთრებაშია, უსასყიდლოდ მიიღოს საკუთრებაში საჭირო ნაკვეთი.**

**ვ. კანონპროექტში ნახსენებიც კი არ არის, რომ პირი, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა და მიწის მესაკუთრეა, სოფლის მეურნის (ფერ-**

მერის) სტატუსით უნდა სარგებლობდეს. სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს მას და ამისათვის კანონმდებლობით მიანიჭოს გარკვეული უპირატესობები, მაგალითად მიწის ნაკვეთის შესყიდვისას, სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეალიზაციისას, მიწის დასამუშავებლად იაფი კრედიტის მოსაძიებლად, მონინავე ტექნოლოგიების დანერგვისას და სხვ.

**ზ. განსაკუთრებით გულსატკენია,** რომ კანონბროექტის ავტორებმა საბოლოოდ უარი თქვეს მიწის მართვის სისტემის გამართულ ინსტიტუციონალიზაციაზე; „მიწის მიზნობრივი დანიშნულებს განსაზღვრის და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ კანონის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში ნახსენები იყო „მიწის მდგრადი მართვის და მიწასარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო“, რაც პირველი მოსმენით მიღებულ პროექტში უკვე ამოღებულია. მის მაგივრად შემოთავაზებულია სოფლის მეურ-

ნეობის სამინისტროს გამგებლობაში მყოფი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება, რომელიც, ბუნებრივია, ვერ შეძლებს უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული ფუნქციის – მიწათსარგებლობის აღრიცხვისა და მიწათსარგებლობის სტრატეგიული დაგეგმარების ამოცანების შესრულებას. ასევე, საერთოდ არის მხედველობიდან გამორჩენილი ადგილობრივი, მუნიციპალურ დონეზე მიწათმოწყობის ორგანიზების საკითხი, რის გარეშეც მიწის „მდგრადი მართვა“ საერთოდაც წარმოუდგენელია.

#### დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ:

წარმოდგენილი სახით კანონპროექტების მიღება დაუშვებელია; კვლავაც მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გვერდზე გადადოს აღნიშნული უვარგისი პროექტები და ამ სფეროს აღიარებული სპეციალისტების ჩართულობით დაიწყოს ინტენსიური მუშაობა „მიწის კოდექსის“ პროექტზე, რომელიც სისტემური მიდგომის საფუძველზე თავს მოუყრის მიწათმფლობელების, მი-

წათსარგებლობისა და მიწის მართვის საკანონმდებლო ნორმებს, შექმნის მყარ სამართლებრივ საფუძვლებს მიწის სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიტიკის საწარმოებლად, უზრუნველყოფს მიწის ისეთი რეფორმის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც ხანგრძლივადიან პერსპექტივაში შექმნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად ქართული მიწის რაციონალურად გამოყენებისა და სათანადო დაცვის მწყობრ სისტემას, რაც ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძვლთა საფუძველია.

**პატა მუდული, ექსპერტი აგრარული ეკონომიკის საკითხებში, აკადემიკოსი;**

**დამი ზარდიაზოდი, ექსპერტი მუნიციპალურ სამართალში,**

**აძრუ მასიზოდი, სერთიფირებული ექსპერტი მიწის საკითხებში, ეკონომიკის დოქტორი)**

## ეს საიდეალოა

# გველებთან ეფექტის მეზობლი – „მანგუსტი“

ზაფხულის დაღგომასთან ერთად აპტელურია გველებთან პრძოლა. ქართული ნარმობის გველების პილოგიური შემართვაზე „BIOLOGIKAL STOPPER – მანგუსტი“ ეფექტისად დაგიცავთ გველებისან ეზოში, აგარაჟში, ბალში და ზველგან, სადაც გველებისა შესაძლოა საზროვანო შეგიძლიათ.

ქვეწარმავლების საწინააღმდეგო რეპელენტი – „მანგუსტი“, შესასხურებელი პრეპარატია.

**შემადგენლობა:** ნაოკონლოიდური სსნარი-ფიტომერუკაპტანები არანაკლებ 3%, დამხმარე ნივთიერება – ეთილის სპირტი.

„მანგუსტი“ – ბიოლოგიური საშუალებაა, რომელიც ეფექტურად უმკლავდება გველებს. გამოიყენება შენობა – ნაებობების გარშემო ან ფანჯრის რაფებთან, კარის ზღურბლზე, ფარებში, ფარდულში, საცურაო აუზთან, ბალ-ბოსტნებში, ხის ქერქის დასამუშავებლად, მინდვრებსა და სავარგულებში, სათავსოებსა და სხვა ადგილებში, სადაც შესაძლოა გველების არსებობა. ნადირობისა თუ სხვა სამუშაოს შესრულებისას შესაძლოა ფეხსაცმელისა და ჩექმის დამუშავება. მანგუსტის გამოიყენება უსაფრთხოა ბავშვებისა და ცხოველებისთვის.

„მანგუსტი“ უსაფრთხოა როგორც გარემოსთვის, ისე – ადამიანებისათ-

ვის. ბიოლეგრადირებადია და მითითებისამებრ, გამოიყენების შემთხვევაში არ აზიანებს გაზონებს, ბალებს, ყვავილებს და სხვა მცენარეებს (დაუშვებელია მცენარის ფოთლის ზედაპირზე დასხმა). მოქმედებს წლის ნებისმიერ პერიოდში, ადვილად გამოსაყენებელია და ხასიათდება ხანგრძლივი მოქმედებით.

- ბიოლოგიურია;
- მოქმედებს ხანგრძლივად, წლის ნებისმიერ პერიოდში;
- ადვილად გამოსაყენებელია;
- უსაფრთხოა, როგორც გარემოსთვის, ისე – ადამიანებისა და ცხოველებისათვის;
- წვიმა ვერ რეცხავს.

გამოიყენება წერტილოვანი შესურებით, 20-30 სმ-ის ინტერვალით წყვეტილ ზოლად იმ ფართობის გარშემო, რომლის დაცვაც გსურთ. პროფილაგეტიური და ზოგადი პრევენციის მიზნით 500 მლ საკმარისი 250-500 გრძივ მეტრზე. პრეპარატი არ კარ-



გავს ეფექტურობას ძლიერი წვიმების შემთხვევაშიც კი. შესხურება აუცილებელია მოხდეს წვრილი ჭავლით და არა გამაფრქველით. მაქსიმალური შედეგის უზრუნველყოფისათვის, მოახდინეთ პრეპარატის გამეორება 30 დღის ინტერვალით.

„მანგუსტის“ თვალში ან კანზე მოხვედრის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს ადგილობრივი გაღიზანება. თვალში მოხვედრისას ამოიბანეთ წყლის ჭავლით, კანზე მოხვედრისას – ჩამოიბანეთ საპნიანი წყლით.

ბიოლოგიური რეპელენტის ტრანსპორტირება ხდება ვერტიკალურ პოზიციაში, ინახება მხოლოდ ორიგინალ შეფუტვისა და ცხოველებისაგან მიუწვდომელ ადგილას.

[www.roqi.ge](http://www.roqi.ge) [info@roqi.ge](mailto:info@roqi.ge)  
5977045 88; 2 74 63 96

# ბოსტნეულის მყოფა – ახალი ტექნოლოგია საქართველოსთვის



– ქალბატონო ნატო ბოლო დოროს ძალიან მომრავლდა ბოსტნეულის დაავადებები, ზოგიერთმა უკვე ხელიც კი ჩაიტანა, რატომდა უნდა დაფიქსოს და მოვუარო რამეს, თუ მაინც გამიფუჭდება?!

– ამ პრობლემაზე თუ მებოსტნეობის სხვა საკითხებზე წელინადში ერთხელ იმართება ბოსტნეული კულტურების ნაციონალურ კოორდინატორთა სამეცნიერო ფორუმი ტაშევნებში. მოგეხსენებათ, ეს ცხელი რეგიონია და შესაბამისად, მებოსტნეობაში პრობლემები მათაც აქვთ. სწორედ შეუა აზის ქვეყნებში დაინტეს ერთნებიანი ბოსტნის კულტურების მყნობა მოსავლის გადასარჩენად. გამოცდილება გადაიღეს უცხოეთიდან, სადაც ერთნებიან ბოსტნეულ კულტურებს ამყნობენ იმ ველურ საძირებზე, რომელთაც ნიადაგში გავრცელებული დაავადებები ვერ მოერევა.

– დაწვრილებით გვიამბეთ, რა როგორგააკეთეთ?

– ჩვენში ბოსტნეულის ჭვნობას, ძირითადად, ფუზიარიოზული, ბაქტერიული და ვერტიცილიოზური დაავადებები იწვევს. მათ ვერც პესტიციდები უხერხებს ვერაფერს და ვერც ჰერბიციდები. ეს დაავადებები ნლობით ინახება ნიადაგში. ისინი ემტერებიან ძალუყურძენისებრთა ოჯახისა (პომიდორი, ნინჯა, ბადრიჯანი) და გოგრისებრთა ოჯახის კულტურების ნარმომადგენლებს (გოგრას, ნესვას, საზამთროს).

ჭვნობას იმდენი მიზეზი აქვს (დაინფირებული სათესლე მასალა, ჩითილები, სასოფლო იარაღები, სხვ.), რომ

გეციერება სფრაზად ვითარდება, მათ შორის, სოფლის მეურნეობაშიც. ბოსტნეულის მყოფაზე გვესაუგრება სოფლის გეციერებათა აკადემიის ბოსტნეული კულტურების ეროვნული კოორდინატორი, კომანდის „მზა ჩითილის“ აგრონომი ნატო კაპაბამა. მან ჩითილი საუთარი ხელით დააგვი, შემდეგ დარგო და ისიც ნახა, როგორი უხვი იყო მოსავალი იმ ბოსტნეულისგან განსხვავებით, რომელთაც, ჩვენი თავგადადებული მოვლის მიუხედავად, დაავადება მაიცც ანადგურებას.

მასთან ბრძოლა შეუძლებელი ხდება. დაავადებული მცენარე წვერიდან იწყებს ჭვნობას და მთლიანად ჭვნება. ლებება ფესვები, ნაყოფი და ღერო, დაავადება კი დიდ ფართობზე ვრცელდება. ერთადერთი საშველი ბოსტნეული კულტურის მყნობაა, ანუ ერთი ოჯახის შიგნით დაავადებისადმი გამძლე საძირისა და სასურველი ჯიშის ან ჰიბრიდის სანამყენებს დაკავშირება. ერთი ოჯახის ნარმომადგენლები თავსებადია საძირე და სანამყენებ გამოსაყენებლად. მაგალითად, გოგრისებრი, ძალუყურძენისებრი.

– როცა ვაზს ან ბალს მისივე ველურ საძირებზე, როგორც ჩვენში უნდებებ, მნარებზე ვაძენობთ და ძლიერჯიშს ვიღებთ, ეს გასაგებია. საძირის მერქანი სანამყენებს მერქანს უპრობლემოდ უხორცდება, მაგრა მერთნებიან კულტურებში, მაგალითად, პამიდორში, საძირეს სანამყენებერთ როგორ უნდა შეუხორცდეს? ანსად უნდა ვიძოვოთ ბოსტნეული კულტურების ისეთი საძირე, რომელსაც დაავადება – ვერ მოერევა?

– სწორედ ეს არის საინტერესო, რომ ასეთი საძირები არსებობს და არსებობს – იმ ქვეყნებში, სადაც თავის დროზე შეინახეს პომიდორის, ბადრიჯნის, ნინჯას, საზამთროს, ნესვის ველური ჯიშების თესლი, რომელთა კულტურული ვარიანტები მთელ მსოფლიოში გავრცელდა, ჩვენი ჩათვლით. საძირის ველური თესლი ჩვენ ამერიკიდან მიიღეთ და სანამყენებზე 4-5 დღით ადრე დავთესეთ სათბურში. შემდეგ დავთესეთ სანამყენეც.

ძალუყურძენისებრთა ოჯახის მცენარეები – პომიდორი, ნინჯა, ბადრიჯანი დავამყნეთ თავისივე სახეობების საძირეზე, რაც შეეხება გოგრისებრს, – საზამთროს, ნესვს თუ ყაბაყს, კველანი ყაბაყის ველურ საძირეზე. ნამყენი ჩითილები სათბურ-

ში – მარტივად დაცულ გრუნტში მოსაყვანად არის გამოყვანილი; თუმცა არა ჩვენ ლია გრუნტშიც დავრგეთ და კარგი შედეგი მოგვცა.

– მაგრამ სათბური ყველას არა აქვს, ჯანსაღი ბოსტნეულის მოყვანა კი რიგით გლეხსაც უნდა.

– ასეთ შემთხვევაში ძალიან კარგად მოქმედებს სანახევროდ დაცული სათბურები – ბოსტნის ნათესებს ზემოდან აქვს გადაფარებული სპეციალური საფარი, რაც იცავს მათ ძლიერი სიცხისგან, კოისპირული წვიმისგან, სეტყვისგან. თუ არადა, არც ლია გრუნტში ამ ჩითილების დარგის მსურველებს ეშლებათ ხელი, ლონონდ უფრო მეტი რისკია, რომ ჩითილები სტიქიამ გააფუჭოს.

– ნათელია, რომ ასეთი ჩითილების გამოყვანას დიდი დრო და ენერგია სჭირდება.

– ამ შრომას ბევრი გლეხი დათანხმდება, თუკი მოსავლის გარანტია ექნება, მით უფრო, ფერმერი, რომლის ოჯახის ბიუჯეტი ბოსტნეულის შემოსავალზეა დამყარებული. კახეთის რეგიონებში ჰექტრობით პომიდორის ნათესები გახმა. იმდენად შეღონებული არიან ამ უბედურებით, რომ ზოგი მზად არის, ჩითილები თურქეთიდანაც კი შემოიტანოს დაახლოებით 3



ლარად, ოღონდ მოსავალი მოიყვანოს.

საქართველოში დღეს ნამყენი ბოსტნეულის მხრივ წარმატებით მიმდინარეობს სამუშაოები კომპანია „მზა ჩითილში“. მებოსტნეობით დაინტერესებული ფერმერები აღნიშნულ კომპანიას უკვეთავენ პამიდორის, კიტრის, წინაკის, საზამთროს, ნესვის ნამყენი ჩითილების გამოყვანას, ისინი მდგრადია ნიადაგის სხვადასხვა დაავადებების მიმართ, როგორიცაა: ფუზარიოზი, ვერტიცილიოზი, ნემატოზა და სხვ.

თუ დამყნობილ ჩითილებს ჩვეულებრივ ჩითილებს შევადარებთ, ყველაზე მძიმე პირობებშიც კი 10-15%-ით უფრო მეტ მოსავალს და სარგებელს იძლევა. სათანადო მოვლისა და გაფრთხილების პირობებში, ფერმერი იღებს 2-3 ჯერ მეტ მოსავალს, მცენარეები უფრო სწრაფად იზრდებან და მოსავლიანობის პერიოდი ხანგრძლივია, მნიშვე ნაყოფები უფრო დიდი ხნით არის მდგრადი გაფუჭებისადმი. ნამყენისაგან მიღებული მოსავალი მაღალხარისხოვანი და გემრიელია!

კომპანია „მზა ჩითილი“ მყნობის-თვის საჭირო ველური საძირის გამრავლებასაც გეგმავს. თუკი ჩვენ მივიღებთ საძირის თესლს და გავამრავლებთ, სხვა ქვეყნიდან ჩამოტანა აღარ დაგვჭირდება და არ მოხდება ფინანსების გადინება საქართველოდან.

## პომიდორის ჩვეულებრივი და ნამყენი ჩითილები

### ნააღრევი მოსავალი

- პომიდვრის ჩითილი ადრეულ მოსავალს უზრუნველყოფს. ის ცოცხალი, მშრალი ნივთიერებებით მდიდარი, მსხვილი და ძლიერია, თან მოსავლიანობა უფრო მაღალია და ამასთანავე უფრო ხარისხიანი. მცენარის გაზრდისა და მისი ნიადაგში გადარგვის პერიოდი, კი ჩქარდება 30-50 დღით.

ფერმერი დაზღვეულია შეცდომაში შეკვენისგან, ის თავადვე ხედავს, თუ რას იძენს ჩვენგან, შესაბამისად ჩვენგან წაიღებს მხოლოდ ჯანსაღ ჩითილებს და არ დასჭირდება სათადარიგო რაოდენობა;

### დროის ვარემობა

- სანამ ფერმერი ერთი სახეობის ბოსტნეულისგან აიღებს მოსავალს, შეუძლია შუკვეთის ჩითილები და

მოსავლის აღების შემდეგ იგივე ნიადაგზე მოიყვანოს სხვა სახეობის ბოსტნეული (მაგ. სალათის ფოთოლი, პომიდვრის მოსავლის მიღების შემდეგ) ამგვარად, მიწის გამოყენება მაქსიმუმს აღწევს.

### მიწის ფართობის ვარემობა

მიწის ფართობის ათვისება ხდება 100%-ით. ფერმერი დაზღვეულია გამოტოვებული ადგილებისგან;

### თესლის ვარემობა

დღეისათვის პიბრიდული თესლი ძვირია, ფერმერი მისი მოგების მინიმუმ მინიმუმ 3-4%-ს თესლის შეძენაზე ხარჯავს, ხოლო ჩითილის გამოყენებით მას აქვს ის უპირატესობა, რომ მიიღოს მოსავლის გარანტირებულად მაქსიმალური რაოდენობა. იმ შემთხვევაშიც, თუ თესლი არ არის მიზანშეწონილი გამოსაყენებლად კონკრეტულ ტერიტორიაზე, მზა ჩითილს ამ შემთხვევაშიც არ ექნება რეაქცია;

### ეცერების ვარემობა

დაახლოებით 25 გრადუსი სითბო არის საჭირო, რომ ფერმერმა ჩითილი გამოიყვანოს სახლის პირობებში, ხოლო ჩვენი მეურნეობის შემთხვევაში ენერგია მაქსიმალურად ეკონომიურად მოიხმარება, რადგან ერთ დიდ სივრცეში ხდება მრავალი სახეობის ჩითილის მოყვანა – შესაბამისად იზრგება ენერგო რესურსების გამოყენება;

ვატარებთ ღონისძიებებს მეტი პროდუქტიულობისთვის – ვირუსისადმი მედგრობა, დაგრუნტვა, ტემპერატურული შოკი, გასხვლა, დამატებითი განათება უკეთესი ფოტოსინთეზისთვის. ამ ღონისძიებების ჩატარება არაპრაქტიკული და არაეკონომიურია სახლის პირობებში ფერმერთა მიერ.

მზა ჩითილს, ზრდის პერიოდში, არასასურველი ამინდის პირობებზე რეაქციაა აქვს.

### პომიდორის ნამყენი ჩითილი

პომიდვრის ნამყენი ჩითილის უპირატესობები და სარგებელი

ნამყენი პომიდვრის ჩითილის (დამოკიდებულია საძირებზე), უმეტეს შემთხვევაში იმუნიტეტი აქვს შემდეგ ნიადაგის დაავადებებზე:

**V: ვერტიცილიუმი.**

**N: ნემატოდები (თუ მიწის ტემპერატურა 28 გრადუსზე მეტია, მდგრადობა მცირდება).**

**P(K): ფესვის დალპობა.**

**F: ფუზარიოზი.**

**Fr: ფუზარიოზული ფესვთა ლპობა.**

ზამთრის სეზონზე, როდესაც მიწაცივია და მოსავალს არ იძლევა, ნამყენი პომიდვრის ჩითილი ადვილად ეგუება ამ პირობებს და მოსავლიანობაც გარანტირებულია.



ნამყენი ჩითილი გამძლეა, ჩვეულებრივი პომიდვრის ჩითილობაზე შედარებით მეტ მოგებალს იძლევა და ამასთანავე მოსავლიანობის პერიოდიც იზრდება.

ნაყოფის ზომა ბევრად დიდია.

მიწის დაავადებების მიმართ მდგრადია და უმეტეს შემთხვევაში წამალი არ სჭირდება, რაც ნაყოფს ორგანულს ხდის და ექსპორტზე გატანაც შესაძლებელი იქნება.

ორგანული ბოსტნეულისა თუ ხილის მოსაყვანად, მათი დამყნობილი ჩითილებიდან გაზრდა საუკეთესო გარიბაზია. დახალოებით 50%-ით ნაკლები ჩითილი არის საჭირო.

ჩვეულებრივ ჩითილობაზე შედარებით 7-15 დღით გვიან გაძლევს მოსავალს.

მცენარის ზრდის პროცესში პომიდვრის საბჯენებით, ჯოხებით დაჭერა, დამაგრება აუცილებელია, რაც შეიძლება მაღლე, სხვა შემთხვევაში ჩითილები დაიხრება და მიწას შეეხება.

ბოსტნეულის ჩვეულებრივი და ნამყენი ჩითილების, ასევე ნამყენი კაელოვნების ნერგების, ქოთნის ყვავილების და მზარდის პროდუქციის შეძენა შეგიძლიათ:

სავაჭრო ქსელებში:

# ნესვი, მოვლა-მოყვანის თავისებურებები

ნესვის (CUCUMIS MELO (MELO SATIVUS) სამშობლოდ შუა აზია, მცირე აზია და აპიარაციასი ითვლება. საქართველოში ნესვი ღილი ხილა-ნა ცენგილი. იგი საკამაო რაოდენობით შეიცავს შაძრებს (14-18%-მდე) და სხვა მნიშვნელოვან ლითონების, მათ შორის ვითამინებს. ნესვი გამოიყენება როგორც ნედლად, ასევე გადასამუშავებლად – მისგან ამზადებან თაფლს, ჩირს, ფაფას.

თესლი ბრტყელი აქვს, კვერცხისებრი ან წაგრძელებულ-ოვალური ფორმის, ძირითადად ყვითელია, სხვადასხვა ელფერით ან თეთრი. 1 გრამში 18-24 ცალი თესლია. ნესვის ფესვი ძლიერ განტოტვილი აქვს. ფესვების ძირითადი მასა ნიადაგში გაშლილია ზედაპირულად, სახნავ ფენაში 10-25 სმ-ის სიღრმეზე. ფესვთა სისტემა მთავარღერძიანია, ცალკეული ფესვები საკმაოდ ღრმად ჩადიან ნიადაგში, განსაკუთრებით ფხვიერში.

ღერო მხოხავია, მომრგვალო, დაკუთხული, სიგრძით 2-4 მეტრს აღემატება. ღეროს ისეთივე დატოტვა ახასიათებს როგორც კიტრს. ფოთოლი შებუსულია, მომრგვალო, ხუთკუთხა, თირკმლის ან გულისებრი, კიდემთლიანი ან დანაკვთული, მუქი მწვანე ან მორუხო-მწვანე, ფოთლის იღლიაში მოთავსებულია ულვაშები. ნესვი ერთსახლიანი და ერთსქესიანი მცენარეა, იშვიათად ორსქესიანი, მამრობითი ყვავილები ფოთლის იღლიაში ყვავილდედად შეკრული სხედან, ხოლო მდედრობითი ყვავილები ერთეულად არიან. განაყოფიერება ხდება ჯვარედინად, მწერების მეშვეობით. ნაყოფი შეიძლება იყოს მრგვალი, ბრტყელი, ცილინდრული, და ელიფსური, მსხლისებრი. ზედაპირი გლუვი, დანაოჭებული, დასეგ-

მენტებული და მეჭეჭიანი. შეფერვა: ყვითელი, მწვანე, თეთრი, მიხაკის-ფერი, პირბადიანი ან უპირბადო; რბილეულის ფერი – თეთრი, მწვანე, მონარინჯისფერ-ყვითელი, ვარდის-ფერი. კონსისტენცია: მკვრივი, ხრა-



შუნა, ფხვიერი, ბოჭკოებიანი. ბუდე, რომელიც თესლია მოთავსებული, შეიძლება იყოს განთხევადი, სველი, მკვრივი, ტაროსებრი.

ნესვი სითბოს მოყვარული მცენარეა. თესლის აღმოცენება იწყება  $15^{\circ}\text{C}$ -ზე, მაღალ ტემპერატურაზე ამოდის 7-12 დღეში. აღმონაცენა მგრძნობიარეა დაბალი ტემპერატურის მიმართ  $-1^{\circ}\text{C}$ -ზე იგი იღუპება.

ნესვი დიდ მოთხოვნას უქენებს ნიადაგის ტენიანობასა და ნაყოფიერებას. კარგ მოსავალს იძლევა სტრუქტურული, მსუბუქი მექანიკური შე-

მადგენლობის ნიადაგებზე. ნიადაგის ძირითადი დამუშავებისას შეაქვთ 40-60 ტონა ნაკელი. აუცილებელია მინერალური სასუქების შეტანაც: სუპერფოსფატი 120-160 კგ, კალიუმის ოქსიდი 80-120 კგ, აზოტი 100-150 კგ.

ნესვი მოჰყავთ როგორც ჩითოლის გამოყვანით, ასევე პირდაპირ, ლია გრუნტში თესვით. ჩითოლით გამოყვანის შემთხვევაში, რეალური შედეგების მისაღებად აუცილებელია ჩითოლი გამოვიყვნოთ ერთჯერად ჭიქებში, სპეციალურ კასეტებში. ან ტორფ-ნეშვომპალიან კუურებში. გადასარგვად გამზადებული ჩითოლი უნდა იყოს 2025 დღის, აუნონავი, მავნებლებისგან და დაავადებებისგან დაზიანების გარეშე.

**ერთჯერად ჭიქებში ნესვის ჩითოლის გამოყვანა (სათბური)**

პირდაპირ თესვით მოყვანისას, თესლი ითესება კარგად დამუშავებულ ნიადაგში, ბუდობრივად. შწკრივებს შორის 1,5-2 მეტრის დატოტვებით, ხოლო მწკრივში ბუდნებს შორის 0,5-1 მეტრის დატოტვებით. სათესი ნორმა 1,5-2 კგ/ჰა-ზე.

ნესვი საჭიროებს გაფხვიერებას და რენტაციას. იგი საკმაოდ მგრძნობიარე კულტურაა ჰერბიციდების მიმართ, ამიტომ მისი მოყვანისას ჰერბიციდები თითქმის არ გამოიყენება (ერთლებნიანი სარეველების ნინააღმდეგ შესაძლებელია ფუზიტილად ფორტეს, ან ფუზიტილად სუპერის გამოყენება). ნესვის მდგრად დამახასიათებელია იგივე მავნებელ-დავადებები, რაც ზოგადად გოგოვანთა ოჯახის თვევის.

**0404 გულებური**

## ეკონომიკა ზორავრობის მიზანისთვის

# ეკონომიკის ცოდნის მიზანი საგანერი (ფარმაცევტის)

## ბაზარი

ბაზარი არის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ურთიერთზემოქმედების ხერხი და კავშირი, რომელიც ემყარება საფასო სიგნალების დეცენტრალიზებულ, უპიროვნო მექანიზმს. ზოგადი განმარტებით ბაზარი განისაზღვრება, როგორც სტიქიური წესრიგი.

ბაზრის წარმოშობა უშუალოდ უკავშირდება შრომის საზოგადოებრივი დანართილების აღმოცენებას.

## პრესებრის ბაზრის 5 ნიშანი:

1. ბაზარი გულისხმობს მისადმი თავისუფალ ხელმისაწვდომობას და მისგან თავისუფალ გამოსვლას, ამიტომ მონაწილეთა რაოდენობა ბაზარზე შეზღუდული არ არის;

2. რამდენადაც ბაზარზე მონაწილეობს საქონელმწარმოებელთა დიდი რაოდენობა, იმდენად თითოეული მათგანის მიერ დაწესებული ფასი მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს საერთო საბაზრო ფასზე;

3. ბაზარზე არსებობს სრული თავისუფლება მატერიალურფინანსური და ადამიანური ფაქტორების გადაადგილებაში;

4. ბაზარმა ყველა მისი მონაწილი-სათვის თანაბარი შესაძლებლობები უნდა უზრუნველყოს. ამიტომაა მიღებული თითოეულის უფლება სრულ ინფორმირებულობაზე მიწოდებებისა და მოთხოვნის შესახებ, ფასებზე, საქონელთა სპეციფიკაზე და ა.შ.;

5. თავისუფალ ბაზარზე გამორიცხულია რაიმე პრი-ვილეგიები გამყიდვე-ლთა ცალკეული ჯგუფი-სათვის.

ბაზარს გააჩნია შემდეგი მთავარი ეკონომიკური ფუნქციები: ფასწარმოქმნის; ინფორმაციის; წარმოების თვითრეგულირების; მასტიმულირებელი; მარეგულირებელი; ეკონომიურობის; ექვივალენტურობის; მეურნეობრივი საქმიანობის დემოკრატიზაციის.

თავისუფალი (კლასიკური) ბაზარი შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

- მონაბილების შეუზღუდავი რაოდენობა;
- თავისუფალი კონკურენცია;
- საზოგადოების ყველა წევრისათვის თავისუფალი ხელმისაწვდომობა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობისადმი;
- წარმოების ფაქტორთა აბსოლუტური მობილურობა, კაპიტალის გადაადგილების შეუზღუდავი თავისუფლება;
- მოგების ნორმის, მოთხოვნის, მიწოდებისა და სხვათა შესახებ აბსოლუტური ინფორმაციულობა;
- თავისუფალი კონკურენციის არც ერთ მონაბილეს არ შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს სხვის გადაწყვეტილებაზე არაეკონომიკური მეთოდებით;
- ფასები ყალიბდება სტიქიურად, თავისუფალი კონკურენციის პირობებში;
- არ არსებობს მონიპოლიზმი და სახელმწიფო რეგულირება.

ამ ნიშნების მხედველობაში მიღებით დენდება, რომ ბაზარი არის თვით-თრეგულირებადი სისტემა.

არსებობს კიდევ: მიზნობრივი ბაზარი, რეგიონული ბაზარი, შავი ბაზარი (ყალიბდება კანონმდებლობის დარღვევით).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ ნიშნავს თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას. სინამდვილეში სრული თავისუფლება და შესაბამისად სრული ეკონომიკური თავისუფლება არ არსებობს, თუმცა უნდა იყოს საკმარისი ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და მიიღწევა რეგულირებული ბაზრის განვითარებით.

## ბაზრის სისტემა

### ობიექტების მიხედვით ბაზარი იყოფა:

საქონლის და მომსახურების; სამუშაო ძალის; წარმოების საშუალებათა (კაპიტალის); ფასიანი ქალალდების, ვალუტის; მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა და პატენტების; ინფორმაციის; მოქცევის საშუალებათა; ლიცენზიათა ბაზარი და ა.შ.

ტერიტორიული ნიშნით განასხვავებენ: ადგილობრივ და რეგიონულ, საშინაო და საგარეო ბაზარს, ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებს;

გაჯერებულობის მიხედვით განასხვავებენ: წონასწორობით, დეფიციტურ და ჭარბ ბაზრებს.

გრეგორი მენქიუ განმარტავს **კონკურენციულ ბაზარსაც**, ეს არის ბაზარი, რომელზეც მრავალი მყიდველი და მრავალი გამყიდველია და თითოეული მათგანი უმნიშვნელო გავლენას ახდენს საბაზრო ფასზე.

ბაზრის აუცილებელი რეგულატორია კონკურენცია და ფასების მექანიზმი.

ლირებულების კანონი იგივე ფასების კანონია.

ლირებულება მწარმოებლის მიერ საქონელში ჩაქსოვილი შრომაა. ლირებულების სიდიდე შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯებით განისაზღვრება, რომლის ადევატური ზომა საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო. ცალკე გამოიყოფა სახმარი ლირებულება (როგორც ახლა ხმარობენ საქონლის სარგებლიანობა), მაგრამ ფასის საზომი მთლიანი ლირებულებაა. პროდუქტი რომ საქონლად იქცეს, მას უნდა ჰქონდეს სახმარი სამომხმარებლო (სარგებლიანი) ლირებულება.

არჩევანის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ალტერნატიულ ლირებულებას (ამას ახლა ეკონომისტები ფართოდ იყენებენ). ალტერნატიული ლირებულება ეს არის იმ პროდუქტის სარგებლიანობა, რომელზეც მყიდველმა უარი თქვა მეორე პროდუქტისათვის უპირატესობის მიცემით

ფასს, თავისი მნიშვნელობის მიხედვით შემდეგი ასპექტები აქვს:

- ამარტივებს ყიდვა-გაყიდვის პროცესს;
  - არეგულირებს მოთხოვნასა და მიწოდებას;
  - ხელს უწყობს ან ხელს უშლის გასაღების პროცესს;
  - უშუალოდ უკავშირდება ლირებულებასა და მოგებას;
  - წარმოადგენს საიმედო ინსტრუმენტს კონკურენციულ ბრძოლაში.
- ფასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფირმის (საწარმოს) კომერციული წარმატება.
- ფასების კლასიფიკაციას ახდენენ შემდეგი ნიშნების მიხედვით:

## ფასი, ფასწარმოქმნა, ღირებულება

ფასი საქონლის ან მომსახურების ლირებულების ფულადი გამოხატულება. თვითლირებულება კი საქონელში განივთებული აბსტრაქტული შრომაა, იგი საქონლის წარმოების ობიექტური კანონია, რომელიც განაპირობებს საქონლის გაცვალას აუცილებელი შრომის დანახარჯების მიხედვით. ამასთან, არეგულირებს საქონელმნარმოებელთა კავშირებს, რადგან ფასს საფუძვლად ლირებულება უდევს.



- ეკონომიკური ბრუნვის ხასიათის მიხედვით (საბიუმო, საცალო, შესასყიდ, სატვირთო გადაზიდვების, კავშირგაბმულობის მომსახურების, მომსახურების და სხვ.);

- ტერიტორიული ნიშნის მიხედვით (ქვეყნის მთელი ტერიტორიისთვის, ზონალური, ადგილობრივი (ტარიფები) და სხვ.);

- მოქმედების ვადის მიხედვით (სეზონური, საპრეისკურანტო, ერთჯერადი შეკვეთების, სახელშეკრულებო, საკომისიო და სხვ.);

- საგარეო ვაჭრობის ხასიათის მიხედვით.

შიდა ფასები საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე როგორც წესი განისაზღვრება შიდა ბაზრის ფასების მიხედვით.

არსებობს აგრეთვე ბაზარზე ახალი საქონლის დასამკევიდრებელი ფასები, პრესტიული ფასი, წარმოების ხარჯების ასანაზღურებელი ფასები, ლიდერის (კომპანიის) ფასი, ფიქტური ფასები (დამრგვალებული ფასი), მცოცავი ფასები (დეფიციტის პირობებში, კონკურენციის დროს).

ფასების პოლიტიკის შემუშავების გავრცელებული მეთოდია მრავალეტაპობრივი მიდგომა ფასების დაწესებისადმი. გამოიყოფა ფასნარმოქმნის სამი ძირითადი მიზანი:

1. საქონლის რეალიზაციის ზრდა და ბაზრის ნილის მაქსიმიზაცია;

2. მოგების მაქსიმიზაცია;

3. უზარალობის უზრუნველყოფა.

გამოიყოფა ფასების დაწესებაზე მოქმედი ხუთი ძირითადი ფაქტორი:

1. ფასის დაწესება პრინციპით „საშუალო ხარჯებს პლუს მოგება“;

2. ფასის დაწესება უზარალობის ანალიზისა და საფასო მოგების უზრუნველყოფის საფუძველზე;

3. ფასის დაწესება საქონლის ფასეულობის საფუძველზე;

4. ფასების დაწესება მიმდინარე ფასების დონის საფუძველზე;

5. ფასის დაწესება დაბურული ვაჭრობის საფუძველზე.

ფასწარმოქმნაზე დიდ გავლენას ახდენს წარმოების დანახარჯები და თვითლირებულება, მომხმარებლის და მოთხოვნის ფაქტორები; გეოგრაფიული ფაქტორი, საქონლის წარ-

მოშობის ადგილი, პოლიტიკური გარემო, მოთხოვნაზე ორიენტირება, მიმდინარე (არსებული) ფასები, კონკურენცია და მრავალი სხვ.

არა ადმინისტრირება და მპრძანებლობა.

**ფული ოთხ ძირითად ფუნქციას ასრულებს:**

**1. ღირებულების საზომი –** ამჟამად საქონლის ღირებულების საზომის ფუნქციას ასრულებს ქაღალდის ფული (ფოლარი, მარკა, ლარი და ა.შ.), ოქროთი ყოველგვარი ურთიერთობის გარეშე. კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა ამ ფუნქციას ოქრო ასრულებდა;

**2. მიმოქცევის საშუალება –** ფული წარმოგვიდგება საქონელთა (მომსახურებათა) ურთიერთგაცვლის შუამავლად. თავდაპირველად ფული სწორედ ამ ფუნქციის შესასრულებად გამოიცა (სახაზინო ბილეთების სახით);

**3. დაგროვების საშუალება –** ამ ფუნქციის ფული ასრულებს მაშინ, როდესაც მისი მფლობელი მიღებისთანავე არ ხარჯავს მას და ინახავს (თვითონ ან ბანკში);

**4. გადახდის საშუალება –** საქონელგაცვლიდან საქონელმიმოქცევაზე გადასვლამ და ყიდვისა და გაყიდვის აქტების დროში დაცილებამ წარმოშვა ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია (მაგ. ყიდვა განვადებით, გადასახადების დაფარვა უნარდო ანგარიშსწორებით, საერთაშორისო ანგარიშგები და სხვა).

ქაღალდის ფულის სიმტკიცე (მსყიდველობისუნარიანობის უცვლელობა) ქვეყანაში ოქროს მარგის სიდიდეს კი აღარ უკავშირდება, არამედ იგი ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საქმიანობით განისაზღვრება, რომელიც არეგულირებს ფულის მიმოქცევას. მან შესაძლებელ (ოპტიმალურ) მინიმუმამდე უნდა შეზღუდოს ფულის ნიშნების როგორც მინოდება, ისე მოთხოვნა. სხვაგვარად მოხდება ფულის გაუფასება. ამით დასტურდება, რომ ფულის მსყიდველობითი უნარი (ანუ საქონლის და მომსახურების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს ფულზე) უშუალო კავშირშია მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობასთან.

ფულადი ურთიერთობების საფუძველზე სახელმწიფოები ჩართულნი არიან მსოფლიო სავალუტო სისტემაში. ამჟამად (1978 წლიდან) მოქმედებს ახალი მსოფლიო სავალუტო



წარმოების სფეროს ფუნქციონირების დონის ამაღლებით მიღწევა.

ფული სხვა არაფერია, თუ არა საქონელი (განსაკუთრებული), იგი ყველანაირ მიმართებაში იმყოფება სხვა საქონელთან და არავითარ შემთხვევაში არასაქონლურ განზომილებეთან.

ფულის გაჩენასა და შემოღებას განაპირობებს და განსაზღვრავს მატერიალური წარმოების სფეროს დონე, ე.ი. თუ ქვეყანაში ძირითადად ინარმოება საკუთარი საქონლის გარკვეული მასა, იგი ქმნის მატერიალიზებულ საფუძველს ფულის არსებობისათვის. ეს ნიშნავს, რომ საქონელი შობს ფულს, როგორც განსაკუთრებულ საქონელს. ადმინისტრაციული წესით ფულის შემოღება ამ უკანასკნელს აბსურდულ ელემენტად აქცევს, რაც ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ეკონომიკას მართავს თავისი კანონები და

სისტემის პრინციპები. აქედან უმნიშვნელოვანესია ოქროს დემონგრიზაცია. გაუქმდა ოქროს ოფიციალური ფასი, შეწყდა დოლარის გადაცვლა ოქროზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ოქრო უკვე აღარ განიხილება როგორც ფული და ის ჩვეულებრივ საქონლადაა მიჩნეული. ყველა ქვეყანას სავალუტო კურსის სასურველი რეჟიმისი არჩევის უფლება აქვს მიცემული, რის გამოც დამყარდა სავალუტო კურსის განსხვავებული რეჟიმები.

ფულად ურთიერთობებში გამოყოფენ ფულად სისტემას, რომლის ელემენტებია:

- ფულის ერთეული – მის სახელწოდებას ადგენს სახელმწიფო;
- ფასების მასშტაბი – რომელშიც იღულისხმება ფულის დანაწევრება ერთეულებად (მაგ. 1 ლარი შედგება 100 თეთრისგან და ა.შ.);
- სახელმწიფო ფულადი ნიშნები ეს გადახდის კანონიერი საშუალებებია (მაგ. საქართველოში გამოიყენება 200, 100, 50, 20, 10, 5, 2 და 1-ლარიანი კუპონები);
- სახელმწიფო აპარატი (ცენტრალური ბანკი, ფინანსთა სამინისტრო), რომელიც ქვეყანაში ფულის მიმოქცევას მართავს;
- ფულის ემისია (ფულის დამატებითი დაბეჭდვა), რომელსაც ახორციელებს ცენტრალური ბანკი.

მიმოქცევაში ჭარბი ფულის არსებობას ინფლაცია ეწოდება. იგი იწვევს ფასების ზრდას და შემოსავლების გადანაწილებას, ძირითადად ფართო მასების საზიანოდ.

სხვაგარად: ფასების ზრდის პროცესს ინფლაცია ეწოდება, ხოლო შემცირების პროცესს დეფლაცია.

#### ინფლაციას იწვევს:

- საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდა;
- ხელფასების დაუსაბუთებელი გადიდება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის დეფლაციი (მისი შევსებისათვის მთავრობა კრედიტს იღებს სახელმწიფო ბანკისაგან, რაც იწვევს მიმოქცევაში დამატებითი ფულის გამოშვებას);
- საკრედიტო ექსპანსია, როცა ბანკები დაუსაბუთებლად დიდ კრედიტებს გასცემენ;



• სამხედრო და სხვა ხარჯების გაუმართლებელი ზრდა და სხვ.

ინფლაციაზე გავლენას ახდენს არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ფაქტორებიც.

განასხვავებენ ზომიერ (მცოცავ, როცა ინფლაციის წლიური ზრდის ტემპი 10%-ს არ აღემატება, რაც საშიში არ არის); „ჭენებით“ (ფასების დაჩქარებული ზრდა წლიურად 20%-დან 200%-მდე); პიპერინფლაციას (ამ დროს ფასები და ფულის მიმოქცევა თვითდინებაზეა მიშვებული – ფასების ყოველთვიური ზრდა 50%-იან ზღვარს როცა სცილდება);

#### საკუთრების ფორმები

განასხვავებენ საკუთრების შემდეგ ფორმებს:

• კერძო საკუთრება – კერძო მე-საკუთრე არის ის, ვინც საკუთრების ობიექტებს (უმთავრესად წარმოების საშუალებებს) გამოიყენებს შემოსავლის მიღების მიზნით;

• პირადი საკუთრების დროს საკუთრების ობიექტები (მოხმარების საგნები) გამოიყენება მხოლოდ პირადი მოთხოვნილებების დასაკაყოფილებად;

• კოლექტურ საკუთრებას წარმოადგენს ასოციაციების, სააქციო საზოგადოებების, კოოპერატივების და სხვა გაერთიანებების საკუთრება;

• სახელმწიფო საკუთრება ქვეყნის მოქალაქეთა საერთო საკუთრებაა (მეტნაკლები მოცულობით ყველა ქვეყანაში არსებობს), რომლის განკარგვას ხალხის სახელით ახორციელებს სახელმწიფო და მმართველობითი ორგანოები.

პროცესს, როცა სახელმწიფო საკუთრების ობიექტი კერძო ან კოლექ-

ტიური საკუთრების ობიექტი ხდება პრივატიზაცია ეწოდება.

#### დასაქმება და უმუშევრობა, სიმღიდე და სიღარიბე

დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემა უკავშირდება შრომის ბაზარს, რომელიც გამოდის დამქირვებელთა და დასაქმირავებელთა ინტერესების შემათანხმებელი მექანიზმის როლში.

დასაქმება განიმარტება, როგორც პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაქმაყოფილებასთან დაკავშირებული ადამიანების საქმიანობა.

დასაქმებას მოქალაქეების პირადი უფლება და იგი ნებაყოფლობითა.

ისეთ სამუშაო ადგილს, რომელიც შრომის მაღალ ნაყოფიერებას და შესაბამისი (სასურველი) გამომუშავების მიღწევის სამუალებას იძლევა, ეკონომიკურად მიზანშენილი (მისაღები) სამუშაო ადგილი ჰქვია.

იმ დროს, როდესაც შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების სიჭარებები შეიმჩნევა ადგილი აქვს უმუშევრობას. მისი სახეებია: ფრიქიული (მიმდინარე), სეზონური, სტრუქტურული (ტექნოლოგიური ძვრების შედეგად წარმომადგრინდება), ციკლური (გაპირობებულია წარმოების დაცემით), ფარული (როცა „მომუშავენი“ ფორმალურად დასაქმებულად ითვლებიან, ფაქტიურად კი წარმოების დაცემის გამო ზედმეტნი არიან).

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს შემოსავლების უთანაბრობა და შესაბამისად არსებობენ მდიდრებიც და ღარიბებიც.



საერთოდ, სიმდიდრე არის სხვაობა აქტივებსა და პასივებს შორის. მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის 1% ფლობს ქვეყნის სიმდიდრის დაახლოებით 19%-ს. საქართველოს მოსახლეობის 55% მდიდარია დაგროვილი ქონების მიხედვით, ამავდროულად ლარიბი-მიმდინარე შემოსავლების მიხედვით. უმდიდრესი 10% ილებს შემოსავლების 40%-ს.

სიღარიბის დონე ეს არის სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი. სიღარიბის ზღვარი კი არის – შემოსავლის აბსოლუტური დონე, რომელიც მთავრობის მიერ გარკვეული ზომის ოჯახისთვისაა დანეხსებული და რომლის მიღმაც ოჯახს სიღარიბე ემუქრება.

შემოსავლებზე გავლენას ახდენს განათლება და გამოცდილება, ამიტომ „ადამიანური კაპიტალის“ თეორიის საკმაოდ აქტუალურია.

მეცნიერების მიერ შემოთავაზებულია სიღარიბის აღმოფხვრისა და შესუსტების მრავალი პროექტი. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ პროექტების განხორციელებაში.

ერთნი მიიჩნევენ, რომ სიღარიბის  
მიზეზები უნდა ვეძებოთ სოციალურ  
და ეკონომიკურ გარემოებებში, რომ-  
ლებსაც თვითონ დარძები ვერ აკონ-  
ტროლებენ. ეს არის ცუდი კვება, ცუ-  
დი სკოლები, დანგრეული ოჯახები,  
დისკრიმინაცია, დასაქმების დაბალი  
შესაძლებლობები და სახიფათო გა-  
რამო.

ମେଗର୍ରେନ୍ ଫ୍ରିଜରୋଡ୍କେ, ରମ ସିଲାରିଡ୍କେ  
ମରମଦିନାର୍କୋଳ୍ସ ଆରାଦାପତ୍ରିକାର୍ଗେୟୁଲି  
କ୍ଲେବ୍ସିଡାନ୍, ରମ୍ଭେଲ୍‌ଥ୍ରେଡାଓ ଆଶ୍ୱେବିସଥ-  
ଗ୍ରହଣକୁ କ୍ଲେବ୍ସିର୍ଗ୍ରାମ ନିର୍ମିତିରେ.

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით,  
რომ სიღარიბეს ორივე ფაქტორთა  
კომბლექსი იწვევს და რომელზეც უნ-  
და იზრუნოს როგორიც სახელმწიფომ.

ისე თვით ინდივიდმა. ამ სისტემაში ძირითადი ტეიროთი და პასუხისმგებლობა თვით ინდივიდზე მოდის; სხვა სიტყვებით: ინდივიდის უნარზე, პო-ტენციალზე და შესაძლებლობებზეა ძირითადად დამოკიდებული მდიდრების კატეგორიაში იყოს თუ ღარიბების.

და მაინც, სიღარიბე პოლიტიკოსთა  
წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმძიმესი  
პრობლემაა. მეცნიერები აყალიბებენ  
ეკონომიკური პოლიტიკის სამ შესაძ-  
ლო პროგრამას, რომლებიც მოსახ-  
ლეობის გარკვეულ ნაწილს სიღარი-  
ბიდან თავის დალწევაში ეხმარება.

აი, ამ პროგრამების პოზიციები:

- მინიმალური ხელფასის უზრუნველყოფა;

- სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფა (ფულადი დახმარება; ბავშვებზე დახმარება, ავადმყოფებისადმი და უუნაროებისადმი დახმარება, პენსიები და ა.შ.);

- ნატურალური დახმარების უზრუნველყოფა (ქველმოქმედებები, დახმარებები, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ა.შ.);

ამასთან, უნდა ითქვას, რომ არც  
ერთი პროგრამა არაა სრულყოფილი  
და მათგან საუკეთესოს არჩევა ძალი-  
ან ძნელია. საჭიროა დიფერენცირე-  
ბული მითგომები.

ობარ ძეგლაზოლი,  
სსმ მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი

ଓଡ଼ିଆରୀତା ଇନ୍ଦ୍ରଜିତାଳୁକୁ

# კარტოფილი და ფიტოფარმაცია

კარტოფილი ერთ-ერთი ძირითადი საკვები პროდუქტია საქართველო-ში, რომელიც ავადგენა ციკონებით, გაძირებით, ვინწვებით და ცის ტოჭიერით. ამზადებ კარტოფილის მოსავლის ყველაზე ღირებულებული დანარჩენი დოზები.

150-ზე მეტი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა ფიტოფტორას პოპულაციის ბიოლოგიური შესწავლა. ამ დაავადების მცენარეში კულტურივრება ბევრ გაურკვევლობას აჩენს. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი თუ როგორ მოქმედებს პოპულაციურ სტრუქტურაზე, მისი სიცოცხლის უნარიანობა ცალკეულ ეტაპზე, როგორია გენეტიკური მექანიზმი აგრესიის ცვალებადობის მხრივ, როგორია მისი კლონური სის-


ტემის გადამრავლება ბუნებრივ პო-  
პულაციაში, როგორ ყალიბდება ვეგე-  
ტაციური შეუთანხმებლობა, როგო-  
რია მისი ორლი კარტოფილის და პო-  
მიდორის პირველადი დაავადებისას  
და რაში მდგომარეობს მათი დამო-  
კიდებულება პარაზიტის პოპულაცი-  
ის სტრუქტურაზე. (Популяционная  
генетика PHITOPHORA INFENTANS  
Ю. Т. ДЬЯКОВ, С. Н. ЕЛАНСКИЙ )

ფიტოფტოროზი გამოირჩევა მა-  
ლალი მავნებლობით და ვლინდება

ყვავილობის ფაზაში. ის მიცელიუმის მეშვეობით თავს ინახავს კარტოფილის ტუბერში, ხოლო ოსპორების საშუალებით – ნიადაგში (მეორადი ინფექცია). თუ ადრე ფიტოფტორას გავრცელებისათვის ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურა იყო 30-250ჩ, ამჟამად ის იმდენად აგრძესიული გახდა, რომ თითქმის ამინდს არ ემორჩილება და შეუძლია გავრცელდეს ჰაერის ტემპერატურის ფართო დიპაზონში 1,50-დან 300 ჩ-მდე, ასევე მოსული ნალექების მიხედვით სოკოს გავრცელების არეალი საგრძნობლად იცვლება და მოსავლის დანაკარგი 70%-მდე აღნევს. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ფიტოფტორას ეპიფიტო-

ტია 4-5 წლის განმავლობაში გვახსენებს თავს.

ჩვენს მიერ შერჩეული იყო კარტოფილის ინტროდუცირებული და და რაიონებული ჯიშები. ბოლო სამი წლის განმავლობაში შევისწავლეთ ამ ჯიშების ფიტოფტორას მიმართ გამდლება ორ განსხვავებულ აგროეკოლოგიურ ზონაში (ქობულეთი – წალვერი). აღმოჩნდა, რომ ორივე ზონაში სავეგეტაციო პერიოდში საადრეო ჯიშებზე ინფექციური ლაქა გავრცელებას ვერ ასწრებს მოსავლის აღების გამო, რადგან ბოლო წლებში კალენდალური ვადებიც მერყეობს 1-1,5 თვეთ. რაც შეეხება საშუალო და საგვიანო ჯიშებს ფიტოფტორას გავრცელების ინტენსივობა მერყეობდა 10-60%-ის ფარგლებში, მიუხედავად განსხვავებული კლიმატური პირობებისა (ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა და მოსული ნალექების რაოდენობა). წლების მიხედვით, ორივე ზონაში კარტოფილის ჯიშების უმრავლესობა ფიტოფტორას მიმართ იყო საშუალოდ მიმღებიანი, თუ არ ჩავთვლით 2016 წლის სავეგეტაციო პერიოდს, როცა ფიტოფტორას გავრცელებამ 80%-ს მიღწია. ერთ-ერთი მიზეზი იყო ივლისის მე-3-ე დეკადაში დაავადებისთვის შექმნილი ოპტიმალური გარემო პირობები კერძოდ: ჰაერის ტემპერატურა მერყეობდა 150-250-მდე, ტენიანობა – 80% და მოსული ნალექის რაოდენობა 29 მმ. შესაბამისად მოსავლის დანაკარგმაც პიკს მიაღწია.



იმის გამო, რომ თავიდან ავიცი-ლოთ ფიტოფტორას გადაზამთრება ნიადაგში, პირველი და აუცილებელია შემოდგომის ბოლოს დაიფაცხოს ნაკვეთი, რითაც უმჯობესდება ნიადაგის აერაცია და მცირდება ფიტოფტორას ნიადაგში სიცოცხლის უნარიანობა. რაც შეეხება ბრძოლის ღონისძიებებს, მნიშვნელოვნია ფიტოფტორას ნიშნების გამოვლენისთანავე კერძო და ფერმერულ ნაკვეთებშიც ერთდროულად მოხდეს შენამვლითი ღონისძიების ჩატარება, რადგან დაავადებისათვის შექმნილ ხელსაყრელ პირობებში ის მაინც იჩენს თავს.

ამრიგად, კარტოფილის ფიტოფტოროზი იყო და რჩება ყველაზე მნიშვნელოვან დაავადებად, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს მოსავალს.

დღემდე არ არის პასუხიაცემული ისეთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული შემოქმედებითი კითხვები, როგორი-

ცაა პარაზიტის აგრესიულობის გენეტიკური მექანიზმი ან ეროზია თუ არასპეციფიკური გამძლეობის კარტოფილი. სიღრმისეული კვლევები კარტოფილის ფიტოფტორაზე როგორც პარაზიტზე, მეცნიერებს ახალი ამოცანების წინაშე აყენებს.

საერთაშორისო სურსათის ორგანიზაციების ექსპერტები ვარაუდობენ რომ 2030 წლის შემდეგ პლანეტის უმრავლეს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლი-ანობა საგრძნობლად შემცირდება კლიმატის ცლილების გამო, ამიტომ მთელ მსოფლიოს ამ მიმართულებით მოუწევს ახალ კლიმატურ პირობებათ ადაპტირება.

**ნანი აფილაზი,**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამდებობის

## ზერართა საყურადღებო

# რა იწვევს მიწაში სტაფილოს ძირსვების დახარჯვას?

სტაფილო ერთ-ერთი გამორიგო და სასარგებლო გაღრეულია. ის ნიადაგური თუ სხვ პირობებისაზე დიდად მომთხოვენ არ არის და ამიტომაც მისი მოყვანა გამოიყენება თავისუფლად შეუძლია.

სანდახან ისეც ხდება ხოლმე, რომ სტაფილოს ძირხვენა, მოსავლის აღებამდე მინაშივე სკედება, ან ფორმას კარგავს. რა იწვევს ამას და ეს რომ არ მოხდეს, რამდენიმე წესის დაცვაა საჭირო ამ მცენარის მოვლის დროს.

## პირველი მიზანი – მოწყვეტის არასწორი რეზიგი

კითხვაზე, რა იწვევს სტაფილოს ძირხვენის დახეთქვას? სავარაუ-

დოდ პირველი ყველაზე მართებული პასუხი იქნება – არასათანადო მორწყვა!


ნიადაგის გამოშრობის შემდეგ, ჭარბი წყლის მიწოდების შემთხვევაში ძირხვენის უჯრედები დიდი რაოდენობით ტენს შეინოვს, შესაბამისად მის შიგნით იზრდება წნევა, ქსოვილები იშლება და ძირხვენა სკდება.

ასეთ შემთხვევაში ვითარების გამოსწორება რთული არ არის, წყლის




მიწოდების რეჟიმი დარეგულირდება და მგდგომარეობაც კალაპოტში ჩადგება, ამიტომ სტაფილო სიცხეში არ უნდა მოირჩიას, უმჯობესია სტაფილო ზომიერად ადრე დილით და საღამოს მოირჩიას.

როგორც კი ძირხვენა მიაღწია ნირმალურ ზომას, მორწყვა საერთოდ უნდა შევაჩიროთ.



სტაფილოს ზოგიერთი ჯიში



### მეორე მიზანი – სასუძის სიშარპი

ხანდახან ისეც ხდება, რომ სტაფილოს კვლებს ვრწყავთ დროულად და ზომიერად, მაგრამ სტაფილო მაინც სკდება.

რა ვიღონოთ ამ შემთხვევაში? სტაფილოს დახეთქვის ერთ-ერთი მიზანი ნიადაგში აზოტის სიჭარბეა.

საქმე ის არის, რომ კარგად განვიერებული ნიადაგში ძირხვენის უჯრედები ძალიან სწრაფად იზრდება და ძირხვენის ქსოვილი ვეღარ უძლებს შიდა წნევას და სკდება.

ამ დროს უსიამოვნების მიზეზის მიგნება რთულია. ამიტომ სტაფილო ხშირ ხშირად არ უნდა გამოკვებოთ, აზოტი ნიადაგში მცენარის განვითარების პირველ სტადიაში უნდა შევიტანოთ.

როგორც კი ძირხვენა გამოინასკვება და განვითარებას დაიწყებს, გამოკვება უნდა შეწყდეს.

ზაფხულში სტაფილო შეიძლება ფოსფორინანი და კალიუმინი სასუქით გამოკვებოს. ორგანული და აზოტიანი სასუქები უნდა გამოირიცხოს.

### მესამე მიზანი – მპიტა თიხენარი გრუნტი

რატომ სკდება სტაფილო თუ ნორმირებულად იწწვება და საკვებიც ზომიერად მიეწოდება?

ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, იმით, რომ ნიადაგი, სადაც სტაფილო გვითესია, მძიმე და თიხენარია, ამ შემთხვევაშიც მიზეზი ძლიერი წნევაა.

ზრდის პროცესში ძირხვენა ცდილობს გაფართოვდეს, მძიმე ნიადაგ-

ში გააღნიოს, იქმნება დიდი სინერგიული ძალა, რასაც ძირხვენის გარსი ვერ უძლებს სკდება. ვითარების გამოსწორება შესაძლებელია ნიადაგში ქვიშის ჩაკეთებით. ამ დროს უნდა გამოვიყენოთ მდინარის და არა კარიერიდან აღებული ქვიშა.

ამის გარდა, იმ დროს თუ თქვენი მეურნეობა, აგარაკი მთლიანად მძიმე თიხენარ ნიადაგებზეა, მაშინ უნდა შეარჩიოთ სტაფილოს ისეთი ჯიში, რომელიც მოკლე, მსხვილ ძირხვენას იკეთებს, ეს შეიძლება იყოს სტაფილოს ჯიში „შანტანე“ ან სხვა.

ხანდახან ისეც ხდება რომ ნიადაგში ქვიშაც ჩაკეთებულია, შესაბამისი ჯიშიც შერჩეულია, მაგრამ სტაფილო მაინც სკდება. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი გამოსავალი ვარჩება, უნდა ამოვთხაროთ 20-40 სმ. სიღრმის ორმო, კვლები, ამოვავსოთ ფხვიერი, ნაყოფიერი ნიადაგით და მასზე დავთესოთ სტაფილო.

### მეორე მიზანი – სტაფილოს გადამციცვა

ნიადაგში სტაფილოს გახეთქვის მიზანი შეიძლება ისიც იყოს, რომ ზოგიერთი ჯიში ვერ იტანს დაგვიანებით აღებას, ამიტომ საჭიროა სტაფილოს მოსავალი დროულად ავიღოთ. თუ რაიმე მიზეზის გამო გვიგვიანდება ამოღება, საჭიროა ისეთი ჯიშების შერჩევა, რომლების დახეთქვისადმი გამძლეა.

## გარაზება

# სუბტროპიკული ხერმა (DIOSPIROS KAKI), გაღის გამოვლენა, მოვლა

გოლორ ნლებზე გლობალური კლიმატური ცვლილებებისა და გავრცელდა დაავადებათა ცნობილი გავრცელების ზონზე ბევრი სასოფლო-სამუშაო კულტურა დაზიანდა და გათი სამრეცველო გავრცელება ეჭვის ქვეშ დააყვნა.

საკმარისია დავასახელოთ თხილის კულტურა, რომლის ფართობმა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების განადგურების ფონზე – 30 ათას ჰექტარს მიაღწია, თუმცა ბოლო 3-4 წლის პერიოდში მავნებელ (აზიური ფარისანი) დაავადებათა მასიური გავრცელების შედეგად, მიუხედავად გატარებული

რადიკალური ღონისძიებებისა, თხილის მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი კატასტროფულად დაეცა. ამიტომ სასიცოცხლოდ აუცილებელია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სასიცოლო-სამეურნეო კულტურათა სამრეწველო გაშენების დროს გაითვალისწინონ მეცნიერულ რეკომენდაციებით შე-



მუშავებული ძირითადი კრიტერიუმები:

- მცენარის ადაპტაციის უნარი გარემოს ეკოლოგიურ-კლიმატურ ცვლილებებთან,
- მდგრადობა-გამძლეობა მავნებელ-დავადებათა მიმართ.
- პროდუქციაზე საბაზრო, საექსპორტო და შიდა სამომხმარებლო მაჩვენებელების მაღალი დონე.

ჩვენის აზრით ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო კულტურაა საქართველოში ტრადიციულად გავრცელებული სუბტროპიკული ხურმა.

სუბტროპიკული ხურმის ნაყოფის კვებითი ღირებულება ძალზე დიდია. იგი შეიცავს ნახშირწყლების დიდ რაოდენობას (14-23%), რეინას, მთრიმლავ და ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო სხვა ნივთიერებებს. ხურმა შეიცავს „A“ და „C“ ვიტამინებს.

ხურმა გამოიყენება მწიფე ნაყოფად, ისე გამხმარი და დაკონსერვებული სახით. იხმარება აგრეთვე საკულინარიო წარმოებაში.

**ხურმის გამზარი ნაყოფი იფარება დაკრისტალებული შაქრით და გემორთი არ ჩამოუვარდება ინდურ ფინიკს.**

ხურმის ნაყოფი გამოიყენება ლიქი-ორის წარმოებაში: მისი ნაყოფიდან მაღალი ხარისხის სპირტი მიღება. ხურმის უმნიფარი ნაყოფი, მცენარის ქერქი, ფოთლები და მერქნის ნარჩენები იხმარება ტყავის სათროიმლვად, ლაქის და საღებავების წარმოებაში. ხურმის ნაყოფით მეურნალობენ კუჭის კატარით დაავადებულებს, დიდად სასარგებლოა სისხლნაკლულობის დროსაც.

**უკანასკნელ წლებში შემუშავებულია ხურმის მშრალი ფორმირებული პროდუქტის – „ხურმის ბატონის“ წარმოების ტექნოლოგია, რომელიც საექსპორტო დანაშრულებას იძენს.**

სუბტროპიკული ხურმის სამშობლოდ ჩრდილოეთ ჩინეთი ითვლება. ჩინეთიდან სუბტროპიკული ხურმა შეტანილია იაპონიაში, სადაც მისი ნაყოფი მანდარინის ნაყოფთან ერთად ასოცირდება. იაპონიდან ხურმის კულტურა გავრცელდა სხვა ქვეყნებში. საქართველოში ის 1888-89 წლებში იტალიდან შემოიტანეს. სუბტროპიკული ხურმის პლანტაციების უმეტესი ნაწილი გაშენებულია აჭარისა და აფხაზეთის რაიონებში, აგრეთვე გურიის, სამეგრელოს, იმერეთის და ალმოსავლეთ საქართველოს თბილ რეგიონებში.

საქართველოსთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სამ სახეობას: ვირგინის ხურმას, კავკასიურ ხურმას და ალმოსავლურ (სუბტროპიკულ) ხურმას. პირველ ორს იყენებენ საირედ, მესამეს კი როგორც ხეხილს.

## საქართველოში გავრცელებული

**ხურმის ჯიშები შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:**

**1. მუდმივ მდედრობითი: ჰაჩია, ჰიაკუმე, ტანენაში, ტამოპანი, ტსურუ, კონსტანტა, იემონი, ზენჯი, ტრიუმფი.**

**2. მუდმივ მამრობითი: ზენჯი მარუ, გეილი, დამამტვერიანებელი.**

**3. ცვალებადი მამრობითი: ოკეიმი, ფუიო.**

პირველი ჯგუფის ზოგიერთი ჯიშის ნაყოფის წარმოსაქმნელად დამტვერვა აუცილებელი არ არის (ჰაჩია, ტანენაში, ტამოპანი). ამავე ჯგუფის ზოგიერთი ჯიში მოითხოვს აუცილებლად დამტვერვას (ჰიაკუმე, იემონი, ზენჯი და სხვა). ამ ტიპის ხეებისათვის საჭიროა პლანტაციაში დამამტვერიანებების გამორგვა. სუბტროპიკული ხურმის ყვავილობა ჩვეულებრივ მაისის შუა რიცხვებიდან, ივნისის დასაწყისამდე გრძელდება. ხურმის მსხმოიარობა დამოკიდებულია დამტვერვაზე, ჯიშების შერჩევაზე და ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე.

## სუბტროპიკული ხურმის

### სამრეცველო ჯიშები

**ჰაჩია –** საუკეთესო საწარმოო ჯიშია, ნაყოფი უთესლოა, უმეტესად გავრცელებულია აჭარასა და გურიაში. ხე ძლიერ მოზარდია, სიმაღლე 5-8 მეტრია, ნაყოფი დიდი ზომისაა 300-500 გრ. ნაყოფის ზედაპირი კრიალაა, ნაყოფი ნაგრძელებულ კონუსურია, მოკლე წანვეტილი ბოლოთი. ნაყოფის რბილობი დამზიდებელი დამტვერია, შემდეგ კი ტებილი, მეტისმეტად ნაზი და სასიამოვნო გემოთი. მწიფება იქტომბერ-წანებერში. საჭიროებს დამტვერვას, წინააღმდეგ შემთხვევაში წელგამოშვებით მსხმოიარობს. ნაყოფის თხელი კანის გამო ნაკლებ ტრანსპორტაბელურია.

**ჰიაკუმე –** ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელებული ჯიშია. დასავლეთ საქართველოში მას „კარალიოეს“ უწოდებენ. ნაყოფი საშუალო ან დიდი ზომისაა (120-140გრ). ნაყოფის ფორმა ცვალებადია, ვაშლისებრიდან მომრგვალომდე. ამასთან ნაყოფი ორივე მხრიდან შებრტყელებულია. ნაყოფი შევენიერი გემოსია, კარგად ინახება. შემოსული თესლიანი ნაყოფი დარბილებამდეც ვარგისია საჭმელად. ნაყოფის თესლი დიდი ზომისაა, მსხმოიარობს დაუმტვერიანებლა-

დაც, თუმცა დამამტვერიანებლის ჩარჩევა ადიდებს მსხმოიარობას. ნაყოფი იტანს ტრანსპორტირებას. მწიფება ნოებერში.

**ჩინებული –** ხე საშუალო ან საშუალოზე დაბალი სიდიდისაა, სუსტად მოზარდია, სიმაღლით 6-8 მ. ნაყოფი დიდი ზომისაა 300-400 გრ. ფორმით ფართო კონუსურია, წანვეტილი, კანი პრიალა, გლუვი, რბილობი სქელი ცომისამაგვარი, მკვრივი. დამწიფებამდე მაგარი და მწკლარტე. შემდეგ ტებილი მშვენიერი გემოსი, ყვავილები დამტვერვას არ საჭიროებს, უთესლოა, იშვიათად 2-3 თესლი. მისგან მზადდება საუკეთესო ჩირი. ნაყოფი მწიფება იქტომბერ-წანებერში.

**ფუიუ –** ხე საკამაოდ მაღალია, უხვოსავლიანი, ნაყოფი საშუალო ან დიდი ზომისა (150-250გრ). რბილობი მკვრივი, ტებილი, საშუალო წვნიანი, სასიამოვნო გემოსი. ნაყოფში თესლი მცირე რაოდენობითაა ან უთესლოა. ნაყოფი მაღალი ღირსებისაა, მწიფება ნოებრის დასაწყისში, დიდხანს ინახება. ფუიუ ჩვენს პირობებში საუკეთესო ჯიშად ითვლება. ნარგაობა გვხვდება ფოთის, სენაკის, სამტრედის, ლანჩხუთის ზუგდიდის საწარმოო პლანტაციებშია და საკარმიდამო ნაკვეთებში.

**ტამოპანი –** ხე მძლავრად მოზარდია, უხვად მსხმოიარობს, ნაყოფი მსხვილია, კანი სქელი და უხეში. რბილობი ღირსი ნარინჯისფერი, გამჭირვალე, ნაზი, წვნიანი, უთესლოა. ყველაზე საგვიანო ჯიშია, დამამტვერიანებლა არ საჭიროებს.

**ზენჯი-მარუ –** ხე საშუალო სიდიდისაა, ნაყოფი პატარა წონით 100 გრამამდე, მრგვალი და მოგრძო მომრგვალო ფორმის. რბილობი მუქი, მოშავო, მკვრივი, წვნიანი, ძალიან ტებილი, საჭმელად ვარგისია დაუმწიფებელი, გასაშრობად (ჩირად) არ ვარგა. მწიფდება იქტომბერში, კარგად ინახება, უხვმოსავლიანია.

**გეილი –** საუკეთესო ჯიშად ითვლება ხურმის პლანტაციებში რიგ-თაშრისებში დასარგავად, როგორც დამამტვერიანებელი. ნაყოფი პატარა ზომისაა, მოგრძო კონუსური ფორმის. რბილობი მკვრივი, წვნიანი, ნაყოფი თესლიანია დაბალი კვებითი ღირებულებით.

**დამამტვერიანებელი –** რეკომენდებულია, როგორც დამამტვერიანებელი გეილების თანაბრად. უკითარდება მამრობითი ყვავილების დიდი

რაოდენობა. სე უნაყოფოა, ან მცირე მოსავლიანია, ნაყოფი წერილი, მრავალი თესლით, მწიფდება გვიან.

## სუბტროპიკული ხურმის გამრავლება

სურმას ამრავლებენ როგორც თესლით, ისე ვეგეტატიურად, მყნობით. თესლით გამრავლებული ხურმა არა-თანაბარი თვისებების ნაყოფს იძლევა და გვიან იწყებს მსხმოარობას. გამრავლების საუკეთესო ხერხია მყნობა.

სუბტროპიკული ხურმის საძირებად გარეული ხურმის ნათესარებს იყენებენ. საძირებად იყენებენ ვირგინის ნათესარებსაც, თუმცა გარეული ხურმის საძირებები დამყნობილი ხურმის ჯიშები დიდხანს ძლებენ და სწრაფი ზრდითაც ხასიათდებიან.

საძირების მისაღებად კავკასიური ხურმის თესლი მზადდება შემოდგომაზე. ნაყოფს ათავსებენ კასრებში და ასხამენ წყალს. ორი დღის შემდეგ, როდესაც თესლი მოსცილდება ნაყოფს, ამოილებენ და აშრობენ 16-200 – მდე, ინახავენ მშრალ ადგილას. თესლის თესვა ტარდება თებერვალ-მარტში. ლია სანერგეში სათეს მწკრივებს შორის მანძილი 50სმ, ხოლო მწკრივში თესლებს შორის 10სმ. თესლი გაღვივებას იწყებს მაისის დასაწყისში. როდესაც ნათესარები მიაღწევენ 5-6სმ. სიმაღლეს ანარმობენ მათ გამოხშირვას, ისე რომ მწკრივში მცენარეთა შორის დარჩეს 20-25სმ. როდესაც საძირები მიაღწევენ სტანდარტს – (სიმსხო 8-10მმ-ზე მეტი) ატარებენ კალმით ან კვირტით მყნობას.

**კალმით მყნობა** – ტარდება ზამთარში, თებერვალ-მარტში, ორანქერებაში ან სათბურში, ნამყენის შეხორცების შემდეგ ნერგი აღსაზრდელად

გააქვთ სანერგეში. ლია გრუნტში კალმით მყნობა ტარდება აპრილის ან მაისის თვეში-ვეგეტაციის დაწყებისას, რისთვისაც როგორც საძირებები, ისე სანამყენებები კეთდება თანაბარი ზომის ირიბი ჭრილი, ხოლო ორივეზე, ჭრილის ზედაპირის ერთი მესამედის ზღვარზე კეთდება ჩანაჭერი. სანამყენები კალმები უნდა იყოს 2-3 კვირტიანი. კალმისა და საძირის ჭრილობების კამბიალური ქსოვილები ერთმანეთს კარგად უნდა ეხებოდეს, რის შემდეგ ნამყენ ადგილს პოლიეთილენის აფსკით ახვევენ და უსვამენ ბალის მალამოს.

**კვირტით მყნობის** – ძირითადი პერიოდი ზაფხულია, თუმცა სუბტროპიკული ხურმისთვის საუკეთესო პერიოდი თებერვლის ბოლო ან ადრე გაზაფხულია. ხურმის მყნობისას კვირტის ჩასმა შესაძლებელია, როგორც თ-სებურ ჭრილში, ისე მიჭდომის მეთოდით. დღეისათვის ძირითადად ხურმის მყნობისას კვირტის მიჭდომით მყნობის მეთოდი გამოიყენება, რომელიც საძირები წვენთა მოძრაობის დაწყებისას ტარდება. გაზაფხულზე მყნობისათვის სამყნობი მასალა მცენარის მოსვენების პერიოდში უნდა დავამზადოთ. მყნობის ნარმატებით ჩასატარებლად აუცილებელია, საძირე აქტიურ, სანამყენება, კი (კვირტი, კალამი) მოსვენებულ მდგომარეობაში იყოს. კვირტის მიჭდომა საძირებები ხდება ნიადაგის ზედაპირიდან 8-10 სმ სიმაღლეზე. საძირის სიმსხო უნდა იყოს 8-10მმ. კვირტის აღება და ჩასმა ტარდება სწრაფად. ნამყენი ადგილი იხვევა პოლიეთილენის აფსკით. თუ კვირტი ჩავარდა, ტარდება განმეორებითი მყნობა. გახარებული ნამყენი უნდა გადაიჭრას კვირტის ზემოთ. სათანადო მოვლის პირობებში (გაფხვიე-

რება, მორწყვა, გამოკვება, შენამვლა) ერთნლიანი ნერგი აღწევს 1-1,5 მ-ს, რომელიც გამოდგება მუდმივ ადგილზე დასარგავად. დღეისათვის ხურმის კვირტით მყნობა ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხერხია.

**კალმების დამზადება** – ნამყენის გახარებაზე გავლენას ახდენს კალმების ხარისხი. გაზაფხულზე, როგორც კალმით, ისე კვირტით მყნობისათვის კალმები აჭრილი უნდა იქნეს მცენარის მოსვენების პერიოდში იანვარ-თებერვალში, მანამ სანამ წვენის მოძრაობა დაიწყებოდეს. აჭრილი კალმები ჯიშების მიხედვით ინახება გრილ ადგილას, ცივ სარდაფში. მყნობა საჭიროა ჩატარდეს ცალკეულ მწკრივებში, სადაც თითოეულ ჯიშს უკეთდება ეტიკეტი ჯიშის სახელწოდების აღნიშვნით.

## პლანტაციის გაშენება და მოვლა

დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში სუბტროპიკული ხურმა უზრუნველყოფილია ნიადაგურ კლიმატური პირობებით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ სუბტროპიკულ ზონაში (თელავის, ყვარელის, სიღნაღის, გურჯაანის და გარდაბნის რაიონები) ასევე იმერეთის რიგ მუნიციპალიტეტებში ნიადაგის ტენით უზრუნველყოფილი მიზნით საჭიროა პლანტაციების მორწყვა. სუბტროპიკული ხურმის მოსავლიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ქარები, რომლებიც იწვევენ ნაყოფების მექანიკურ დაზიანებას და ცვენას. ამისათვის ხურმის გასაშენებლად შერჩეული უნდა იქნეს ქარებისაგან დაცული ადგილი ან მოეწყოს ქარსაზვარები.

ხურმისათვის საუკეთესოა ალუვიური, ნემობალა კარბონატული ნაკლებად მჟავე წითელმიწა და ენერმიწა ნიადაგები. ექსპოზიციის მიხედვით უკეთესია დასავლეთის და აღმოსავლეთის ფერდობები, ვაკე და მცირედ დაქანებულ ადგილებზე პლანტაციების გაშენებისას ნიადაგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი დრენაჟით.

## ნიადაგის მომზადება და დარგვა

ხურმის პლანტაციის ვაკე ადგილზე გაშენებისას ნიადაგი უნდა დამუშავდეს 40-45სმ. სიღრმეზე. ფერდობ ადგილებზე ნიადაგი მუშავდება ზოლე-



ბად, ჰორიზონტალური მიმართულებით, ხოლო 150-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე ეწყობა ტერასები.

ხურმის პლანტაციის გასაშენებლად მცენარეთა შორის მანძილი იცვლება ხის ზრდის სიძლიერის მიხედვით. ძლიერად მოზარდი ჯიშებისათვის, როგორიცაა: ჰაჩია, ტამიპანი, კონსტანტა და ფუიუ 6-8მ. მცენარეთა შორის, ხოლო 8-10მ. რიგებს შორის. დანარჩენი ჯიშებისათვის მიღებულია 5X6მ. ფერდობებზე და მნირისადაგებზე დარგვა შეიძლება მოხდეს უფრო ჩაბშირებულად. მცენარეთა დარგვა წარმოებს შემოდგომით ან გაზაფხულზე. დასარგავად მონიშნულ წერტილებში იღებენ 40სმ. სიღრმისა და 30-35სმ. სიგანის ორმოს. ორმოში ყრიან ნაკელს ან ტორფკომპოსტს 10-12 კგ. ასევე რთული კომპლექსური სასუქის NPK-150 გრ. ნარევს. ყველა კომპონენტს ნიადაგთან ერთად აურევენ. დასარგავად გამოყენებული უნდა იქნეს სანერგები ახლად მოთხრილი სტანდარტული ნერგები. ნერგი ფრთხილად ირგვება ორმოში, მოიტკეპნება და მოირწყვება. თითოეულ ორმოში ნერგს დაესობა ჭიგო და აიკვრება 2 ადგილზე.

ყველა ცვალებადი ჯიშისა და ხურმის იმ კონსტანტური ჯიშებისათვის, რომელთა განაყოფიერებისათვის საჭიროა დამამტკერიანებელი, ყოველი მერვე ხის რიგში დარგული უნდა იქნეს დამამტკერიანებელი ჯიშები, რომლებსაც მუდმივი მამრობითი ყვავილები ახასიათებს (გეილი, დამამტკერიანებელი, ზენჯი-მარუ). პლანტაციების გაშენების შემდეგ ფერმერი ადგენს ნაკეთის პასპორტს, რომელშიცაც ნაჩვენებია: გაშენების წელი, ჯიშის მიზნი შედგენილობა, გაშენების სიხშირე, ნიადაგის ტიპი და სხვა მაჩვენებლები. ასევე ფერმერი ვალდებულია სპეციალურ სააღრიცხვო უურნალში ყოველწლიურად შექმნდეს: ბალის მოსავლიანობა, განოყიერების სისტემა, ვარჯის გასხვლა-ფორმირება. ეკოლოგიური რისკების შედეგად გამოწვეული ზარალი და სხვა მაჩვენებლები. აღნიშნული დოკუმენტაცია ფერმერს უადვილებს სადაზღვეო კომპანიებთან ურთიერთობას.

## ვარჯის ფორმირება და გასხვლა

დარგვის დროს მცენარეები იჭრება 80-100სმ. სიმაღლეზე. ვეგეტაცი-

ის დაწყების შემდეგ, შტამბის ზემოთ 30-40სმ. ფარგლებში დატოვებული უნდა იქნას კვირტები, ხის ვარჯის ძირითადი ტოტების შექმნის მიზნით, დანარჩენი ქვედა კვირტები უნდა მოცილდეს ბალის დანით. მეორე წელს ადრე გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყებამდე ტოტებენ 4-5 ტოტს, რათა შეიქმნას კომპაქტური ვარჯი. ძირითადი ვარჯის შექმნის შემდეგ გასხვლის ჩატარება საჭირო არ არის, იგი ტარდება მხოლოდ დაზიანებული, გამსმარი ტოტების ან ზოგჯერ

მიხავდისფერი ხოჭო, რომელიც მეტნილად სანერგებს აყენებს ზარალს. მის საწინააღმდეგოდ დაჭუპრების პერიოდში (ივნისი-ივლისი) მიმართავენ ნიადაგის პარადიქლორბენზოლით შენამვლას. ფარიანების საწინააღმდეგოდ პლანტაციებში შესსურებული უნდა იქნეს თებერვალ-მარტში სიპამოლი (2,5 ლ/ჰა) აპლაუდი 1,5 ლ/ჰა.

უკანასკნელ პერიოდში ხურმის ნაყოფის მეტად საშიშ მავნებლად აზიური ფარისანა გვევლინება. მის საწინააღმდეგოდ გამოიყენება, როგორც ნიმფის, ისე იმაგოს ფაზაში რეკომენდირებული ბიფენტრინის შემცველი პრეპარატები: ტალსტარი, ზონდერი, ინსეკარი და სხვ. პრეპარატის ხარჯვის ნორმა 0,3-0,6 ლ/ტრი ჰექტარზე. ნაცრის ნინააღმდეგ მიზანშენილია გოგირდის შემცველი კონტაქტური, ან სისტემური ფუნგიციდები (კემალუსი, ტილუნდო, ტოპაზი)




გამოშვერილი ტოტების გამოხშირების მიზნით. ახალგაზრდა ხურმის პლანტაციის რიგთამორისები შეიძლება გამოყენებული იქნეს ბოსტნეული ან სხვა ერთწლიანი კულტურებისათვის.

## ხურმის პლანტაციების მოვლა

ხურმის მსხმოიარე პლანტაციებში ნიადაგი მუშავდება შემოდგომით 15-20 სმ. სიღრმეზე, შტამბთან ახლო ზოლში კი 10სმ. სიღრმეზე. ხურმის პლანტაციებში საუკეთესო შედეგს იძლევა ორგანული სასუქები - 30-40 კგ. თითოეულ ძირზე, ხოლო მინერალური სასუქებიდან თითოეულ ძირზე რეკომენდირებულია: რთული კომპლექსური სასუქი NPK 1000-1500 გრ. შეტანა თებერვალში ნიადაგის დაბარვის პროცესში, დამატებით სასურველია ივნის-ივლისში შეტანილი იქნას ამონიუმის გვარჯილა 300-500გრ. ერთ ძირ ხეზე ნიადაგის მსუბუქი ჩათოხნით.

ხურმის მავნებლები, დაავადებანი და მათთან პრძოლის ღონისძიებანი

ხურმის პლანტაციებს აზიანებს ჩვენში საკმაოდ გავრცელებული მავნებლები: ფარიანები, თრიფლები, ცრუფარიანები და წითელი ტკიპა. ხურმის ფოთოლს აზიანებს აგრეთვე



ჭარბი ტენიანობის რაიონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო) ხურმის ხმობა შესაძლებელია ხელოვნურად სპეციალურ ლუმელებში. ხელოვნური ხმობის დროს ტემპერატურა უნდა იყოს 50-60°C და თანდათანობით გადიდეს 70-75°C-მდე. 1კგ. ჩირის მისაღებად საჭიროა 5-7 კგ. ტექნიკურად მწიფე ხურმის ნაყოფი. გახ-

მობის შემდეგ ხურმის ჩირი იფუთება და ინახება ყუთებში, რომლის ყოველ მხარეს ჩაფენილი უნდა იყოს პერგამენტის ქაღალდი. ხურმის ჩირის საბაზრო მოთხოვნილება და სარეალიზაციო ფასი საკმაოდ მაღალია, რაც თავისთავად აჩენს ინტერესს ფერმერულ მეურნეობებში ამ კულტურის ფართოდ გავრცელების შესაძლებლობებზე.

**გახსოვდეთ:** სუბტროპიკული ხურმა ჩვენში ფართოდ გავრცელებული ხილია, თუმცა გასულ საუკუნეში გაშენებული ნარგაობა ასაკით მობერებული და განახლებას მოითხოვს. მისასალმებელია ბევრი ფერმერის თუ გლეხის ქმედება, როდესაც ჩაის სარეაბილიტაციო პლანტაციებში თავისუფალ ადგილებს ხურმის ნარგაობით ავსებენ. ასევე სასურველია ამ კულტურას საკარმიდამო ნაკვეთებზეც გამოეყოს ადგილი, როგორც ცალკე პლანტაციების, ისე ინდივი-

დუალური ნარგაობის სახით. ხურმის მოვლა-მოყვანა დიდ დანახარჯებთან არაა დაკავშირებული, მისი არასტანდარტული, ძირი ჩამოცვენილი ხაყოფები ფართოდ გამოიყენება ცხოველთა გამოსაკვებად, არაყის გამოსახდელად, ხოლო ხეზე გვიან შემოდგომა-ზამთრამდე დარჩენილი ნაყოფები საუკეთესო საკვებია გარეული ფრინველებისათვის. ფაუნაზე ზრუნვა ხომ ჩვენი თანაცხოვრების განუყოფელი ნაწილია – სწორედ ამის რეალურ შესაძლებლობას სხვა სიკეთებთან ერთად ხურმის ნარგაობა იძლევა.

**ზაურ გაბრიელიძე,**  
**ს.მ.მ. დოქტორი პროფესორი;**  
**მთავარ ჩიმაშვილი,**  
**გ. მ. აკადემიური დოქტორი;**  
**ნიკა გურიაშვილი,**  
**სპეციალისტი**

## ღვაწლობი მეცნიერი, ჟურნალის ზურ გაბრიელიძე - იუბილარია

80 წელი ზურულდა სასიქადულო მამული გვილა, გამორჩეულ მეცნიერს, პრიცეპულ გვალდებულ და აიროვნებას, სოფლის მეცნიერების მეცნიერებათა დოკტორს, პროფესორს, საბაზრო გვილა ეპოლოს ეპოლო გვილობას.

ბატონი ზაური დაიბადა 1939 წლის 27 მაისს, ტყიბულის რაიონში, სოფელ მუხურაში. 1957 წელს სკოლის ოქროს მედალზე დაამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1962 წელს ქ. სოხუმში, სუბტროპიკული კულტურების სწავლული აგრონომის სპეციალობით. იმავე წელს ჩაირიცხა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ანსპირანტურაში. სწავლის პერიოდში ბატონიმა ზაურიმ სპეციალური თეორიული და პრაქტიკულ კურსი გაიარა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში და 1966 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დაფინის კულტურის ვეგეტატიური გამრავლების ბიოლოგიური საფუძვლები“ და მიენიჭა სოფლის მეცნიერების მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1988-1995 წლებში ბატონი ზაური ინსტიტუტის დანერგვის განყოფილების, ხოლო 1995-2011 წლებში აგროტექნიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი კულევების შედეგების წვლილი სამრეწველო მასშტაბით მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხის ჩაის ჯიშ „კოლეიდას“ ვეგეტატიური წესით ნერგების წარმოებაში და 5 ათას პეტრაზე ამ ჯიშით პლანტაციების გაშენებაში. მეჩაიერობის დარგში მიღწეული წარმატებებისთვის აღნიშნული სამეცნიერო-ტექნოლოგიური და სანარმოო ხასიათის მასშტატური ღონისძიების შედეგები 1983 წელს წარდგენილი იქნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიაზე.

1990 წელს ბატონი ზაურ გაბრიელიძე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია, ხოლო 1971 წლიდან იგი ახლად შექმნილი ჩაის ვეგეტატიური გამრავლების და წარმოებაში დანერგვის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. მინშვნელოვანია ამ ლაბორატორიის თანმიმდევრული კვლევების შედეგების წვლილი სამრეწველო მასშტაბით მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხის ჩაის ჯიშ „კოლეიდას“ ვეგეტატიური წესით ნერგების წარმოებაში და 5 ათას პეტრაზე ამ ჯიშით პლანტაციების გაშენებაში. მეჩაიერობის დარგში მიღწეული წარმატებებისთვის აღნიშნული სამეცნიერო-ტექნოლოგიური და სანარმოო ხასიათის მასშტატური ღონისძიების შედეგები 1983 წელს წარდგენილი იქნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიაზე.

1990 წელს ბატონი ზაურ გაბრი-



ჩიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ჩაის ვეგეტატიური გამრავლების მეცნიერული საფუძველები და სამრეწველო ტექნოლოგია“ და მიენიჭა სოფლის მეცნიერების მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1988-1995 წლებში ბატონი ზაური ინსტიტუტის დანერგვის განყოფილების, ხოლო 1995-2011 წლებში აგროტექნიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელებია. 2011-2014 წლებში იგი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელია.

2015 წელს ბატონი ზაურ გაბრიელიძე დაინიშნა სსიპ სოფლის მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მრავალწლიანი კულტურების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 2016 წლიდან დაიკავა ჩაისა და სუბ-

ტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი სპეციალისტის პოზიცია. ახლადშექმნილ სამსახურში გამოცდილი სპეციალისტის განსაკუთრებული ძალისხმევით და მონდომებით საფუძველი ჩაეყარა სუბტროპიკული კულტურების გენოფონდის მოძიების, გამრავლების, საკოლექციო ნაკვეთების შექმნის და მათ შემდგომი შესწავლის სამუშაოებს. დიდია მისი თანამშრომლობა ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“-ს ფარგლებში მის მიერ მომზადებული კრიტერიუმებისა და რეკომენდაციების საფუძველზე რეაბილიტირებულია 2000 ჰექტარზე მეტი ჩაის ნარგაობა. ბატონი ზაური წლების განმავლობაში ენეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1990-2010 წლებში ის ხელმძღვანელობს ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტის აგრობიზნესის და ეკოლოგიის ფაკულტეტებს. კითხულობდა სალექციო კურსს სპეციალისტი „სუბტროპიკული კულტურების აგროტექნიკოგია“ სხვადასხვა დროს ბ-ნი ზაური სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა შრი-ლანკაში, ინდოეთში, ვიეტნამისა და მარკოკში. ამ ქვეყნებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე იგი ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანაში სუბტროპიკული მემცნარეობის აღმავლობას.

მნიშვნელოვანია ბატონი ზაურის წვლილი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 6 საკუნდიდათო და 2 სადოქტორო დისერტაცია, იგი წლების მანძილზე იყო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებული სადისერტაციო საბჭოს წევრი; ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი; ურნალ „სუბტროპიკული კულტურების“ სარედაციო კოლეგიის წევრი. იგი ავტორია 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის და 20 რეკომენდაციის. მისი უშუალო რედაქტორობითა და რეცეზირებით გამოცემულია 10 სახელმძღვანელო და მონოგრაფია სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის აქტუალურ საკითხებზე. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამეცნიერო კონფერენციის და საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, არის საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო გრანტების თანამონაზილე და შემსრულებელი. მისი დასკვნა-რეცეზირების და ოპონირების საფუძველზე დაცულია მრავალი ათეული საკანდიდათო და სადოქტორო დისერტაცია.

მეცნიერებაში შეტანილი წვლილი-სათვის ბატონი ზაური დაჯილდოვებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სიგელებითა და მედლებით, ხოლო 2011 წელს „დირსების ორდენით“.

ბატონი ზაური საუკეთესო მრჩეველი, თანამდგომი და მეგობარია, საქმეში და ცხოვრებაში უდალატო. მან თავისი ცხოვრებით დამტკიცა, რომ ადამიანს იმაზე დიდი მიზანი არა აქვს, ვიდრე თავდადებით კეთილსინდისიერებით ემსახუროს საკუთარ ქვეყანას და საზოგადოებას.

გულითადად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს ბატონ ზაურს, ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით ნარმატებებს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

**სსიპ სოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;**  
**საქართველოსაგრარული  
უნივერსიტეტის ჩაის,  
სუბტროპიკული კულტურების და  
ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი;**  
**ადამ ბერიძის სახელობის  
ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“;**  
**ურნალი „ახალი აგრარული  
საქართველო“**

## საეციალის შეზარავა

# საქართველოს მერქანტი მექანიზმის დარგის სტრატეგიული მიზანების მიზანები


მექანიზმის საქართველოში მეპენველეობის უმნიშვნელოვანები დარგი. სოფლის მეურნეობის მთლიანი აროდულობის სტრუქტურული ფარგლებით არსებულ ფასებზე გენერირდების მიზანები მიღებული გამოცდილების საფუძველზე იგი ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანაში სუბტროპიკული მემცნარეობის აღმავლობას.

შეუცვლელია მსხვილფეხა პირუტის მიზანების მიზანები – მარცვა და რძეს, მზავის ნედლეულს.

რეა კვების სრულფასოვანი და კალორიული წყაროა. ქიმიური შემადგენლობითა და კვებითი თვისებებით მას ბუნებრივი საკვების სხვა სახეებს შორის ანალოგი არა აქვს. მის შემადგენლობაში შედის ყველაზე სრულფასოვანი ცილები, რძის ცხიმი, რძის შაქარი, აგრეთვე სხვადასხვაგვარი მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები, დიდი რაოდენობით ფერმენტები და სხვა ბიოლოგიური ნაერთები, რომ-

ლებსაც ადვილად ინელექს და კარგად ითვისებს ცხოველის ორგანიზმი. რეა 200-ზე მეტ სხვადასხვა ნივთიერებას შეიცავს. საშუალოდ რძის ათვისებადობა 95%-ს შეადგენს, რძის ცხიმისა და რძის შაქარისა – 98%-ს. რეა ფართოდ იყენებენ როგორც ნატურალური სახით (მოუხდელი რეა), ისე სხვადასხვა რძემუავა პროდუქტების, ყველისა და კარაქის დასამზადებლად.

მერძეული მექანიზმის ძირითად



ამოცანათა მნიშვნელობა ძლიერ იცვლებოდა სოფლის მეურნეობის ისტორიული განვითარების პროცესში.

განვითარების პირველ საფეხურზე



— სასაძოვრო მექროხეობა — მეცხოველობა (მათ შორის მერძეული მექროხეობა) იყო ერთადერთი გზა, შრომის მცირე დანახარჯებით, სავარგულები. იმ ხანად ჯერ კიდევ განუვითარებელი ტექნიკის გამოყენების გარეშე, რაციონალურად გამოგვეყნებინა დიდი ფართობის სასოფლო-სამეურნეო. მეცხოველობის ეს ფორმა დღემდე შენარჩუნებული იმ რეგიონებში, სადაც წარმოების თანამედროვე საშუალებათა გამოყენება გაძნელებულია ტექნიკურად (მაგალითად, მთის საძოვრები), ან ეკონომიკურად (ფასები, გასაღება, სანარმოთა ფინანსური მდგომარეობა, ეკონომიკის განვითარება და ა.შ.).

განვითარების შემდგომ საფეხურზე მეცხოველობა (მათ შორის მერძეული მექროხეობა) ხდება „მინათმოქმედების დედა“, არის რა სახნავის ნაყოფიერების გაზრდის წყარო. მრავალი საუკუნის განმავლობაში მეცხოველობა წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანას, სანამ მისა ნაწილო თავის თავზე არ აიღო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად შექმნილმა წარმოების ქიმიურმა და ტექნიკურმა საშუალებებმა. ამ კველაფერმა ერთად კი სასოფლო-სამეურნეო სანარმოებში მეცხოველობისა და მინათმოქმედების დარგების ინტეგრირების საფუძველი შექმნა. ეს ესება, უპირველეს ყოვლისა, ალტერნატიული სოფლის მეურნეობის სანარმოებს, რომლებიც ორგანიზებულია მეცხოველობისა და მემცენარეობის დარგების ურთიერთშესვების პრინციპით, მინის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და გა-

უმჯობესების მიზნით წარმოების ქიმიური და სხვა საშუალებების რაციონალური გამოყენებით.

მექროხეობა დღეს გასცდა საკუთარი საკეთი ბაზის ფარგლებს. შეიქმნა სხვა სანარმოებისაგან საკეთი ყიდვისა და იმპორტირების (მაგალითად, სოიოს შროფი, ხორბალი) აუცილებლობა. ამასთან ერთად, მესამე საფეხური ხასიათდება საკეთი წარმოების ინტენსიფიკაციით, სელექციის მიღწევათა ინტეგრაციით ( ეს საზღვარგარეთ, ჩვენთან სამწუხაროდ, სასელექციო მუმაბათ თითქმის არ ხორციელდება), ცხოველებისა და მეცხოველობის პროდუქტების შენახვის სისტემის ტექნიკური განვითარებით.

მომავალში, ტექნიკის შემდგომი განვითარების პროცესში, ფასებისა და დანახარჯების შესაბამისი შეფარდების პირობებში, მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციის განვითარება მეცხოველობასა და საკეთი წარმოებაში გაგრძელდება. ასევე, დიდი მნიშვნელობა ექნება გარემოს დაცვის, ცხოველთა შენახვის პირობებისა და ეთიკის საკითხთა გათვალისწინებას.

მერძეული მექროხეობის დარგს აქვს თავისებურებები, რომლებიც მას მეცხოველობის სხვა დარგებისაგან განასხვავებს:

— მერძეული ძროხები არიან წარმოების ძირითადი საშუალებები და მონაწილეობენ ბევრ სანარმოო ციკლში. ცხოველთა შენახვა და კვეპა უნდა უზრუნველყოფდეს მათ მაღალ პროდუქტიულობას სამეურნეო გამოყენების

მთელი ვადის განმავლობაში. გამოზრდა-გასუქებაზე მყოფი ცხოველები მონაწილეობენ მხოლოდ ერთ ციკლში, როგორც საბრუნავი საშუალებები;

— სარვეზები ძროხების კვებაში დას ასვამს ცხოველთა პროდუქტიულობას და ვერ ხერხდება მათი კომპენსირება შემდგომი უხვი კებით, რადგანაც რძე უკვე მიღებულია და გასულია მეურნეობიდან;

— სუქებაზე მყოფ ცხოველების რაციონში პროტეინის ნაკლებობისას, ნონის მატებაში უმნიშვნელო ცვლილება შეიძლება იყოს. მერძეულ მექროხეობაში კი რძის მონაწელი მკვეთრად მცირდება;

— მერძეულ მესაქონლეობაში ძირითადი პროდუქცია შემოდის, მუშავდება, ინახება და რეალიზდება ყოველდღე, ამიტომაც მისი დანაკარგები, თუნდაც ერთი რგოლის დარღვევისას მნიშვნელოვანია და აქვეითებს პროდუქციის ხარისხს.

გარდა ამისა, მერძეული ძროხები სხვა სახის პროდუქტიულ ცხოველებთან შედარებით ეკონომიკურად გვიბრუნებენ საკეთი სარჯა პროდუქციით:

მაგალითად, თუ ერთი ძროხის წლიური მონაწელი, შეადგენს 4500 კგ რძეს ( დღიური საშუალო წევლადობა 15-17ლ.) ის შეიცავს 600 კგ-მდე მშრალ ნივთიერებას<sup>1</sup>, რაც უდრის მშრალ ნივთიერებას 450-500 კგ ცოცხალ მასის 6 ნასუქი მოზვრის ხორცში<sup>2</sup>. ამ დენობის ჩარცის მიღებას ანუ მოზვრის გამოზრდა-გასუქებას სჭირდება 20 000-22 000 კგ მ.ბ.<sup>3</sup>, ბაშინ როდესაც ძროხის ერთ ლაქტაციაზე, ზემოაღნიშნული ოდენობის რძის მისაღებად საჭიროა, თითქმის 4-5 ჯერ ნაკლები კგ. საკვეპი მშრალი ნივთიერება (დაახლოებით იგივე თანაფარდობაა საკეთი სერთეულზე გაანგარიშებითაც), ანუ შემოსავლის მიხედვით, ერთი მერძეული ძროხა 4500-5000 კგ რძის მონაწელით, თითქმის იგივე შემოსავალს იძლევა რასაც 6 სახორცედ გამოზრდილი მოზვრი.

მერძეულ მექროხეობაში ძირითად პროდუქციასთან ერთად იღებენ გვერდითს — ნაკელს ან წუნწუს. ნიადაგში ნაკელის შეტანისას საგრძნობლად მცირდება მინერალური სასუქების დამატებითი შეძენის დანახარჯები. ნაკელის რაციონალური გამოყენება ყოველთვის ანაზღაურდება მემცენარეობის და შემდეგ მეცხოველობის პროდუქციით.

მერძეული მექროხეობის ეკონომიკური მნიშვნელობა მდგრმარეობს იმაში, რომ ეს დარგი უზრუნველყოფს კვავილობის დასაწყისი შეადგენს 200გ.

შემოსავლების სტაბილურ და თანაბარ მოდინებას წლის განმავლობაში, აგრეთვე ხელს უწყობს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ათანაბრებს შრომის გამოყენების სეზონურობას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, გვინარჩუნებს სოფელს, მაღალმთიანეთში საძოვრებს და ა.შ.

საგულისხმოა ერთი ფაქტი, რომ ტურისტული სექტორის გაზრდამ ზოგადად გამოიწვია ქვეყანაში გადახდის სუნარისანი მომხმარებლის ზრდა, რაც ნაწილობრივ აისახა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასებზეც. თუ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ინვესტიციების გაზრდა სოფლის მეურნეობაში, ახალგაზრდების წახალისება, სოფლის როგორც სოციალ-ტერიტორიული ერთეულის ჩამოყალიბება, გაძლიერება და განასაკუთრებით, პოტენციური ფერმერის ცნობიერების ამაღლება, კიდევ უფრო დამორდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიწოდება მოთხოვნას, გაიზრდება იმპორტი.

უნდა აღინიშნოს მერძეული მეძროების არცთუ მცირე მნიშვნელობა სოფლად მოსახლეობის შესანარჩუნებლად. თუ ერთი მხრივ მსხვილფეხა პირუტყვის დარგი არის ყველაზე ძვირადირებული და გრძელვადიანი საინვესტიციო მიმართულება, მეორე მხრივ მეცხოველეობა უზრუნველყოფს ადამიანთა ფართო მასების დამაგრებას მინაზე და სიტუაციის სტაბილურობას.

მსვილფეხა პირუტყვი მოითხოვს დიდ ფართობებსა და უხეშ საკვებს, რომელსაც შორიდან ვერ ჩამოვიტან. მაგრამ, სხორცედ მერძეული მეცხოველეობა, საჭიროებს რა დიდი რაოდენობით მუშახელს, საშუალებას გვაძლევს იმავე ფართობზე დასაქმდეს შედარებით მეტი ადამიანი ვიდრე მემცენარეობაში.

საქართველოში მერძეული მეძროება იყო და იქნება მეცხოველეობის პერსპექტიული დარგი. მერძეული მეძროების წლილმა მეცხოველეობის პროდუქციის მთლიან ნარმობაში 2017 წ. შეადგინა 50%. პლობი ათ-წლეულის განმავლობაში მერძეული მეძროების დარგის ნარმართვის პირობებმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. სამწუხაროდ, დაწყებულია ძროხების სულადობისა და რძის პროდუქციის ნარმობის შემცირება. დარგი მუშაობს გაზრდილი იმპორტთან კონკურენციის პირობები.

ბოლო წლებში სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, გრძელდება ძროხების სულადობის შემცირების პროცესი.

მხოლოდ 2018 წლის განმავლობაში ის შემცირდა 38,8 ათასი სულით .

საქართველოში რძის ნარმობის მოცულობამ 2018 წლისთვის შეადგინა 532 ათასი ტონა, 2017 წლისთვის 528,4 ათასი ტონა, მათ შორის აჭარის არ - 32,5 ათ. ტ. (2017 წ.), გურია - 24,5 ათ. ტ. (2017 წ.) იმერეთი 110,7 ათ. ტ. (2017 წ.), კახეთი 53 ათ. ტ. (2017 წ.), მცხეთა-თიანეთი 19,4 ათ. ტ. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 7,1 ათ. ტ. (2017 წ.), სამეგრელო-ზემო სვანეთი 64,8 ათ. ტ. (2017 წ.) სამცხე-ჯავახეთი 71,7 ათ. ტ. (2017 წ.), ქვემო ქართლი 103,2 ათ. ტ. (2017 წ.), შიდა ქართლი 39,0 ათ. ტ. 2008 წელს რძის ნარმობა შეადგინდა 645,8 ათ. ტ., 2013 წელს 604,7 ათ. ტ. რძის ნარმობის შემცირების მიუხედავად, გაუმჯობესდა მერძეული მესაქონლეობის მუშაობის მაჩვენებლები - სამუალო ნლიური მონაწველი მთლიანად ქვეყანაში გაიზარდა - 2013 წლითან შედარებით 150,კე-ით


რძის ნარმობის მოცულობებისა და რძის ნარმობის ეფექტუანობის შემცირების ფაქტორები შეიძლება დაიყოს შიდა და გარე ფაქტორებად. გარე ფაქტორებს განეკუთვნება სამრეწველო (შედარებით ინდუსტრიული) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასთა დისბალნისი, სახელმწიფოს არასაკმარისი მხარდაჭერა, ერთ-ერთი მათგანია მერძეული ძროხების სასელექციის მუშაობის მხარდაჭერი პროგრამის არ ქონა) არარაციონალური ფასწარმოქმნა, დაულაგებელი საგადასახადო და საკურედიტო პოლიტიკა, მეძროების წროდუქციისა და ნედლეულის ბაზრის განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, შეცდომები და სოფლის, როგორც სოციალური და ტერიტორიული ერთეულის სისტემური ხედების და გამოყოფილი რესურსების ხარჯვაზე არაეფექტიანი კონტროლი.

რძის ნარმობის მოცულობათა და ეფექტუანობის შემცირების შიდა მიზეზებს, თუმცა ისინი დაკავშირდება: სანარმოო რესურსების, მათ შორის მინის, არარაციონალური, ხშირად კი უყაირათო გამოყენება, აგროტექნიკურ და ზოგვეტერინარულ ღონისძიებათა ვადების დარღვევა, ფერმერთა და სპეციალისტთა დაბალი კვალიფიკაცია.

ფერმერულ მუურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის კონცენტრაციის დონის შემცირება იწვევს სანარმოო დანახარჯების ზრდას, პირობითად მუდმივი ხარჯების მატებას და, მაშასადამე, ფინანსური შედეგების გაუარესებას. თუმცა პოლო წლებში მერძეული მიმართულებოს ფერმერთა ნამებიანობის მთავარი მიზეზი არის რძის თვითლირებულების მიზეზელოვანი ზრდა მატერიალურ-ტექნიკური სამუალების წინმსწრები გაძვირების გამო, რძის პროდუქციაზე ფასთა ზრდასთან შედარებით.

მერძეული მეძროებების პროდუქციის ნარმობის ეფექტუანობის შემცირების ფაქტორები შეიძლება დაიყოს შიდა და გარე ფაქტორებად. გარე ფაქტორებს განეკუთვნება სამრეწველო (შედარებით ინდუსტრიული) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასთა დისბალნისი, სახელმწიფოს არასაკმარისი მხარდაჭერა, ერთ-ერთი მათგანია მერძეული ძროხების სასელექციის მუშაობის მხარდაჭერი პროგრამის არ ქონა) არარაციონალური ფასწარმოქმნა, დაულაგებელი საგადასახადო და საკურედიტო პოლიტიკა, მეძროების წროდუქციისა და ნედლეულის ბაზრის განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, შეცდომები და სოფლის, როგორც სოციალური და ტერიტორიული ერთეულის სისტემური ხედების და გამოყოფილი რესურსების ხარჯვაზე არაეფექტიანი კონტროლი, რამდენად არა იმდენად საწარმოო რგოლში, რამდენადაც პროდუქციის რეალიზების ეტაპზე. ამიტომ ფერმის მეურნეობის მთავარი ამოცანა არის მისი გასაღების ყველაზე მომგებიანი არხების მოძიება. ისინი დიდად დამოკიდებულია საქონლის ხასიათზე. მალეუჭებადი პროდუქცია, მათ შორის რძე, მოითხოვს ნარმობის მომხმარებლამდე მისი ტრანსპორტირების მინიმალურ ვადებს. ამასთან,


**გრაფიკი 1: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყველა კატეგორიის მუურნეობაში (წლის ბოლოსათვის, ათასი სული)**



წყარო: <http://GEOStat.ge>

გრაფიკი 2:

საქართველოს მოსახლეობა, მრპ-ს სულადობა, რძის წარმოება 1990 -2017 წწ.



ამ პროდუქტში რეალიზების წინ უნდა გაიაროს მინიმალური დამუშავება.

თუმცა სანარმოო ძალთა არასაკმარისი განვითარებისა და ფერმერთა დაბალი ინიციატივობის გამო ბევრი ჩამოთვლილი ოპერატორია არ ხორციელდება. რექ მაცივარ-დანადგარების არარსებობისა თუ აღჭურვილობის გაუმართაობის გამო ყველა ფერმაში არა ცივდება.

ამიტომ სარეალიზაციოდ რძის მომზადების სტადიაზე სანარმოებმა შეიძლება იზარალონ. ჯერ ერთი, მისი ტრანსპორტირებისას დანაკარგების გამო; მეორე, სარეალიზაციოდ მოუზადებელი რძის უფრო დაბალი ფასების გამო; მესამე, დამატებითი პროდუქტის ვერმილების გამო, რომელიც იქმნება პროდუქციის დამუშავების სტადიაზე, ღირებულების ამ ნანილის ნებაყოფლობით გადაცემით სასურსათო კომპლექსის სხვა რგოლებში – გადამმუშავებელ მრეწველობასა და ვაჭრობაში.

დღევანდელი ანალიზით ჩანს, რომ ფერმერებს მერქეული მექროხეობის ორგანიზებისა და მისი პროდუქციის გასაღებაში, სასოფლო-სამურნეო წარმოების დასტაბილურებასა და ეფექტიანობის გაზრდაში, მხოლოდ კომპლექსური მიდგომა დაეხმარება.

როგორც ვხედავთ, მიღებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მსხვილებება პირუტყვის სულადობის კლების დინამიკა შემცირებულია, მაგრამ შეჩერებული არ არის, რაც მოწმობს მერქეული მეცხოველეობის განვითარების მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებში ცვლილებების აუცილებლობას.

სავარაუდოდ, უახლოეს პერსპექტივში ძროხების რაოდენობა პირად-დამხმარე თუ ძირითად საოჯახო ფერმერულ მეურნეობებში შემცირდება, ამას ხელს უწყობს სოფლის მოსახლეობის დაბერება. მომავალ თაობას კი მთელი წლის განმავლობაში უქმედ დღეების გარეშე და ამასთანავე

სოფლად მოუწესრიგებული ინფრასტრუქტურის ფონზე აღარ სურთ მუშაობა. მით უმეტეს, რომ ფერმერობა ცხოველებთან ყოველდღიური ურთიერთობას მოითხოვს.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნათლად ჩანს საქართველოს მოსახლეობის, მრპ-ს სულადობისა და რძის წარმოების შემცირების ტრენდები. გრაფიკული გამოსახულება გვაძლევს ასევე იმის თქმის სამუალებას რომ, მრპ-ს სულადობა შემცირებასთან ერთად, მცირდება რძის წარმოებაც ანუ ადგილი არ აქვს პროდუქტიულობის ზრდას.

მომავალ თაობას უნდა დავანახოთ, რომ მერქეული მეცხოველეობა ეს არის რენტგაბელური და სტარტეგიული ბიზნესი, რომელიც მოითხოვს განათლებასა და ინტელექტს. საქართველოს ზოგადად აქვს სოფლის მეურნეობის და კერძოდ მერქეული მეცხოველეობის განვითარების პოტენციალი.

საქართველო საოცარი ქვეყანაა (სამწუხაროდ, ღარიბი მოსახლეობით). მის შესანარჩუნებლად აუცილებელია ტერიტორიის ათვისება და ეფექტიანი გამოყენება. სახელმწიფოს მიერ მერქეულ-მეცხოველეობის რეგიონალური განვითარება უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

თუ დღეს არ შევინარჩუნებთ და არ განვათარებთ მერქეულ-მექროხეობის დარგს, ქვეყანას ემუქრება მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება და ტერიტორიების დაცარიელება.

**მსპილ მიზანება**  
ასოციაცია „მომავლის ფერმერის“  
მეცხოველეობის სექტორის  
ხელმძღვანელი

აგრონომის გვარი

რუპრიკას უძღვება „მომავლის ფერმერი“

## გარეთ კითხვა აგრონომობაზე?

მოგვითხოვთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.შროსტი: info@agro.ge  
ასაზეს მიღებთ შურალ „აგალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. როგორი ტიპის ნიადაგებია გავრცელებული საქართველოს რეგიონებში?

– შიდა ქართლში – გავრცელებულია ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, შავი, ყომრალი და კორდინაციული კარბონატული ნიადაგები.

– ქვემო ქართლში – გავრცელებულია ყავისფერი, რუხი ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, მდელოს რუხი ყავისფერი, შავი, ყომრალი, კორდინაციული და სხვა ტიპის ნიადაგები.

– კახეთში – გავრცელებულია ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, მდელოს რუხი ყავისფერი, შავი, ყომრალი, კორდინაციული და სხვა ტიპის ნიადაგები.

– კახეთში – გავრცელებულია ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, მდელოს რუხი ყავისფერი, შავი, ყომრალი, კორდინაციული და სხვა ტიპის ნიადაგები.

ვისფერი, შავი და დამლაშებული ნიადაგები.

– იმერეთში – გავრცელებულია ყვითელმინა, ყვითელ-მინა-ენერი, ყვითელ-ყომრალი, ყომრალი, წითელმინა, კორდიან კარბონატული, ალვიური და მთა-მდელოს ნიადაგები.

– გურიაში – აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებულია ყვითელმინა, ყვითელმინა-ენერი, ყვითელ-ყომრალი, ყომრალი, წითელმინა, მთა-მდელოს, ალვიური და ჭაობიანი ნიადაგები.

– სამეგრელო-ზემო სვანეთში – გავრცელებულია ყვითელმინა, ყვითელმინა-ენერი, ყვითელ-ყომრალი, ყომრალი, წითელმინა, კორდიან კარბონატული, ალვიური, მთა-მდელოს და ჭაობიანი ნიადაგები.

– რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში – აღნიშნულ რეგიონში გვევდება კორდიან-კარბონატული, ყომრალი, ალვიური, მთა-მდელოს, ენერი, ყვითელმინა-ენერი ნიადაგები.

– სამცხე-ჯავახეთში – გავრცელებულია ყავისფერი, მდელოს-ყავისფერი, ყომრალი, შავმინა, მთა-მდელოს და მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები.

– მცხეთა-მთიანეთში – გავრცელებულია ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, ყომრალი, ალვიური, მთა-მდელოს და კორდიან-კარბონატული ნიადაგები.

– აჭარაში – გავრცელებულია წითელმინა, ალვიური, ყომრალი და მთა-მდელოს ნიადაგები.

– აფხაზეთში – გავრცელებულია წითელმინა, ყვითელ-მინა, ყვითელმინა ენერი, ყვითელ-ყომრალი, ალვიური, კორდიან კარბონატული და ჭაობიანი ნიადაგები.

## 2. როგორ გრავლდება პეპერი?

პეპერი მრავლდება როგორც თესლით, ასევე – ვეგეტატიურად. გამრავლებისთვის თესლი უნდა ავილოთ საუკეთესო ჯიშის სადედე მცენარეებიდან.

პეპერის გაშენება შესაძლებელია როგორც შემოდგომით, ისე – ადრე გაზაფხულზე 18X18 ან 15X15, ხოლო შედარებით სუსტად განვითარებული 10X10 კვების არით.

## 3. კიმის შერჩევისას რას უდეა მივარციოთ ზურადლება?

ჯიშის შერჩევისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, ჯიშის მოსავლიანობას, მოსავლიანობის შესვლის ასაკს, ჯიშის და დამამტვერიანებლის ყვავლობის თანხვედრას, ნაყოფის სიმსხოს, ხარისხს, მის გამოსავლიანობას და მავნე ორგანიზმების რეზისტრაციულობას.

## ვეტერინარის გვარდი

**რუპრიცას უძღვება „მომავლის ფერმერი“**

# ტექნიკური კიმის მიმღები მომღები?

მოგვიხილათ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ასუსტ მიმღები შერჩევა „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. მყავს დედა ლორი, 2 თვის ნინ დაბარა გოგოვი. ცოტა ხნის ნინ გოგოვი დედას ავსხლით და გადავიყვანეთ სხვა საკვებზე (ვაძლევთ მარცვლეულის ნაზძვას ფაზის სახით). გოგოვს ჰარგი მადა აქვთ, მაგრამ მონაცი სათანადოდ არ მიატეხონ. არ დამიაუზავიდა ზიგვი. რას მიმღები? მათი ცოცხალი წონა დაახლოებით 15 კილოგრამია.

სასურველია, პირველ ეტაპზე, გოჭები დაამუშაოთ ტაბლეტით. გირჩევთ მისცეთ ფენბექსი 250 და გაიმეოროთ არანაკლებ 10 დღის შემდეგ.

2. ჩემს ძროხას ყოველი მოგვის შემდეგ ემართება პარეზი. როგორ ხდება მოგვის შემდეგი პარეზის დაცვა?

გამოიყენეთ პრეპარატი Calcium Plus, რომელიც ცხოველის ორგანიზმი ლაქტაციის დაწყებით გამოწვეულ კალციუმის დეფიციტს აესხბას, საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან კალციუმის მაღალი შენოვა განპირობებულია ვიტამინი D3-ის არსებობით. პრეპარატი ასევე უზრუნველყოფს ცხოველის ორგანიზმს მაგნიუმით, რომ-

ლის დაბალი დონე სისხლში ჰიპოკალცემიის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია.

Calcium Plus ხელს უშლის მშობიარობის შემდგომი პარეზის ნარმოქმნასა და მშობიარობის შემდგომ მომყოლის დაბადების შეჩერებას, განსაკუთრებით მაღალპროდუქტიულ ძროხებში. ამავე დროს, პრეპარატი ეფექტურია კეტოზის პრევენციისათვის, რამდენადაც ის შეიცავს გლიცერინს-გლუკოზის ნინამორბედს და B ჯგუფის ვიტამინებს, რაც ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას. შეძენა შესაძლებელია „როქის“ ვეტაფთიაქში (თბილისი, ქეთევან ნამებულის №91-ის მოპირდაპირე მსარე. მეტრო – სამგორი).

3. ჩემს საძროელს აქვს სოკოვანი დაავადება, გამოვიდე პავი საშუალება, მაგრამ საბოლოო განურნებას ვერ მივაღწიო. როგორ გამოვაჯანორთებოდეთ?

სოკოვანი დაავადებების სამკურნალო პრეპარატი „მიკოსტიკი“ ნარმოადგენს ინოვაციურ პრეპარატს ფუნგიციდური მოქმედებით. ძლიერი სოკოს სანინააღმდეგო მოქმედების პროდუქტი შეიცავს უჩვეულოდ ეფექტურ, დაპატენტებულ, სპილენძის ნანომოლეკულურ კოლო-

იდს. ააქტიურებს კანის რეგენერაციას და ხელს უწყობს ბერვის ზრდას. „მიკოსტიკი“ ასევე შეიცავს ანტისეპტიკურ საშუალებას – ჩაის ხის ნატურალურ ზეთსა და დინდგელის ექსტრაქტს, რომელიც აჩქარებს შეხორცების პროცესს. „მიკოსტიკი“ არ აღიზიანებს კანს, მოქმედებს როგორც ბუნებრივი ანტიბიოტიკი და აძლიერებს იმუნურ სისტემას. შეძენა შესაძლებელია „როქის“ ვეტაფიო-აქტი (თბილის, ქეთევან წამებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

4. ჩამას პატარა ზერბა. მჩამს სპობი, გოჭვი. როცა ცხოველები ავალებოთ ანგარიშის განსაკუთრებით ფალარა-თიაბის დროს, სუსტილებიან, კარგავე ხალის, გადა.

ზოგჯერ თითოვის განაურნებული ცხოველი იღუპება ასეთი სისუსტით; როგორ გადავშრა მს პრობლემა?

პრობლემის გადასაჭრელად გთავაზობთ ელექტროლიტურ პრეპარატ ELEKTRON fit-ს. ის აჩერებს (ცხოველების (ხბო, გოჭი, ბატყანი) გაუწყლურებას, გამოწვეულს დიარეით ან თერმული სტრესით. მისი გამოყენება უზრუნველყოფს გამოფიტული ორგანიზმის შევსებას ადვილად ათვისებადი ენერგიით. პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი კარგად შერჩეული კომპონენტები ხელს უწყობენ სწრაფ და ადვილად გამოჯანმრთელებას. ELEKTRON fit წონასწორობას უბრუნებს ორგანიზმს. პრეპარატის ხალისით იღებენ ის ცხოველები, რომელთაც არ სურთ რძის დალევა დაავადების გამო.

## მაჟურდლეობა



მებოცვრეობაში ვეტერინარული ღონისძიებები ორი მიმართულებით ტარდება:

- შენახვის ჰიგიენა;
- დაავადებების პროფილაქტიკა.

ღონისძიებების გეგმები უერმებში შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა ითვალისწინებდეს სულადობის დათვალიერებას, ვაქცინაციას, დეპელმენტიზაციას, დერატიზაციას, დეზინსექციას და დეზინფექციას.

ყველა ღონისძიება ტარდება წლის სეზონის გათვალისწინებით. შენობის სრულ და ზედმინევნით გასუფთავებას ანარმობენ ზამთარში 2 დღეში ერთხელ, დანარჩენ სეზონებზე – ყოველ დღე; შენობის დეზინფექციას ატარებენ კვარტალში ერთხელ, ინვენტარის დეზინფექციას – 10 დღეში ერთხელ; სანიტარულ წყვეტას, ანუ ბოცვრებისგან შენობის სრულ განთავისუფლებას 10-15 დღით მიმართავენ წელიწადში ერთხელ. დერატიზაციას და დეზინსექციას ატარებენ წლის განმავლობაში აუცილებლობის მიხედვით. ბოცვრებს ათვალიერებენ ყოველ დღე, რათა გამორიცხონ ინფექციური დაავადების ეპიდემია.

## პრცერის დაავადების პრფილაქტიკური ღონისძიების განვითარები

დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში, ბოცვერს გამოაცალევებენ და კარანტინზე აყვენებენ, ხოლო დაცემის შემთხვევაში ვეტერიზმი ანარმობებს მის გაკვეთას და მთელი შენობის დეზინფექციას.

ვეტერინალურ-პროფილაქტიკური ღონისძიებების სანიმუშო გეგმა

- სულადობის კლინიკური დათვალიერება და წუნდება → ყოველდღე;
- საკვების ლაბორატორიული გამოკვლევა → კვირაში ერთხელ;
- კოკიდიოზის, პასტერელიოზის, ინფექციური რინიტის პროფილაქტიკა → ყოველთვე – გრაფიკის მიხედვით 10 დღის განმავლობაში;
- პროფილაქტიკული დამუშავება კუჭნანლავის დაავადების წინააღმდეგ → აუცილებლობის მიხედვით – „მარგანცოვების“ სუსტი ვარდისფერი სითხით (1გ 2ლ წყალზე);
- საბოცვრის აეროზოლური დეზინფექცია → ყოველთვე 4 სეანსი დღეგამოშვებით – 2 გ, სკიპიდარი+20გ ქლორიანი კირი 1 მ³ ჰერმეტულ სივრცეზე, ექსპოზიცია 1 სთ;
- სასუნთქი იორგანოების დამუშავება ანტიბიოტიკების სიგარის ბოლით → აუცილებლობის მიხედვით – სადედე და სარემონტო გუნდი;
- გალიების, საბუდარის, ყუთების, ინვენტარის დეზინფექცია, გადასასვლელების, სანაკელე არხების და თხრილების სველი დეზინფექცია →
- სანიტარული წყვეტა → წელიწადში 10-15 დღე – საბოცვრის განთავისუფლება სულადობისგან, ყველა სახის დეზინფექციის ჩატარება, მ.შ. აეროზოლური 25% ფორმალდეგიდის სითხით, ერთდღელამიანი ექსპოზიციით.

ცხოველების გადაყვანის დროს – ასირის ცეცხლის ალით, კაუსტიკური სოდის 2%-ნი სითხით;

• კანის დაავადებების პროფილაქტიკა → 2-ჯერ ერთკვირიანი ინტერვალით – ქლოროფილის 3% ხსნარი ვაზელინზე, სკიპიდარი მზესუმზ. ზეთზე (1:1), ფენოტიაზინი;

• საბოცვრის მოწყობილობების და ინვენტარის პროფილაქტიკური დამუშავება → ზაფხულის განმავლობაში 2-3-ჯერ – 0,5% აქტივირებული კრეოლინის ცხელი სითხე;

• საბოცვრის, საწყობის, დამხმარე შენობის დერატიზაცია → ყოველთვე 1-დან 20 რიცხვამდე – ბაქტორუმარინი, ზოკუმარინი, თუთის ფოსფიდი;

• მიქსომატოზის წინააღმდეგ ვაქცინაცია → 2-ჯერ წელიწადში გაზაფხულზე და ზაფხულში მწერების გამოჩენისას;

• სანიტარული დღე → კვირაში 1 დღე – სამუშაო ადგილების, გალიების, ინვენტარის მიმდინარე დეზინფექცია;

• სანიტარული წყვეტა → წელიწადში 10-15 დღე – საბოცვრის განთავისუფლება სულადობისგან, ყველა სახის დეზინფექციის ჩატარება, მ.შ. აეროზოლური 25% ფორმალდეგიდის სითხით, ერთდღელამიანი ექსპოზიციით.

„ბოცვრის ხორცის წარმოების ტექნოლოგიური რუკა“

უახვი პაპაშიძე

შემხედი მომავალი  
საუკათასო ტრაქტორითან  
ერთად!

VALTRA

YOUR  
WORKING  
MACHINE



ვიცირი კომანია ვალტრას  
მე-4 თაობის ტრაქტორები -  
სასოფლო-სამეურნეო,  
საგზაო-კომუნალური და სამუნებლო  
სამუშაოებისთვის!

[www.valtra.com](http://www.valtra.com)

ნარმანიაზები საქართველოში:


**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge info@worldtechnic.ge  
☎ 2 90 50 00 ☎ 2 18 18 81



# AGROTEK®

გსურთ მიიღოთ აღრეული, საღი და უცვი მოსავალი?



გთავაზობთ უნიკალურ, ჰაერგამტარი მულჩის და დამცავი პალეოპის ფართო ყაორტიმენტს, რომელიც დაიცავს მცენარეს სარეველებისაგან, გადახურების, დამცვრობების და წაყინვისაგან, შეძლებს სასურველ კლიმატს მცენარის უპირატესი აღმოცვენებისა და განვითარებისათვის, გაგიზრდით მოსავლიანობას, დაგიზოგავთ დროს და თანხას.

პროდუქციის დეტალური გაცნობა შესაძლებელია კომპანიის შოუ რუმში, მისამართზე თბილისი, დიდუბე პლაზა პირველი სართული.

**WWW.AGROTEKS.RU.**

დაგვიკავშირდით:  
599 529 529 / 599 761321;  
E-mail: tmikadze@yahoo.com